ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 36

6 მარტი
"---" -------- 2018 წ

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშვებლად გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების" თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-7 პუნქტების და „ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკისაგან გრანტის მიღებასა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშვებლად გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების" გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 20 თებერვლის №18.4.60 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების" ფარგლებში 490 000 (ოთხასოთხმოცდაათიათასი) ევროს ოდენობით გრანტის მიღების თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საგრანტო ხელშეკრულება

საქართველო: ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაცია და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემა

საქართველო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა

და

ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს

შორის

ბანკი, როგორც ევროპის რეკოსნტრუქციისა და განვითარების ბანკის აქციონერთა სპეციალური ფონდში სხვადახსვა მთავრობების მიერ შექმნილი საგრანტო ფონდის ადმინისტრატორი

2018 წლის მარტი

TBILISI BUSINESS HOUSE LLC
404482608

საგრანტო ხელშეკრულება

საგრანტო ხელშეკრულება No: C37466/1413/9665, დათარიღებული 2018 წლის [redacted] მარტით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა ("კლიენტი"), ჟიული შარტავას ქუჩა 7, თბილისი 0160, საქართველო, და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს ("ბანკი" ან "EBRD"), რომელიც არის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, შექმნილი 1990 წლის 29 მაისს პარიზში ხელმოწერილი მრავალმხრივი ხელშეკრულების „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შექმნის შესახებ შეთანხმების" საფუძველზე, და რომლის სათაო ოფისი მდებარეობს One Exchange Sq, EC2A 2JN ლონდონი, გაერთიანებული სამეფო, და რომელიც მოქმედებს, როგორც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის აქციონერთა სპეციალური ფონდში სხვადასხვა მთავრობების მიერ ("დონორი") შექმნილი საგრანტო ფონდის ადმინისტრატორი, შორის.

შესავალი

ვინაიდან კლიენტსა და ბანკს შორის გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება („სესხის ხელშეკრულება/ხელმოწერაზე შეთანხმების ხელშეკრულება) დათარიღებული 2016 წლის 11 მაისით, და ბანკი დათანხმდა, გამოუყოს კლიენტს სესხი EUR 27 000 000 ოდენობით, რათა გაუწიოს დახმარება სასესხო ხელშეკრულების ცხრილში 1 აღწერილი პროექტის დაფინანსებაში ("პროექტი");

ვინაიდან Systra SA, მისამართი 72 rue Henry Farman, Paris, 15, საფრანგეთი ("ერთობლივი საწარმოს ლიდერი") და შპს სპექტრუმ კონსალტინგი, ს/კ 205048893, მისამართი 12ბ ალ.ყაზბეგის გამზირი, თბილისი, საქართველო (ერთობლივად "ერთობლივი საწარმოს პარტნიორები"), შემდგომში "კონსულტანტი" გეგმავენ საკონსულტაციო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებაში შესვლას კლიენტთან ("საკონსულტაციო კონტრაქტი"), დანართში B თანდართული ფორმით, პროექტისთვის: საქართველო: ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაცია და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის დანერგვა" („მომსახურება").

("მომსახურება");

ვინაიდან კონსულტანტი დათანხმდა პროექტისთვის მომსახურების მიწოდებას, როგორც ეს განსაზღვრულია საკონსულტაციო კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადებში და პირობებით, კონტრაქტით გათვალისწინებული მაქსიმალური თანხის ოდენობის EUR 790,000.00 ფარგლებში

ვინაიდან კლიენტი დათანხმდა , რომ EUR 300 000.00 ('კლიენტის [illegible]ულება") გამოუყოს კონსულტანტის მომსახურების დაფინანსებას, შემდგომ[illegible]ამოთვლილი[illegible]ირობებით და ვადებით

ვინაიდან დონორსა და ბანკს შორის ტექნიკური თანამშ[illegible]ომლო[illegible]ის თანახმად, დონორი ადასტურებს და დაეთანხმა, რომ ხელმისაწ[illegible] EUR 490,000.00

ოდენობის თანხას გრანტის საფუძველზე ("გრანტი"), კონსულტანტის მომსახურების დასაფინანსებლად, შემდგომ ჩამოთვლილი პირობებით და ვადებით

ვინაიდან ბანკი თანახმაა გრანტის ადმინისტრირებაზე დადგენილ ვადებსა და პირობებზე;

აქედან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი I - განმარტებები

1.01 განმარტებები და ინტერპრეტაცია

ყველგან ამ ხელშეკრულებაში, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთ მითითებულ პირობებს გამუქებული ფონტით გამოყოფილ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: ექნება შემდეგი მნიშვნელობები:

ა) ბანკი ან EBRD: ნიშნავს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს.

ბ) ბიუჯეტის ჩაშლა : ნიშნავს (i) ანაზღაურებაზე დაფუძნებული კონტრაქტის ტიპის შემთხვევაში (Fee Based Contract) გრაფიკს, რომელიც განსაზღვრავს განაკვეთებ ყოველდღიურ ხარჯებს, და ყველა იმ ხარჯს, რომელიც კომპენსირებას ექვემდებარება (ii) ფიქსირებული ფასის ტიპის კონტრქტის შემთხვევაში, გრაფიკს, რომელშიც მაქსიმალური საკონტრაქტო თანხა მოიცავს ყველა გადასახდელ თანხას.

გ) კლიენტი: გულისხმობს მხარეს, რომლისთვისაც მოხდება საკონსულტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

დ) კონსულტანტი: ნიშნავს მხარეს, რომელიც შეასრულებს მომსახურებას .

ე) მომსახურების გაწევის ქვეყანა: ნიშნავს ქვეყანას, სადაც მოხდება მომსახურების გაწევა ან / და კლიენტის ქვეყანა.

ვ) დონორი: გულისხმობს საგრანტო თანხების პროვაიდერს, როგორც მითითებულია საგრანტო ხელშეკრულების პრეამბულაში (შესავალში).

ზ) ექსპერტები: გულისხმობს იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილია ცხრილ B-ში, და რომლებიც შეასრულებენ მომსახურებას.

თ) ანაზღაურებაზე დაფუძნებული კონტრაქტი: გულისხმობს კონტრაქტს, რომლის მიხედვითაც მომსახურების საფასურის გადახდა მოხდება გაწეული მომსახურების დღეების რაოდენობისა და დღიური განაკვეთის საფუძველზე.

ი) გრანტი: ნიშნავს საკონსულტაციო კონტრაქტის დაფინანსების მიზნით დონორების მიერ ბანკის ადმინისტრირებაში გადაცემული თანხების ოდენობას.

კ) საგრანტო ხელშეკრულება: ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულებას, და მის ყველა დანართს, რომელიც შეიძლება დროდადრო შესწორდეს.

ლ) კონტრაქტი ფიქსირებული (მყარი) ფასით: ნიშნავს კონტრაქტს ფიქსირებული მაქსიმალური თანხით, რომლის მიხედვითაც მომსახურება ხდება ანაზღაურების შეთანხმებული ოდენობის საფუძველზე.

მ) კონტრაქტის მაქსიმალური ოდენობა: გულისხმობს [illegible] მაქსიმალურ ოდენობას, რომელიც შეიძლება გადახდილი იყოს კონსულტანტისათვის [illegible] საკონსულტაციო კონტრაქტის ფარგლებში, რომელიც ასევე მოიცავს ყველა სახის ანაზღაურებას, დასაშვებ დღიურ ხარჯებს, ანაზღაურებას დაქვემდებარებულ ხარჯებს [illegible] ნებისმიერი არაპირდაპირი გადასახადებისა (მათ შორის დღგ).

BUSINESS HOUSE LLC 204482608

ნ) **საოპერაციო ხელმძღვანელი:** ნიშნავს ბანკის თანამშრომელს, რომელიც პასუხისმგებელია ბანკის სახელით საკონსულტაციო კონტრაქტის განხორციელების მონიტორინგზე.

ო) **მომსახურება:** ნიშნავს კონსულტანტის მიერ შესრულებულ მომსახურებას კლიენტისთვის, საკონსულტაციო კონტრაქტის ფარგლებში.

პ) **ტექნიკური დავალება:** ნიშნავს მოთხოვნებსა და მიზნებს გასაწევი მომსახურეობის პირობების ფარგლებში, სადაც მითითებულია ის მეთოდები და რესურსები რომელსაც კონსულტანტი გამოიყენებს და/ან შედეგები, რომლებიც უნდა იქნას მიღწეული.

1.02 ინტერპრეტაცია

(ა) ამ ხელშეკრულებაში სათაურები მხოლოდ მოხერხებულობისთვისაა და გავლენას არ ახდენს მის ინტერპრეტაციაზე.

(ბ) წინამდებარე ხელშეკრულებაში, აქტის მითითება არის ამ აქტისა და ამ აქტის შესაბამისი რეგულაციებისა, და რადგან ასეთი შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს და/ან შესწორდეს, მითითება ასევე მოიცავს ნებისმიერი აქტსა და რეგულაციას, რომელიც შევა ძალაში და რომელიც დაემატება ან ჩაანაცვლებს არსებულ აქტსა და რეგულაციას.

(გ) ამ ხელშეკრულებაში, ნებისმიერი სქესის მითითება მოიცავს ყველა სხვა სქესის მითითებას, მხოლობითი რიცხვი უნდა გულისხმობდეს მრავლობითს და პირიქით, ხოლო პირთა მითითება მოიცავს კორპორაციულ, არაკორპორატიული ასოციაციებს და პარტნიორებს. პირის მითითება უნდა მოიცავდეს მემკვიდრეებს და უფლებამოსილ პირებს.

მუხლი II - გრანტი

2.01 გრანტი

(ა) ბანკი თანახმაა კლიენტისთვის ხელმისაწვდომი გახადოს გრანტი წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების თანახმად, რომლის ოდენობაც არ უნდა აღემატებოდეს **EUR 490,000.00** ან მის ეკვივალენტს.

(ბ) გრანტი გამოიყენება მხოლოდ კონსულტანტის ჩართულობის პერიოდში მომსახურების დასაფინანსებლად.

2.02 თანხის გადახდა

(ა) კლიენტი და ბანკი თანხმდებიან, რომ ბანკს უფლება აქვს, რომ კლიენტის სახელით გადაუხადოს ანაზღაურება პირდაპირ კონსულტანტს;

(ბ) გრანტის თანხას კლიენტის სახელით და კლიენტის ინსტრუქციის საფუძველზე, ბანკი პირდაპირ კონსულტანტს გადაუხდის, საკონსულტაციო კონტრაქტის დანართი 1, 3.06 (ა) მუხლის დებულებების შესაბამისად, სადაც განსაზღვრულია ინვოისის წარდგენისა და გადახდის წესი.

(გ) კონსულტანტისგან ინვოისის და თანმხლები დოკუმენტაციის მიღების შემდგომ, რომლებიც წარდგენილი უნდა იყოს კონსულტაციის [illegible] B ცხრილის

დებულებების შესაბამისად, კლიენტმა ინვოისის მიღების თარიღიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა უნდა შეამოწმოს და დაადასტუროს ინვოისი, აგრეთვე იმ მომსახურებების დამაკმაყოფილებლად შესრულება, რომელთა გაწევაზეც ინვოისი გამოიწერა.

(დ) თუ ეს მომსახურება დამაკმაყოფილებელია და კლიენტი ადასტურებს, რომ ინვოისში მოთხოვნილი თანხები შეესაბამება საკონსულტაციო კონტრაქტის დანართი 1, მუხლი 3.06 (ა) მითითებულ თანხებს, ინვოისი, თანმხლები დოკუმენტაცია და თანხმობის დამადასტურებელი განაცხადი (როგორც ეს მოცემულია საგრანტო ხელშეკრულების დანართში), უნდა გადეცეს ბანკს ანგარიშსწორებისთვის, ინვოისის შედგენის წესში მითითებულ მისამართზე.

2.03 კლიენტის ვალდებულება

(ა) კლიენტი გადაუხდის 300,000.00 ევროს პირდაპირ კონსულტანტს, რათა დააფინანსოს საკონსულტაციო კონტრაქტის („კლიენტის ვალდებულება") ფარგლებში მომსახურეობის ნაწილი.

(ბ) კლიენტის ვალდებულება გადაეხდება კონსულტანტს საკონსულტაციო კონტრაქტში მითითებული გადახდის გრაფიკის შესაბამისად.

(გ) საკონსულტაციო კონტრაქტით გათვალისწინებული კლიენტის ვალდებულების ყველა გადახდა კონსულტანტისათვის უნდა განხორციელდეს კონტრპრეტენზიის გარეშე, დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი ფონდებიდან ევროში, დადგენილ ვადებში, და იმ საბანკო ანგარიშზე, რაც კონსულტანტს მითითებული აქვს მის ინვოისში საკონსულტაციო კონტრაქტის შესაბამისად.

2. 04 გადასახადები და მოვალეობები

(ა) კლიენტი თანახმაა, რომ საგრანტო სახსრებით არ უნდა დაფინანსდეს მომსახურეობასთან ან მიმდინარე საგრანტო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული არანაირი გადასახადი (მათ შორის ნებისმიერი არაპირდაპირი გადასახადი, როგორიცაა დღგ), რომელიც გათვალისწინებულია დავალების ქვეყნის კანონისა და რეგულაციების შესაბამისად.

(ბ) კლიენტმა უნდა ურჩიოს ბანკს, არსებობს თუ არა რაიმე და ნებისმიერი არაპირდაპირი გადასახადი (დღგ-ის ჩათვლით), რომელიც სავალდებულოა საკონსულტაციო კონტრაქტთან მიმართებაში.

(გ) კლიენტი თანახმაა, რომ ნებისმიერი სავალდებულო არაპირდაპირი გადასახადის (დღგ-ის ჩათვლით) გადახდა მოხდეს კლიენტის მიერ კონსულტანტის სახელით.

(დ) თუ რომელიმე არაპირდაპირი გადასახადი (მან შორის დღგ) ანის დასაბეგრი, საბანკო სერტიფიცირებისას, მუხლი 2.02(დ) ქვეპუნქტის თანახმად, კლიენტი ვალდებულია ასევე დაადასტუროს მის მიერ არაპირდაპირი გადასახადის შესრულებული გადახდა (დღგს-ჩათვლით), რომელიც ეფუძნებოდა გადახდას

კონსულტანტის ნებისმიერ წინა ივოისზე და ვალდებულია გადაიხადოს არაპირდაპირი გადასახადი (დღგ-ს ჩათვლით) მიმდინარე ინვოისით..

(ე) კლიენტის მიერ არაპირდაპირი გადასახადის (დღგ-ს ჩათვლით) შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა მუხლი 5.03-ის შესაბამისად.

მუხლი III - პროექტის განხორციელება

3.01 თანამშრომლობა და ინფორმაცია

(ა) ბანკი და კლიენტი სრულად ითანამშრომლებენ საკონსულტაციო კონტრაქტის ადმინისტრირებასთან მიმართებაში. ბანკი და კლიენტი დროდადრო, რომელიმე მათგანის თხოვნით, გაცვლიან ერთმანეთში შეხედულებებს, რომელიც შეეხება პროექტის პროგრესს, მომსახურებას, მიზნებს, რომელთა მისაღწევადაც გაიცემა გრანტი, კლიენტის მიერ ვალდებულებების შესრულებას მიმდინარე ხელშეკრულების შესაბამისად, კლიენტისა და კონსულტანტის მიერ ვალდებულებების შესრულება საკონსულტაციო კონტრაქტის თანახმად და მეორე მხარეს წარუდგენს ყველა აუცილებელ ინფორმაციას, რომელსაც გონივრულად მოითხოვს ერთერთი მხარე.

(ბ) კლიენტი დაუყოვნებლივ აცნობებს ბანკს ნებისმიერი შემოთავაზებული ცვლილებების შესახებ, რომელიც ეხება პროექტის მასშტაბს ან ბუნებას, ან კლიენტის მომსახურებას, საქმიანობას ან ოპერირებას და მისცემს ინფორმაციას ნებისმიერ ღონისძიების ან მოვლენის შესახებ, რომელიც შეიძლება მატერიალურად გავლენას ახდენს პროექტის, მომსახურების ან კლიენტის საქმიანობის ან ოპერირების განხორციელებაზე.

(გ) ზემოხსენებულის ზიანის მიუყენებლად, კლიენტმა არ უნდა დაუშვას არანაირი მატერიალური ვარიაციები, მათ შრის ნებისმიერი გადაწყვეტილება , რომელიც ეხება დავალებას ან საკონსულტაციო კონტრაქტს, ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, რომელიც იქნება დასაბუთებული. ნებისმიერ შემთხვევაში, საკონსულტაციო კონტრაქტის ნებისმიერი ვარიაცია უნდა ეცნობოს ბანკს კლიენტის მიერ.

3.02 ჩანაწერები და ანგარიშები

(ა) კლიენტი ვალდებულია:

i. აწარმოოს პროცედურები და შეინახოს ჩანაწერები და მასალები, რომლებიც საჭიროა მომსახურეობის მიმდინარეობაზე დასაკვირვებლად, (მათ შორის, მომსახურების ღირებულების და მისი სარგებლიანობის დასადგენად), ასევე გრანტის სახსრებით დაფინანსებული მომსახურების არსებობის დასადგენად, და ამგვარ ჩანაწერებს გახდის ხელმისაწვდომს ბანკის წარმომადგენლებისთვის ბანკის მოთხოვნით.

ii. შეინახოს ანგარიშები და ფინანსური ანგარიშგებები [illegible], შემოსავლებისა და ხარჯების ანგარიშები და დაკავშირებული [illegible]), რომლებიც

აუცილებელია მომსახურეობის პროგრესზე მონიტორინგისთვის, მათ შორის, მომსახურების ღირებულების და მისი სარგებლიანობის დასადგენად, და ბანკის მიერ გონივრული მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს ბანკს ამგვარი ინფორმაციის ასეთი დეტალიზებული ასლი..

iii. საშუალებას მისცემს ბანკის წარმომადგენლებს ბანკის მოთხოვნით, მოინახულონ ნებისმიერი ობიექტი, რომელიც მოიცავს ან ეხება პროექტს ან საკონსულტაციო კონტრაქტს, და შეამოწმოს ნებისმიერი გრანტის თანხით დაფინანსებულ მომსახურება და ნებისმიერ ქარხნები, დანადგარები, ადგილები,სამუშაოები, შენობები, ქონება, მოწყობილობა, ჩანაწერები და დოკუმენტები, რომელიც ეხება კლიენტის ან კონსულტანტის მიერ ვალდებულებების შესრულებას მიმდინარე ხელშეკრულების ან საკონსულტაციო კონტრაქტის თანახმად.

iv. ბანკის წარმომადგენლებს მიაწოდოს ყველა ის ინფორმაცია, რაზეც ბანკს მოთხოვნის უფლებამოსილება გააჩნია, და რომელიც ეხება პროექტს და მომსახურებას, მის ღირებულებას და შესაბამის შემთხვევაში მის სარგებლიანობას, და გრანტის თანხების ხარჯვას.

v. ბანკის წარმომადგენლებს მომზადებისთანავე წარუდგინონ ნებისმიერი გეგმა, სპეციფიკაცია, ანგარიშები, კონტრაქტები, დოკუმენტაცია (მათ შორის მიღებული შედეგები საკონსულტაციო კონტრაქტის ფარგლებში) და მასში შესული ნებისმიერი მასალები, ბანკის გონივრული მოთხოვნის საფუძველზე.

(ბ) მომსახურების დასრულებისთანავე, კლიენტი ვალდებულია მოამზადოს და წარუდგინოს ბანკს ანგარიში მითითებულ ენაზე (ინგლისური), ისეთი მოცულობით და ისეთი დეტალიზებით, როგორსაც ბანკი მოითხოვს გონივრულობის ფარგლებში, და რომელიც შეეხება მომსახურეობის აღსრულებას და მიმდინარეობას, მომსახურების სარგებლიანობას და მისგან მიღებულ დადებით შედეგებს, კლიენტის, კონსულტანტის და ბანკის მიერ შესრულებულ ვალდებულებებს საგრანტო ხელშეკრულებისა და საკონსულტაციო კონტრაქტის თანახმად.

(გ) კლიენტის მიერ წარმოებული ყველა ანგარიში და ჩანაწერი შეიქმნება Microsoft Word ან / და Excel- ის ფორმატში, თავსებადი იქნება Acrobat- თან, და შენახული იქნება როგორც დოკუმენტური, ისე ელექტრონული ფორმით.

3.03 კონფიდენციალობა

გარდა ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობისა, კლიენტი არ აძლევს უფლებას, მის აგენტებს ან/და ქვე-კონტრაქტორებს , გაანდოს მესამე პირებს, ან საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენონ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ეხება მომსახურებას, პროექტს ან ბანკს, მათ შორის [illegible] საგრანტო ხელშეკრულების ან საკონსულტაციო კონტრაქტს ფინანსურ [illegible]ების შესახებ.

კლიენტს შეუძლია უზრუნველყოს ისეთი მონაცემების და ინფორმაციის გაცემა, რომელიც მოთხოვნილია კანონით ან მოქმედი რეგულაციით, მაგრამ მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც შესაბამისი კანონმდებლობით ან მარეგულირებელი აქტით არის მოთხოვნილი. თუ ასეთი მოთხოვნა ხორციელდება, კლიენტი დაუყოვნებლივ აცნობებს ბანკს.

3.03 ოპერაციების ჩატარება

თუ ბანკი სხვაგვარად არ შეათანხმებს, კლიენტი ვალდებულია ჩაატაროს თავისი საქმიანობა და ოპერაციები (მათ შორის ნებისმიერი შვილობილთა საქმიანობა) საერთაშორისო დონეზე აღიარებული ტექნიკური ადმინისტრაციული, ტექნიკური, ფინანსური და გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და პრაქტიკის შესაბამისად კვალიფიციური და გამოცდილი მენეჯმენტის ზედამხედველობით კომპეტენტური პერსონალის დახმარებით.

მუხლი IV - წარმომადგენლობა

4.01 უფლებამოსილი წარმომადგენელი

ნებისმიერი ქმედება, რომლის შესრულებაც საჭიროა ან ნებადართულია, და ნებისმიერი დოკუმენტი, რომლის შექმნაც საჭიროა ან ნებადართულია, ამ ხელშეკრულების ფარგლებში უნდა განხორციელდეს ან შესრულდეს:

(ა) კლიენტის სახელით ---------- , ან დანიშნული წარმომადგენელის; და

(ბ) ბანკის სახელით, დირექტორი, თანა-დაფინანსსების დონორი ან ბანკის ნებისმიერი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

4.02 შეტყობინებები და მოთხოვნები

ნებისმიერი შეტყობინება, მოთხოვნა ან თანხმობა, რომელიც აუცილებელი ან ნებადართულია ამ ხელშეკრულების საფუძველზე ან მისთვის, უნდა შედგეს წერილობით, ინგლისურ ენაზე. ნებისმიერი ასეთი შეტყობინება, თხოვნა ან თანხმობა მიიჩნევა ჩაბარებულად, თუ იგი ჩაბარდა პირადად მხარის უფლებამოსილ წარმომადგენელს, რომლისთვისაც გაიცა შეტყობინება, ან როდესაც გაგზავნილია რეგისტრირებული ფოსტით, ელექტრონული ფოსტით, ან ასეთ მხარესთან ფაქსიმილიეთი შემდეგ მისამართზე:

კლიენტის მხარე:
ყურადღება: მაია ბითაძე
მისამართი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, ჟ.შარტავა №7, 0160, თბილისი, საქართველო

ტელეფონი: +995 (32) 2 378 153; +995 (32) 2 378 26

ელ. ფოსტა: m.bitadze@tbilisi.gov.ge

TBILISI BUSINESS HOUSE LLC 404482608

ბანკის მხარე:
მისამართი: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
One Exchange square
ლონდონი EC2A 2JN, გაერთიანებული სამეფო
ყურადღება: თეა მელიქაძე "ოპერაციის ხელმძღვანელი"

ტელეფონი: 213404
შიდა ნომერი:
ფაქსი: +442073386964
ელ.ფოსტა: MELIKADT@EBRD.COM

(ა) შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შემდეგ გარემოებაში:

i. პირადი მიწოდების ან რეგისტრირებული ფოსტით მიწოდების შემთხვევაში; და

ii. ელ-ფოსტისა და ფაქსიმილიების შემთხვევაში, დადასტურებულად გაგზავნის შემთხვევაში.

(ბ) მიმდინარე მუხლის თანახმად, მხარეს შეუძლია შეცვალოს შეტყობინებებისა და ინფორმაციის მიწოდებისათვის განკუთვნილი მისამართი, მეორე მხარისათვის გონივრულ ვადაში მიწოდებული გაფრთხილების საფუძველზე, ამ მუხლის შესაბამისად.

მუხლი V - შეჩერება და შეწყვეტა

5.01 კლიენტის შეტყობინება

კლიენტი დაუყოვნებლივ აცნობებს ბანკს საკონსულტაციო კონტრაქტის შეჩერების ან შეწყვეტის თაობაზე, ან ნებისმიერი რმ შემთხვევაში, რაც გამოიწვევს საკონსულტაციო კონტრაქტის შეჩერებას ან შეწყვეტას.

5.02 გადახდების შეჩერება

თუ რომელიმე ქვემო აღნიშნული მოვლენა მოხდა და გაგრძელდება, ბანკს შეუძლია წერილობით შეატყობინოს კლიენტს და დაუყოვნებლივ შეაჩეროს სრულად ან ნაწილობრივ გადახდები კონსულტანტის მიმართ ამ ხელშეკრულების პირობების თანახმად:

(ა) ბანკი აჩერებს გადახდებს სესხის ან ინვესტიციების სახით, კლიენტის პ როექტისთვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

(ბ) საკონსულტაციო კონტრაქტი ჩერდება [illegible] ყდებულ საკონსულტაციო კონტრაქტის პირობების შესაბამისად.

(გ) კლიენტმა ვერ შეძლო კონსულტანტისთვის საკონსულტაციო ინვოისით არაპირდაპირი გადასახადების (დღგ-ს ჩათვლით) ან [illegible] ვალდებულების (ან მისი ნაწილის) დროულად გადახდა საკონსულტაციო [illegible] ტრაქტის პირობების შესაბამისად.

BUSINESS HOUSE LLC 4482608

(დ) წარმოიშვა ნებისმიერი სხვა პირობა, რომელიც ბანკის გონივრულ აზრით, ხელს უშლის ან უქნის საფრთხეს, მომსახურების ან პროექტის წარმატებულ განხორციელებას, ან მიმდინარე ხელშეკრულების მიზნის მიღწევას.

5.03 ბანკის მიერ ამ ხელშეკრულების შეწყვეტა

(ა) ბანკს შეუძლია წერილობითი შეტყობინების საფუძველზე კლიენტთან შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება, თუ:

i. ნებისმიერი პირობა რომელიც მითითებულია მუხლში 5.02, გრძელდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში, მას შემდეგ რაც ბანკი მთლიანად ან ნაწილობრივ შეაჩერებს გადახდებს კონსულტანტისათვის და კლიენტს წერილობით შეატყობინებს ამის შესახებ; ან
ii. სესხის ხელშეკრულება ან პროექტის სააქციო კაპიტალის ხელშეკრულება, ასეთების არსებობის შემთხვევაში, ან საკონსულტაციო კონტრაქტის მოქმედების ვადა გასულია ან შეწყვეტილია მისი პირობების შესაბამისად; ან
iii. კლიენტმა არ შეასრულა „კლიენტის ვალდებულების" ან მისი ნაწილის გადახდა კონსულტანტისაგან ინვოისის მიღებიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაშ; ან
iv. კლიენტი და ბანკი თანხმდებიან შეწყვიტონ მოქმედება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; ან
v. დონორი აუქმებს გრანტის დაფინანსებას.

(ბ) ნებისმიერ შემთხვევაში ბანკს შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება კლიენტისთვის არანაკლებ ორმოცი დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით.

5.04 შეწყვეტის პროცედურა

ამ ხელშეკრულების 5.03 პუნქტის შესაბამისად, მისი მოქმედების შეწყვეტიდან , კლიენტმა უნდა მიიღოს დაუყოვნებლივი ზომები დანაკარგების შესამცირებლად და მომდევნო დანახარჯების მინიმუმამდე დასაყვანად .

მუხლი VI ზოგადი

6.01 პასუხისმგებლობის გამორიცხვა

წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი სხვა დებულების მიუხედავად, ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის ან კონსულტანტის წინაშე ამ ხელშეკრულების ან საკონსულტაციო კონტრაქტის შესაბამისად, ნებისმიერი დანაკარგის ან ზიანისათვის, გამოწვეული ბანკის დაუდევარი მოქმედებით ან უმოქმედობით. ეს დებულება არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, თუ ბანკის ნებისმიერ [illegible] მოქმედება ან

უმოქმედობა იწვევს კლიენტის პერსონალის ან კონსულტანტის ექსპერტების სხეულის დაზიანება ან გარდაცვალებას.

6.02 ზარალისაგან დაცვა

კლიენტი ვალდებულია გაითვალისწინოს ბანკის პრივილეგიები და სამართლებრივი იმუნიტეტი და დაიცვას ბანკი, მისი დირექტორები, ოფიცრები, თანამშრომლები, აგენტები და კონტრაქტორები ყველანაირი პრეტენზიის, ზიანის, ხარჯების, ვალდებულებების, სამართალწარმოების და დანაკარგებისგან, რომლებიც წარმოიშვა კლიენტის ან კონსულტანტის, მათი თანამშრომლების, ქვეკონტრაქტორების ან აგენტების ნებისმიერი ქმედების ან უმოქმედობის გამო, ან მათ მიერ ჩადენილი დარღვევის გამო, ამ ხელშეკრულებით ან საკონსულტაციო კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

6.03 აკრძალული პრაქტიკა

ბანკს, ამ ხელშეკრულების ნებისმიერი სხვა სამართალდამცავი საშუალების დარღვევის გარეშე, შეუძლია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება, თუ კლიენტი ან / და კონსულტანტი, გახდა რომელიმე აკრძალული პრაქტიკის მონაწილე კონკურენსშო მონაწილეობისას ან საკონსულტაციო კონტრაქტის შესასრულებისას.

"იძულებითი პრაქტიკა" ნიშნავს პირდაპირ ან ირიბად ნებისმიერი მხარის ან მისი ქონების მიმართ ზიანის მიყენებით დამუქრებას, , რათა შეუსაბამო ზეგავლენა მოახდინოს მხარის ქმედებებზე;

"შეთქმულებითი პრაქტიკა" ნიშნავს ორ ან მეტ მხარეს შორის მოლაპარაკებას , რომელიც მიზნად ისახავს არასათანადო მიზნის მიღწევას, მათ შორის სხვა მხარის ქმედებებზე არასათანადო ზეგავლენას;

"კორუმპირებული პრაქტიკა" ნიშნავს რაიმე ღირებულის პირდაპირ თუ ირიბად, შეთავაზებას, მიცემას, მიღებას ან მოთხოვნას, რათა შეუსაბამო ზეგავლენა მოახდინოს მეორე მხარის მოქმედებებზე;

"თაღლითური პრაქტიკა" ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას ან უმოქმედობას, მათ შორის, არასწორად წარმოდგენილ ინფორმაციას, რომელსაც შეგნებულად თუ დაუფიქრებლად შეცდომაში შეჰყავს, ან ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მხარე, რათა მიიღოს ფინანსური ან სხვა სარგებელი, ან თავიდან აიცილოს ვალდებულება.

ბანკის რესურსების არასწორად გამოყენება, რაც ბანკის რესურსების არამიზნობრივად გამოყენებას გულისხმობს, იქნება ეს ჩადენილი გამიზნულად თუ უპასუხისმგებლო დაუდევრობით.

ობსტრუქციული პრაქტიკა , რაც ნიშნავს: (i) მტკიცებულებათა მატერიალური განადგურებას, გაყალბებას, შეცვლას ან დამალვას ბანკის გამოძიებასათვის, რაც აფერხებს ბანკის გამოძიებას; (ii) გამომძიებლებისათვის ყალბი განცხადებების მიწოდება, რათა მატერიალურად დააბრკოლოს ბანკის გამოძიება აკრძალული პრაქტიკის ბრალდებებზე; (iii) ვერ შეასრულა ბანკის გამოძიებისმოთხოვნილი საჭირო ინფორმაციის, დოკუმენტების ან ჩანაწერების [illegible] (iv) ემუქრება,

ავიწროებს ან აშინებს ნებისმიერ მხარეს, რათა თავიდან იქნას აცილებული ბანკის გამოძიებასთან დაკავშირებული საგნების ცოდნა ან გამოძიების ჩატარება; ან (v) აუდიტის ან ინსპექტირების ან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ბანკის საკონტრაქტო უფლებებით სარგებლობის მასალის მატერიალურად ხელის შეშლა; და

ქურდობა, რაც გულისხმობს სხვა მხარის კუთვნილი ქონების მითვისებას;

რეპრესალია, რაც გულისხმობს პირდაპირ ან ირიბად საზიანო ქმედებას, რომელიც რეკომენდირებული,დამუქრებული ან განხორციელებულია, რადგანაც პირმა შეატყობინა ბანკს ნებისმიერი ეჭვის ან მიღებულია ინფორმაციის შესახებ , რომელიც ეხება აკრძალული პრაქტიკის გამოყენებას ბანკის პროექტთან კავშირში.

ბანკის რესურსების არასწორად გამოყენება, რაც ბანკის რესურსების არამიზნობრივად გამოყენებას გულისხმობს, იქნება ეს ჩადენილი გამიზნულად თუ უპასუხისმგებლო დაუდევრობით.

6.04 ინსპექტირება და აუდიტი ბანკის მიერ

კლიენტი უფლებას აძლევს ბანკს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს, შეამოწმოს მათი ანგარიშები და ჩანაწერები, რომლებიც კავშირშია მიმდინარე ხელშეკრულების, საკონსულტაციო კონტრაქტის და მომსახურების შესრულებასთან, და საშუალებას აძლევს ბანკის მიერ დანიშნულ აუდიტორებს ჩაატარონ ანგარიშების აუდიტორული შემოწმება, ბანკის მოთხოვნისამებრ.

6.05 დაზღვევა

ამოღებულია შეგნებულად.

6.06 მარეგულირებელი კანონი და დავების გადაწყვეტა

(ა) ეს ხელშეკრულებით რეგულირდება და აგებულია ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისად. ნებიმიერი არა-საკონტრაქტო ვალდებულებები, წარმოშობილი ამ ხელშეკრულებასთან კავშირში, ან მის გარეთ, უნდა იმართებოდეს და რეგულირდებოდეს ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) ნებისმიერი წინააღმდეგობრივი დავა, ან წარმოქმნილი პრეტენზია, რომელიც დაკავშირებულია ამ ხელშეკრულებასთან, ან ვალდებულება, რომელიც წარმოქმნილია ან კავშირშია ამ ხელშეკრულებასთანნ, და რომელიც მშვიდობიანი გზით ვერ მოგვარდა, განიხილება და გვარდება არბიტრაჟის მიერ UNCITRAL- ის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, რაც ძალაში შედის და მოქმედებს ამ ხელშეკრულების თარიღის შესაბამისად. უნდა იყოს ერთი (1) არბიტრი და UNCITRAL-ისათვის უფლებამოსილების მიმნიჭებელი ორგანო უნდან იყოს LCIA (ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო). არბიტრაჟის ადგილი უნდა იყოს ლონდონი, ინგლისი, ინგლისური ენა უნდა იყოს გამოყენებული საარბიტრაჟო პროცესის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, მხარეები 1996 წლის საარბიტრაჟო აქტის შესაბამისად უარს აცხადებენ ნებისმიერი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე და [illegible] სამართლის საკითხების გადაწყვეტას ინგლისის სასამართლოებში [illegible] არ უნდა იყოს

BUSINESS HOUSE LLC 404242608

უფლებამოსილი გასცეს და კლიენტი გამოთქვამს თანხმობას, რომ არ მოიძიებს რაიმე შუალედურ უფლებას სარჩელის უზრუნველსაყოფად ბანკთან მიმართებაში, რაც შეეწინააღმდეგება UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესებს.

(გ) ხელშეკრულების არცერთი დებულება არ უნდა იყოს გაგებული, როგორც უარის თქმა, ან ცვლილება ბანკის მიერ მინიჭებულ ნებისმიერ იმუნიტეტზე, პრივილეგიასა და შეღავათზე, რომელიც აღიარებულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წესდების, საერთაშორისო კონვენციის ან ნებისმიერი მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა , ბანკმა გამოაქვეყნა ამ ხელშეკრულების 6.06 (ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო განხილვა და, შესაბამისად, სხვა პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შეუზღუდავად (მათ შორის შეუზღუდავად, მისი არქივების ხელშეუხებლობა), იგი აღიარებს, რომ მას არ გააჩნია იმუნიტეტი სარჩელისა და სამართლებრივი პროცედურისგან, ნორმატიული ინსტრუმენტის მე -5 მუხლის მე -2 პუნქტით, №757 (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (იმუნიტეტები და პრივილეგიები) ბრძანება 1991), ან მსგავსი მდგომარეობა ინგლისური კანონმდებლობით, ამ ხელშეკრულების 6.06 (ბ) ნაწილის თანახმად საარბიტრაჟო განაცხადის წარდგენის შედეგად მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

6.07 ქმედითობა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ზემოთ მითითებული თარიღის შემდგომ უკანასკნელი ხელმოწერის მომენტიდან, და დარჩება სრულად ძალაში მანამ, სანამ არ მოხდება საკონსულტაციო კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი მომსახურების დასრულება და ყველა გადახდა, თუკი იგი არ შეჩერდა ან შეწყდა V მუხლის შესაბამისად.

6.08. ხელშეკრულების ვარიაცია

ეს ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ბანკსა და კლიენტს შორის მხოლოდ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც სათანადოდ შესრულდება უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

6.09 მთლიანი ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულება, მისი ყველა დანართით, და 6.08 მუხლის თანახმად დრო და დრო შეტანილი ცვლილებების ჩათვლით, გამოხატავს მხარეებს შორის სრულ გაგებას და შეთანხმებას; არცერთი მხარე არ მიიღებს მხედველობაში არანაირ სხვა შეთანხმებას, რომელიც არ არის წინამდებარე ხელშეკრულების ნაწილი.

6.10 მემკვიდრეები

წინამდებარე შეანხმება სავალდებულოა და უცვლელია [illegible] შესაბამისი სამართალ მემკვიდრეების და მხარეთა უფლებამონაცვლე პირების სასარგებლოდ.

6.11 მესამე მხარის უფლებების გამორიცხვა

ეს ხელშეკრულება არ ქმნის რაიმე სახის უფლებას (19[illegible] [illegible]ის მიხედვით მესამე მხარის უფლებათა შესახებ), [illegible] [illegible]ცელდებოდეს

ნებისმიერი პირზე ან ორგანიზაციაზე, რომელიც არ წარმოადგენს ხელშეკრულების არცერთ მხარეს, გარდა მხარეების უფლებამოსილი და უფლებამონაცვლე პირებისა, რომლებიც ითვლებიან წინამდებარე ხელშეკრულების მონაწილეებად.

6.12 არაგაუქმებადი მუხლები

წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის ან მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ქვედანაყოფები 3.03, 6.01, 6.02, 6.03, 6.04 და 6.05 რჩება ძალაში.

6.13 ენა

ინგლისური უნდა იყოს ამ ხელშეკრულების ენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბანკის მიერ სხვა რამ არის შეთანხმებული ან მოთხოვნილი, ყველა კომუნიკაცია, დოკუმენტაცია და ანგარიშები წინამდებარე ხელშეკრულებისა და საკონსულტაციო კონტრაქტის ფარგლებში მომზადდება და წარდგენილ იქნება ინგლისურ ენაზე. საკონსულტაციო კონტრაქტის ფარგლებში ჩასაბარებელი მასალა (ანგარიშების ჩათვლით) უნდა იყოს ენგლისურ და ქართულ ენებზე, როგორც მითითებულია საკონსულტაციო კონტრაქტის დანართი I-ის 5.16 (ა) პუნქტში. ნებისმიერ სადავო საკითხზე ენასთან დაკავშირებით, ინგლისურ ვერსიას უპირატესობა ენიჭება.

6.14 დამატებითი გარანტიები

კლიენტი ვალდებულია თვითონ, ან კონსულტანტის მიერ, ნებისმიერ დროს და დროგამოშვებით, ბანკის მოთხოვნით, განახორციელოს დამატებითი დოკუმენტები და განახორციელოს შემდგომი ქმედებები ბანკის გონივრული მოთხოვნის შემთხვევაში, რათა წარადგინოს მტკიცებულებები, და განახორციელოს სრული სამართლებრივი ზეგავლენა წინამდებარე ხელშეკრულების ვადებზე, პირობებზე, განზრახვასა და მნიშვნელობაზე.

6.15 დრო არის ხელშეკრულების არსი

დრო არის ამ ხელშეკრულების მნიშვნელოვანი არსი.

6.16 ეგზემპლარები

წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შესრულდეს რამდენიმე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ითვლება დედნად, მაგრამ ყველა ერთად წარმოადგენს ერთი და იგივე ხელშეკრულებას.

6.17 ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ლოგო

კლიენტს ეცნობა, რომ ბანკის ლოგო არის რეგისტრირებული სერვისის ნიშანი და კლიენტი არ აწარმოებს ამ ლოგოს რეპროდუცირებას ბანკის წერილობითი ნებართვის გარეშე.

სათანადო წესით, მხარეებმა, რომლებმაც თავიანთი სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით მოქმედებენ, ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას ინგლისურ და ქართულ ენაზე ზემოთ აღნიშნულ წელსა რიცხვში. ინგლისურ და ქართულ ვერსიებს შორის განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ

TBILISI BUSINESS HOUSE LLC
404482608

კლიენტისთვის და მისი სახელით:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

.....

მაია ბითაძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

თარიღი:.....

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისთვის და მისი სახელით

.....

კამილა ოტო

დირექტორი, თანა-

დაფინანსების დონორი

თარიღი: .....

დანართი ა	საკონსულტაციო მომსახურეობის დამოწმების განაცხადი
დანართი ბ	საკონსულტაციო კონტრაქტი

TBILISI BUSINESS HOUSE LLC 404482608 ქ. თბილისის ბიზნეს სახლი

საგრანტო ხელშეკრულების დანართი ა

საკონსულტაციო მომსახურეობის დამოწმების განაცხადი

ხელი ეწერება კლიენტის მიერ და იგზავნება კონსულტანტის მიერ მომზადებული მომსახურეობის ინვოისებთან ერთად

ინვოისის ნომერი: ინვოისის თარიღი: ინვოისის თანხა:

საგრანტო ხელშეკრულება N: C37466/1413/9665 OL: თეა მელიქაძე

1. საკონსულტაციო კონტრაქტის თანახმად „თბილისის ავტობუსების პროექტი -ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაცია“ ["სერვისი"], დათარიღებული 2018 წლის [redacted] მარტით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა ["კლიენტი"] და SYSTRA SA FRANCE ["კონსულტანტი"] შორის; და ამ მომსახურებისთვის საგრანტო ხელშეკრულების პუნქტი 2.02(გ) თანახმად, დათარიღებული 2018 წლის -- მარტით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს ["ბანკი"] და კლიენტს შორის, კლიენტი აცხადებს, რომ:

i. კლიენტმა მიიღო და კმაყოფილია კონსულტანტის მომსახურებით, რომელიც გათვალისწინებული იყო საკონსულტაციო კონტრაქტში და იფარება თანდართული ინვოისებით;

ii. კლიენტმა შეამოწმა ინვოისი(ები) და ყველა დამხმარე დოკუმენტი, რომელიც უკავშირდება მომსახურების გაწევას საკონსულტაციო კონტრაქტის ცხრილი B- ში მითითებული თანხის შესაბამისია , დაკმაყოფილდა, და აცხადებს რომ:

(ა) ინვოისი/ინვოისები შეესაბამება კონსულტანტის მიერ მოწოდებული მომსახურებას; და

(ბ) საკონსულტაციო კონტრაქტის ცხრილ B-ში მითითებული თანხა(ები) ინვოისი(ები)ში გაწერილი თანხების ადექვატურია;

iii. ინვოისი(ები) და ყველა დამხმარე დოკუმენტაცია ამ დამოწმების განაცხადთან ერთად, გადაიგზავნა TC ინვოისის შედგენის გუნდში, ბანკის ინვოისის საკონტროლო განყოფილებაში გადახდისათვის;

iv. კლიენტმა გადაუხადა ყველა არაპირდაპირი გადასახადი კონსულტანტს უკვე წარდგენილი ინვოისების მიხედვით [redacted] დღგ-ის [redacted] და იღებს ვალდებულებას, რომ გადაიხადოს არაპირდაპირი [redacted] ინვოისები დღგ-ის

BUSINESS HOUSE LLC 404482608 თბილისის ბიზნეს სახლი

ჩათვლით სამომავლო ინვოისების მიხედვით დასტურის განაცხადის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

v. კლიენტმა კონსულტანტს გადაუხადა კლიენტის ვალდებულება და ყველა არაპირდაპირი გადასახადი დღგ-ს ჩათვლით, რაც გათვალისწინებულია კლიენტის ვალდებულებით.

2. კლიენტი აცხადებს, რომ ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ანიჭებს ბანკს უფლებამოსილებას კლიენტის სახელით საკონსულტაციო კონტრაქტის შესაბამისად გადაუხადოს თანხა კონსულტანტს .

ზემოხსენებულის დასტურად, მხარემ, რომელიც მოქმედებს თავისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, მოაწერა ხელი ამ განაცხადს ..... [თარიღი]

ამისთვის და სახელით

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

_____

TBILISI BUSINESS HOUSE LLC
404482608
ქალ. თბილისის ბიზნეს სახლი

საგრანტო ხელშეკრულების დანართი B

საკონსულტაციო კონტრაქტი

C37466/1413/9665

საქართველო

საქართველო: ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაცია და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემა

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა

და

SYSTRA SA FRANCE და შპს SPECTRUM Consulting-ის ერთობლივ საწარმოს

შორის

2018 წლის --- მარტი

საკონსულტაციო კონტრაქტი

კონტრაქტი №: C37466/1413/99665 დათარიღებული 2018 წლის -- მარტით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა (ქ. თბილისი, ჟ. შარტავას №7, 0160) (''კლიენტი'') და ერთობლივ საწარმოს შორის, რომლის წევრებია Systra SA, მისამართი 72 rue Henry Farman, Paris, 15, საფრანგეთი ("ერთობლივი საწარმოს ლიდერი") და შპს სპექტრუმ კონსალტინგი, ს/კ 205048893, მისამართი 12ბ ალ.ყაზბეგის გამზირი, თბილისი, საქართველო (ერთობლივად "ერთობლივი საწარმოს პარტნიორები", შემდგომში "კონსულტანტი") .

შესავალი

ვინაიდან 2016 წლის 11 მაისით დათარიღებული შეთანხმების შესაბამისად („სასესხო ხელშეკრულება''), რომელიც შედგა კლიენტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (''ბანკი'' EBRD), რომელიც არის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი, შექმნილი 1990 წლის 29 მაისს პარიზში ხელმოწერილი მრავალმხრივი ხელშეკრულების „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შექმნის შესახებ შეთანხმების" საფუძველზე, და რომლის სათაო ოფისი მდებარეობს One Exchange Sq, EC2A 2JN ლონდონი, გაერთიანებული სამეფო, ბანკი დათანხმდა კლიენტისათვის გამოეყო დაფინანსება პროექტის განსახორციელებლად „საქართველო: საავტობუსო ქსელის რესტრუქტურიზაცია და ინტეგრირებული ავტომატური გადახდის სისტემის დანერგვა" (''პროექტი'').

ვინაიდან კლიენტმა კონსულტანტს მიმართა იმ მომსახურების (შემდგომში "მომსახურება") გაწევის მოთხოვნით, რომელიც საჭიროა პროექტის ეფექტურად განხორციელებისთვის;

ვინაიდან კონსულტანტი დათანხმდა, უზრუნველყოს საჭირო მომსახურება ამ კონტრაქტით გათვალისწინებული პირობებით;

ვინაიდან კლიენტს და ბანკს შორის 2018 წლის -- მარტით დათარიღებული შეთანხმებით ("საგრანტო ხელშეკრულება"): (i) კლიენტი თანახმაა მომსახურების ხარჯების დასაფარად გაიღოს 300,000.00 ევრო; (ii) ბანკი თანახმაა, მოსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად EBRD-ის წილის მფლობელთა სპეციალური ფონდიდან გამოყოს გრანტი 490,000.00 ევროს ოდენობით. .

აქედან გამომდინარე, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი I

1.01 განმარტებები

ამ კონტრაქტში გამუქებული ფონტით გამოყოფილ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბანკი ან EBRD: ნიშნავს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს.

ბ) ბიუჯეტის ჩაშლა : ნიშნავს (i) ანაზღაურებაზე დაფუძნებული კონტრაქტის ტიპის შემთხვევაში (Fee Based Contract) გრაფიკს, რომელიც განსაზღვრავს განაკვეთებ ყოველდღიურ ხარჯებს, და ყველა იმ ხარჯს, რომელიც კომპენსირებას ექვემდებარება (ii) ფიქსირებული ფასის ტიპის კონტრქტის შემთხვევაში, გრაფიკს, რომელშიც მაქსიმალური საკონტრაქტო თანხა მოიცავს ყველა გადასახდელ თანხას.

გ) კლიენტი: გულისხმობს მხარეს, რომლისთვისაც მოხდება საკონსულტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

დ) კონსულტანტი: ნიშნავს მხარეს, რომელიც შეასრულებს მომსახურებას .

ე) მომსახურების გაწევის ქვეყანა: ნიშნავს ქვეყანას, სადაც მოხდება მომსახურების გაწევა ან / და კლიენტის ქვეყანა.

ვ) დონორი: გულისხმობს საგრანტო თანხების პროვაიდერს, როგორც მითითებულია საგრანტო შეთანხმების პრეამბულაში (შესავალში).

ზ) ექსპერტები: გულისხმობს იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილია ცხრილ B-ში, და რომლებიც შეასრულებენ მომსახურებას.

თ) ანაზღაურებაზე დაფუძნებული კონტრაქტი: გულისხმობს კონტრაქტს, რომლის მიხედვითაც მომსახურების საფასურის გადახდა მოხდება გაწეული მომსახურების დღეების რაოდენობისა და დღიური განაკვეთის საფუძველზე.

ი) გრანტი: ნიშნავს საკონსულტაციო კონტრაქტის დაფინანსების მიზნით დონორების მიერ ბანკის ადმინისტრირებაში გადაცემული თანხების ოდენობას.

კ) საგრანტო ხელშეკრულება: ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულებას, და მის ყველა დანართს, რომელიც შეიძლება დროდადრო შესწორდეს.

ლ) კონტრაქტი ფიქსირებული (მყარი) ფასით: ნიშნავს კონტრაქტს ფიქსირებული მაქსიმალური თანხით, რომლის მიხედვითაც მომსახურება ხდება ანაზღაურების შეთანხმებული ოდენობის საფუძველზე. .

მ) კონტრაქტის მაქსიმალური ოდენობა: გულისხმობს თანხის მაქსიმალურ ოდენობას, რომელიც შეიძლება გადახდილი იყოს კონსულტანტისათვის წინამდებარე საკონსულტაციო კონტრაქტის ფარგლებში, რომელიც ასევე მოიცავს ყველა სახის ანაზღაურებას, დასაშვებ დღიურ ხარჯებს, ანაზღაურებას დაქვემდებარებულ ხარჯებს, როგორც ეს აღწერილია დანართ 1-ში, გარდა ნებისმიერი [illegible] გადასახადებისა (მათ შორის დღგ), რომელიც აღნიშნული კონტრაქტისა და მომსახურების ფარგლებში ექვემდებარება გადახდას, მაგრამ არა კონსულტანტის მიერ.

ნ) საოპერაციო ხელმძღვანელი: ნიშნავს ბანკის თანამშრომელს, რომელიც პასუხისმგებელია ბანკის სახელით საკონსულტაციო კონტრაქტის [illegible] ხორციელების მონიტორინგზე.

ო) **მომსახურება:** ნიშნავს კონსულტანტის მიერ შესრულებულ მომსახურებას კლიენტისთვის, საკონსულტაციო კონტრაქტის ფარგლებში.

პ) **ტექნიკური დავალება:** ნიშნავს მოთხოვნებსა და მიზნებს გასაწევი მომსახურეობის პირობების ფარგლებში, სადაც მითითებულია ის მეთოდები და რესურსები რომელსაც კონსულტანტი გამოიყენებს და/ან შედეგები, რომლებიც უნდა იქნას მიღწეული როგორც ეს აღწერილია ცხრილში A.

1.02 ინტერპრეტაცია

(ა) ამ კონტრაქტის სათაურები მხოლოდ მოხერხებულობისთვისაა და გავლენას არ ახდენს მის ინტერპრეტაციაზე.

(ბ) წინამდებარე კონტრაქტშიში, აქტის მითითება არის ამ აქტისა და ამ აქტის შესაბამისი რეგულაციებისა, და რადგან ასეთი შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს და/ან შესწორდეს, მითითება ასევე მოიცავს ნებისმიერი აქტსა და რეგულაციას, რომელიც შევა ძალაში და რომელიც დაემატება ან ჩაანაცლვებს არსებულ აქტსა და რეგულაციას.

(გ) ამ კონტრაქტში, ნებისმიერი სქესის მითითება მოიცავს ყველა სხვა სქესის მითითებას, მხოლობითი რიცხვი უნდა გულისხმობდეს მრავლობითს და პირიქით, ხოლო პირთა მითითება მოიცავს კორპორაციულ, არაკორპორატიული ასოციაციებს და პარტნიორებს. პირის მითითება უნდა მოიცავდეს მემკვიდრეებს და უფლებამოსილ პირებს.

1.03 მომსახურეობები

კონსულტანტი ასრულებს მომსახურებას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკური დავალების შესაბამისად, ცხრილი A-ს მიხედვით.

1.04 დაწყების თარიღი

კონსულტანტი დაიწყებს მომსახურების გაწევას არაუგვიანეს იმ თარიღების და ღონისძიებებისა , რომელიც მითითებულია დანართში I .

მუხლი II

ექსპერტი(ები)

2.01 ექსპერტი(ები)

(ა) მომსახურება ხორციელდება ცხრილ B- ში მითითებული ექსპერტების მიერ იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ამ კონტრაქტში. კონსულტანტი და კლიენტი შეიძლება შეთანხმდნენ იმ პერიოდზე მცირე კორექტირებით, რომლებიც შეიძლება იყოს შესაბამისი მომსახურების ეფექტურად შესრულების უზრუნველსაყოფად, იმ პირობით, რომ ასეთი კორექტირება არ გამოიწვევს კონტრაქტით გათვალისწინებული მაქსიმალური გადახდების გადააჭარბებას, ანუ არ აღემატება კონტრაქტის მაქსიმალურ თანხას.

(ბ) კონსულტანტს შეუძლია მისცეს ექსპერტებს სადღესასწაულო და საავადმყოფო თავისუფალი დღეები მისი ჩვეულებრივი პრაქტიკის შესაბამისად, იმ პირობით, რომ მომსახურება დასრულდება დანართ 1 -ში და ცხრილ A-ს შესაბამისად მითითებულ ვადებში. იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი შვებულებები [illegible] ექსპერტის შფერხებას,

კლიენტს შეუძლია მოითხოვოს, რომ შვებულება შემოიფარგლოს წელიწადში ოთხი (4) კვირით.

(გ) თუკი კლიენტთან სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, , ექსპერტების ჩანაცვლება არ მოხდება, თუმცა, თუკი კონსულტანტის გონივრული კონტროლის მიღმა, რაიმე მიზეზით აუცილებელია რომელიმე ექსპერტის შეცვლა, კონსულტანტი დაუყოვნებლივ მოახდენს ჩანაცვლებას, და შეარჩევს ეკვივალენტური ან უკეთესი კვალიფიკაციის მქონე პირს, როგორც ეს განისაზღვრება ცხრილ B- ში; ასეთ შემთხვევაში საჭირო გახდება კლიენტის წერილობითი თანხმობა.

(დ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ექსპერტი, კლიენტის გადმოსახედიდან, აღმოჩნდება არაკომპეტენტური და კლიენტის აზრით ვერ ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობებს, კლიენტს შეუძლია მოითხოვოს კონსულტანტისაგან ექსპერტის ჩანაცვლება, კლიენტისათვის მისაღები კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პირით.

(ე) ექსპერტთა ჩანაცვლების შედეგად გამოწვეული ნებისმიერი ხარჯები, მუხლი 2.01 (გ) ან (დ) პუნქტის შესაბამისად, ეკისრება კონსულტანტს. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კლიენტთან სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, კონსულტანტს ეკისრება ყველა დამატებითი ხარჯი, მათ შორის მოგზაურობა და სხვა ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება რაიმე სახის ჩანაცვლების გამო, ხოლო ანაზღაურება, რომელიც უნდა გაიცეს ჩანაცვლებულ პირზე, არ უნდა აღემატებოდეს იმ ანაზღაურებას, რომელიც გადასახდელი იქნებოდა ჩანაცვლებული პირისთვის.

2.02 პროექტის მენეჯერი

კონსულტანტი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ნებისმიერ დროს, რომლის დროსაც ხორციელდება მომსახურების მიწოდება დავალების ქვეყანაში, პროექტის ხელმძღვანელი, რომელიც მისაღებია კლიენტისთვის, უხელმძღვანელებს მომსახურების მიწოდების პროცესს ("პროექტის მენეჯერი"). პროექტის მენეჯერი პასუხისმგებელია კონსულტანტის სათავო ოფისსა და კლიენტს შორის კავშირზე. პროექტის მენეჯერი პასუხისმგებელია მომსახურების მიწოდების შესახებ ანგარიშის წარდგენაზე კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე გონივრულ ვადაში.

მუხლი III

კონსულტანტის გადახდები

3.01 კონტრაქტის მაქსიმალური თანხა

(ა) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები არ უნდა აღემატებოდეს თანხის საერთო რაოდენობას 790,000.00 ევროს ("კონტრაქტის მაქსიმალური თანხა").

(ბ) კონტრაქტის მაქსიმალური თანხა არ მოიცავს არაპირდაპირ გადასახადებს (მათ შორის დღგ-ს) მომსახურეობაზე, თუ ისინი ექვემდებარებიან გადახდას მიმდინარე ხელშეკრულების შესაბამისად.

(გ) წინამდებარე ხელშეკრულების ან მასში მოქცეული მომსახურებისათვის გადასახდელ ნებისმიერ არაპირდაპირი გადასახადს კონსულტანტისთვის [illegible] ლენტი. ამ ქვე-

პუნქტის დებულება არ გამოიყენება რომელიმე კონსულტანტის ქვე-კონტრაქტორებისათვის..

(დ) გრანტის არცერთი ელემენტი არ გამოიყენება ზემოთ ხსენებული (გ) ქვეპუნქტში აღნიშნული ნებისმიერი არაპირდაპირი გადასახადის დასაფინანსებლად.

3.02 გადახდის ვალუტა

თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული კლიენტსა და კონსულტანტს შორის, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი გადახდა განხორციელდება დანართ I- ში მითითებულ ვალუტაში.

3.03 კონსულტანტის ანაზღაურება

(ა) კლიენტი ვალდებულია გადაუხადოს კონსულტანტს ან გამოიწვიოს გადახდა კონსულტანტისათვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, კონტრაქტის მაქსიმალური თანხის ფარგლებში, აგრეთვე გადაიხადოს ნებისმიერი არაპირდაპირი გადასახადი (დღგ-ის ჩათვლით) ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

(ბ) თუ საფასური გამოხატულია ყოველდღიური განაკვეთის მიხედვით, მომსახურებაზე გაწეული დრო უნდა განისაზღვროს სამუშაო დღეების რაოდენობაზე დაყრდნობით, რომელიც ექსპერტების მიერ ფაქტიურად დაიხარჯა მომსახურეობის გაწევისას, მგზავრობის ხანგრძლივობის ჩათვლით. თუ კლიენტსა და კონსულტანტს შორის სხვაგვარად არაა შეთანხმებული, კონსულტანტს არ უნდა მიეცეს არანაირი ანაზღაურება შესრულებული სამუშაოსთვის გარდა დანართ 1-ში მითითებულ განსაზღვრულ ვადებისა. ყოველთვიურად გადასახდელი საფასურის გაანგარიშება დაეფუძნება კალენდარული თვის მაქსიმუმ ოცდაორი (22) სამუშაო დღის განმავლობაში.

(გ) თუ საფასური გამოხატულია ყოველდღიური განაკვეთის მიხედვით, საფასური - თუ ეს სხვაგვარად არ არის განსაზღვრული ცხრილში B - მოიცავს კონსულტანტის და / ან ექსპერტების:

i. ზედნადები ხარჯები;
ii. დამხმარე მომსახურება, როგორიცაა სამდივნო და კვლევითი მომსახურება;
iii. ადმინისტრაციული ხარჯები, როგორიცაა ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი და დოკუმენტაციის ხარჯები,
iv. მოწყობილობები და საოფისე საშუალებები; და
v. სხვა განსხვავებული ხარჯები, რომლებიც შეიძლება გაწეული იქნას მომსახურების მიზნებისათვის, თუ ეს სხვაგვარად არ არის განსაზღვრული ცხრილ B-ში.

დღიური ხარჯები და დანამატები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, გადაიხდება ცალკე ცხრილი B-ს მიხედვით.

(ა) თუ ანაზღაურება გამოიხატება ფიქსირებული მაქსიმალური თანხის კონტრაქტის შესაბამისად, მაშინ ის უნდა მოიცავდეს კონსულტანტის ან / და ექსპერტების:

i. ზედნადები ხარჯებს;
ii. დამხმარე მომსახურება, როგორიცაა სამდივნო და კვლევითი მომსახურება;
iii. ადმინისტრაციული ხარჯები, როგორიცაა ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი და დოკუმენტაციის ხარჯები,
iv. მოწყობილობები და საოფისე საშუალებები; და

404482608 BUSINESS HOUSE LLC

სხვა განსხვავებული ხარჯები, ნებისმიერი დღიური ხარჯისა და სამივლინებო ხარჯების ჩათვლით, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას, და გაწეული იქნას მომსახურების მიზნებისათვის, თუ ეს სხვაგვარად არ არის განსაზღვრული ცხრილ B-ში.

(ბ) ზედნადები ხარჯები, იქნება ეს ყოველდღიური განაკვეთი თუ ერთიანი გადასახდელი თანხა, რომელიც განსაზღვრულია ცხრილში B, ითვლება ყველა შვებულების, დაზღვევის, სოციალური უზრუნველყოფის ან საპენსიო საფასურების ან შეღავათების გათვალისწინებით, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელი შეიძლება იყოს კონსულტანტი ან / და ექსპერტი, ან გახდეს პასუხისმგებელი ვალდებულებების შესრულებისას (კანონით ან შეთანხმების საფუძველზე), კონტრაქტის მოქმედების ვადის განმავლობაში. ყოველი კონსულტანტი იღებს სრულ და ერთპიროვნულ პასუხისმგებლობას, რომ დაიცავს ყველა კანონს, რეგლამენტს, ადმინისტრაციულ წესს და მითითებას ამასთან მიმართებაში და აუნაზღაურებს კლიენტს კლიენტის მიმართ წამოყენებულ ნებისმიერი პრეტენზიას ამგვარი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, რომელიც წარმოიშვა კონტრაქტის დასრულებამდე ან შეწყვეტამდე, ან მას შემდეგ.

3.04 კონსულტანტის სარგებელი და ხარჯები

თუ ხელშეკრულების ტიპი ანაზღაურებაზე დაფუძნებული კონტრაქტია, კონსულტანტისათვის შესაძლებელია გადახდილი იყოს შემდეგი საფასურები და ხარჯები, თუ ეს განსაზღვრულია ცხრილ B-ში, კონტრაქტის დებულებების შესაბამისად:

(ა) დღიური ხარჯები იმდენი ღამისთვის, რამდენიც ექსპერტს მოეთხოვება რომ გაატაროს მისი ჩვეული საცხოვრებლიდან შორს. დღიური ხარჯების ანაზღაურება მოიცავს სასტუმროს ოთახს, კვებასა და შემთხვევით ხარჯებს, მაგრამ არა ადგილობრივი მგზავრობის ხარჯებს. თუ ეს სხვაგვარად არ არის განსაზღვრული ცხრილ B- ში, ყოველდღიური ხარჯები გაიცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღიური განაკვეთით, რომელიც ძალაში იქნება იმ დროისათვის დავალების ქვეყანაში, როგორც ეს გამოქვეყნებულია სათაურით „ ყოველდღიური სუბსიდირების განაკვეთი“ საერთაშორისო სამოქალაქო მომსახურეობის კომისიის მიერ. დღიური ხარჯები არ უნდა გაიცეს შვებულების პერიოდისათვის ან დაბრუნების დღისათვის.

(ბ) საცხოვრისის ანაზღაურება, როდესაც ექსპერტს მოეთხოვება რომ გაატაროს მისი ჩვეული საცხოვრებლიდან შორს და იცხოვროს დავალების ქვეყანაში სამი (3) თვე ან მეტი ვადით. ამ პერიოდის დადგენის მიზნით, ასევე ანაზღაურების მიღების მიზნით, ხანმოკლე არყოფნა დავალების ქვეყანაში არ ჩაითვლება.

(გ) სატრანსპორტო ხარჯები, რეალურად და სათანადოდ გაწეულ იქნა ექსპერტების მიერ მომსახურების გაწევის მიზნით. ყველა მგზავრობა უნდა შესრულდეს მაქსიმალურად ეფექტური მარშრუტებისა და მეთოდების მეშვეობით, ხარჯების კუთხით; საჰაერო მგზავრობა მხოლოდ ეკონომ კლასით არის ნებადართული (მგზავრობის საფასური, რომელსაც მინიჭებული აქვს კოდი Y). მისი ანაზღაურების უზრუნველყოფად საჭიროა ორიგინალი ბილეთის, ანგარიშფაქტურების, ტურისტული სააგენტოს ქვითრების და ჩასხდომის ბარათების წარმოდგენა. მატარებლით მგზავრობა შეიძლება განხორციელდეს პირველი კლასშიც, გარდა EuroStar, რომელიც უნდა იყოს [illegible] კლასის. კერძო ავტომობილით მგზავრობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს [illegible] შემთხვევაში, თუ

ეს კონტრაქტში პირდაპირ არის მითითებული. პირადი მანქანის ხარჯები ანაზღაურდება ცხრილ B- ში მითითებული კილომეტრაჟის მიხედვით .

(დ) კონსულტანტის ან ექსპერტების სხვა ხარჯები, რომლებიც წარმოიშობა პირდაპირი მომსახურებით, იმ მოცულობით, რომლებიც მითითებულია ცხრილ B.- ში

<u>ყველა ანაზღაურებადი გადასახადი აუნაზღაურდება რეალური ღირებულებით, თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული ცხრილ B- ში, და ანაზღაურებამ არავითარ გარემოებაში არ შეიძლება გადააჭარბოს კონტრაქტის მაქსიმალურ თანხას.</u>

3.05 ვალუტების შეფასება

საჭიროების შემთხვევაში, საჭიროა ერთი ვალუტის თანხის ეკვივალენტი განისაზღვროს მეორე ვალუტაში, შემდეგი მიზნებისთვის:

(ა) მაქსიმალური კონტრაქტის თანხის გაანგარიშება; ან

(ბ) ანაზღაურებადი ხარჯების გადახდა

კონვერტაცია, თუ ის კონვერტირებადია, უნდა შესრულდეს გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც ინვოისის გაცემის თვის პირველ ორშაბათს დადგენილია Financial Times-ის მიერ, ან ვალუტის კურსის მტკიცებულების წარდგენის საფუძველზე ადგილობრივი ვალუტის შეძენისას შესაბამისი ანაზღაურებადი ხარჯების გასაწევად.

3.06 გადახდის საფასური და ხარჯები

მომსახურეობის ბილინგი და გადასახადები უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

(ა) იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტის მოქმედების ვადა ორ თვეზე ნაკლებია, კონსულტანტის საკომისიოები, ყოველდღიური ანაზღაურება და ანაზღაურებადი ხარჯების გადახდა ხდება კონტრაქტის ვადის დამაკმაყოფილებელი დასრულებისას ან კონტრაქტის შეწყვეტის შემდეგ, იმის გათვალისწინებით, შესრულდა თუ არა მანამდე რაიმე საავანსო გადახდა კონსულტანტის მიმართ.

(ბ) თუ კონტრაქტის მოქმედების ვადა ორი თვე ან მეტია, კონსულტანტისათვის გადახდა მოხდება კონტრაქტში მითითებული პერიოდულობით.

(გ) კონსულტანტის მიერ წინასწარი გადახდის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სწორად წარდგენილი ინვოისის მიღებიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში, ბანკი კლიენტის სახელით გადაუხდის ან უზრუნველყოფს საავანსო გადასახადის გადახდას კონსულტანტისათვის, დანართი I- ში მითითებული პირობების გათვალისწინებით.

(დ) კონსულტანტი ვალდებულია წარუდგინოს კლიენტს ჩარიცხვის ვადის შესაბამისი პერიოდის დეტალიზებული ინვოისი, რომელიც ასახავს ამ კონტრაქტით გათვალისწინებულ გადასახდელ თანხებს, რომელსაც შეიცავს ერთვის ქვითრები, ვაუჩერები, ანგარიშფაქტურები და სხვა მტკიცებულებები, როგორც კლიენტი ან ბანკი ლეგიტიმურად მოითხოვს. საბანკო ანგარიშის დეტალები, რომელზეც გადახდა უნდა განხორციელდეს, როგორც ეს აღწერილია დანართი I- ში, უნდა ახლდეს ინვოისს. ინვოისები

უნდა იქნეს წარმოდგენილი და გადახდები შესრულებული დანართი I- ის შესაბამისად და გადასახადები იმ პროვიზიებით როგორც აღწერილია ცხრილ B.- ში მითითებული გადახდების დებულებებით. კონსულტანტი ვალდებულია ამ პუნქტში ნახსენები დეტალიზებული ინვოისის ასლი წარუდგინოს ბანკს მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და იმ გაგებით, რომ ბანკს არ ექნება უფლებამოსილება გაუშვას ინვოისის გადახდა, მანამ, სანამ თავდაპირველი ინვოისი დამტკიცდება და გადაეცემა ბანკს კლიენტის მიერ.

ნებისმიერი ინვოისის მიღებიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში , გარდა 3.06 (გ) (ზემოთ) მითითებული პუნქტისა, კლიენტი ვალდებულია დაუდასტუროს ბანკს, რომ ინვოისი სწორია და ექვემდებარება გადახდას, უგზავნის რა ბანკს ამ დასტურს და ნებართვას ინვოისის ანაზღაურებაზე.

(ე) თუ გადახდის გრაფიკი უზრუნველყოფს გადახდებს საბოლოო შედეგებით, კლიენტის მიერ შედეგის მოწონებიდან არა უგვიანეს მეთხუთმეტე (მე -15) დღისა, კონსულტანტი ვალდებულია წარუდგინოს კლიენტს და ბანკს, ინვოისი, რომელიც დეტალიზებულია ცხრილი B- ის მიხედვით, და გამოხატულია ხელშეკრულების 3.02 მუხლით გათვალისწინებულ ვალუტაში და რომელსაც თან ახლავს მიწოდების წარდგენისა და დამტკიცების შესაბამისი მტკიცებულებები, აგრეთვე საფასურის, ვაუჩერების, ბილეთების და სხვა სათანადო დამხმარე მასალების გამოყენებით.

(ვ) კლიენტს შეუძლია შეაჩეროს ან გამოიწვიოს ინვოისის სრულ ან ნაწილ თანხაზე გადახდის შეჩერება, რომელსაც არ ერთვის ზემოაღნიშნული დამამტკიცებელი დოკუმენტაცია, რომელიც გონივრულად იქნა მოთხოვნილი. თუმცა, თუ რაიმე განსხვავება იარსებებს ნებისმიერ დროს, კონსულტანტის მიერ რეალურად განხორციელებული გადახდისა და ასეთი კონსულტანტის მიერ გაწეული ხარჯების თანხის შორის, კლიენტს შეუძლია დაამატოს ან გამოაკლოს განსხვავება ნებისმიერი შემდგომი გადახდიდან(ებ).

(ზ) ნებისმიერი ხარჯების გადახდა, რომელიც გადააჭარბებს ცხრილ B-ში მითითებულ თანხებს, შეიძლება ჩაითვალოს გაუთვალისიწნებელ ხარჯებად, გათვალისწინებული შესაბამისი შეფასებებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ხარჯები კლიენტის მიერ წერილობითი ფორმით არის გაწერილი მათ გამოვლენამდე და არ აჭარბებს მაქსიმალური კონტრაქტის თანხას.

(თ) საბოლოო გადახდა ამ მუხლის 3.06 პუნქტით უნდა მოხდეს მხოლოდ საბოლოო ანგარიშის დასრულების და საბოლოო ინვოისის ჩაბარების შემდგომ, რომელსაც კონსულტანტი წარადგენს და კლიენტის მიერ დამაკმაყოფილებლად შეფასდება და დამტკიცდება.

(ი) კლიენტის მიერ ნებისმიერი შესრულებული გადახდა, რომლის ოდენობაც კონტრაქტით გათვალისწინებული არ იყო ან (ii) ნებისმიერი ოდენობა, რომელიც აჭარბებს ფაქტიურად წარმოქმნილ საკომისიოებს და ხარჯებს (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეთანხმებულია, რომ გადახდა მოხდეს ფიქსირებული საკომისიო ან ერთიანი გადახდის ტიპით)) ანაზღაურდება კონსულტანტის მიერ კლიენტის სასარგებლოდ არაუგვიანეს 30 დღის განმავლობაში შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან.

(კ) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონსულტანტისადმი ყველა გადახდა უნდა შესრულდეს მხოლოდ დანართი I- ში მითითებულ კონსულტანტის საბანკო ანგარიშზე

მუხლი IV
კლიენტის ვალდებულებები

4.01 დადასტურება

კლიენტი ადასტურებს, რომ მას შეუძლია, დადოს კონტრაქტი და შეასრულოს ის, და რომ კონტრაქტი წარმოადგენს კლიენტის მოქმედების კანონიერ, მოქმედ და სავალდებულო ვალდებულებას მისი პირობების შესაბამისად.

4.02 გადასახადები და მოვალეობები

(ა) მუხლი 5.03 პუნქტის თანახმად, კლიენტი იყენებს მაქსიმალურ ძალისხმევას, რათა უზრუნველყოს, რომ დავალების ქვეყნის მთავრობამ გაათავისუფლოს კონსულტანტი ნებისმიერ გადასახადის, მოვალეობების, მოსაკრებლების, ბაჟების და სხვა გადასახადებისაგან, რომლებიც დაწესებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით დავალების ქვეყანაში. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ შეუძლია ამგვარი გათავისუფლების მიღება, ასეთი გადასახადები დაეკისრება კლიენტს. ნებისმიერი ასეთი გადასახადი არ არის გათვლილი და არ შედის მაქსიმალური კონტრაქტის თანხის ნაწილში.

(ბ) კლიენტის ვალდებულება, მოითხოვოს გადასახადების, გადასახდელების, მოსაკრებლების, ბაჟისა და სხვა გადასახადებისაგან გათავისუფლება, რომელიც წარმოიშობა შემდეგიდან:

i. კონსულტანტისთვის გადახდილი ნებისმიერი გადახდა, გარდა დავალების ქვეყნის მოქალაქეებისათვის შესრულებული გადახდებისა მომსახურეობის გაწევისთვის ; და

ii. სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული აღჭურვილობის, მასალებისა და მომარაგების მომსახურება, რომელთა განხორციელებაც შემდგომში განისაზღვრება ამ ტერიტორიებზე; და; და

iii. ნებისმიერი ქონება, რომელიც შემოტანილი იქნება დავალების ქვეყანაში კონსულტანტის, ექსპერტების ან მათი დამხმარე პირების მიერ მათი პირადი მოხმარების მიზნით, რომელსაც მოიხმარენ დავალების ქვეყანაში ან კონსულტანტის და ექსპერტის ქვეყნიდან გამგზავრების თან წაიღებენ.

(გ) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახსრებიდან გადახდილი მომსახურების გაწევის მიზნით იმპორტირებული ნებისმიერი მოწყობილობა განიხილება კლიენტის საკუთრებად.

(დ) კონსულტანტი და ექსპერტ(ებ)ი ვალდებულია დაიცვას ჩვეულებრივი საბაჟო პროცედურები ქონების იმპორტზე დავალების ქვეყანაში,

(ე) იმ შემთხვევაში, თუ კონსულტანტი ან ექსპერტ(ებ)ი ვერ დატოვებს ქვეყანას და გაასხვისებს დავალების ქვეყანაში, ნებისმიერი ქონებას, რომელიც საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლებული იყო, კონსულტანტი ვალდებულია გადაიხადოს საბაჟო გადასახადები მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

4.03 დახმარება ადგილობრივ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად

იმდენად, რამდენადაც მას შეუძლია, კლიენტი გამოიყენებს თავის საუკეთესო ძალისხმევას:

(ა) დაეხმაროს კონსულტანტს და თითოეულ ექსპერტს, რათა მიიღონ საჭირო სამუშაო ნებართვა(ები) და სხვა ისეთი დოკუმენტები, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ მათ შეასრულონ მომსახურება;

(ბ) თუ საჭიროა, დაეხმაროს ექსპერტ(ებ)ს, და, საჭიროების შემთხვევაში, მათზე დამოკიდებულ უფლებამოსილ პირებს, მიიღონ ყველა აუცილებელი შესვლისა და გასვლის ვიზის, ბინადრობის ნებართვის, გაცვლის ნებართვის და სამგზავრო დოკუმენტაცია, რომელიც საჭიროა დავალების ქვეყანაში ყოფნისას მომსახურების გასაწევად.

(გ) ხელი შეუწყოს ექსპერტ(ებ)ის და მათზე დამოკიდებული პირების პირადი მოხმარების საგნების და სამსახურებრივი მოვალეობებისათვის საჭირო ნებისმიერი ქონების საბაჟო გზით განბაჟებას;

(დ) უზრუნველყოს ყველა ასეთი ინფორმაცია მთავრობის, თანამდებობის პირებისა და წარმომადგენლებისათვის, რაც შეიძლება საჭირო ან შესაბამისი იყოს მომსახურების სწრაფი და ეფექტური შესრულებისათვის; და

(ე) დაეხმაროს კონსულტანტს, ექსპერტ(ებ)ს ან კონსულტანტის მიერ მომსახურების გაწევისათვის დასაქმებულ დამტკიცებულ ქვეკონტრაქტორებს, რომ ისინი განთავისუფლდნენ მოთხოვნებისგან დარეგისტრირდნენ ან თავიანთი პროფესიის შესაბამისი საქმიანობის განხორციელების ნებართვა მიიღონ, ან დააარსონ ინდივიდუალური თუ კორპორატიული ერთეული დავალების ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

4.04 მიწებზე წვდომა

კლიენტი იძლევა გარანტიას, რომ კონსულტანტსა და ექსპერტ(ებ)ს ექნებათ უფასო , შეუზღუდავი წვდომა ყველა მიწაზე, რომელთა ხელმისაწვდომობაც საჭიროა მომსახურების განხორციელებისათვის. კლიენტი პასუხს აგებს ამ მიწებზე ან ქონებაზე ასეთი წვდომით გამოწვეულ ზიანზე, (გარდა ინ შეთხვევებისა, როდესაც ზიანი გამოწვეულია კონსულტანტისა და ექსპერტების დაუდევრობით) და კლიენტი ვალდებულია ააცილოს პასუხისმგებლობა კონსულტანტს ნებისმიერი ასეთი ზიანისათვის.

TBILISI BUSINESS HOUSE LLC
404482608

კლიენტი თავისი კომნეტენციის ფარგლებში და შესაძლებლობის ფარგლებში, დახმარებას გაუწევს კონსულტანტს, რომ მოიპოვოს წვდომა მომსახურების გაწევისთვის საჭირო კერძო მიწებზე.

4.05 მომსახურება, ტექნიკა და აღჭურვილობა

კლიენტი ვალდებულია დროულად და უფასოდ უზრუნველყოს კონსულტანტისა და ექსპერტებისთვის მომსახურეობის მიზნებისათვის საჭირო პარტნიორები, მომსახურება, ობიექტები, მოწყობილობები და ქონება, როგორც ეს აღწერილია დანართ A-ში.

მუხლი V

კონსულტანტის ვალდებულებები

5.01 კონსულტანტის სამუშაოს ზოგადი სტანდარტი

(ა) კონსულტანტი ვალდებულია განახორციელოს მომსახურება გულმოდგინედ და ეფექტურად, და გამოავლინოს გონივრულ უნარ-ჩვევები მომსახურების გაწევისას, როგორც კონსულტანტის პროფესიულ პრაქტიკას შეესაბამება.

(ბ) კონსულტანტი იმოქმედებს ნებისმიერ დროს კლიენტის ინტერესების დასაცავად და მიიღებს ყველა გონივრულ ზომას იმისათვის, რომ ყველა ხარჯი დაიყვანოს მინიმუმამდე, მისი გონივრული პროფესიული პრაქტიკის შესაბამისად. კონსულტანტი სრულად ითანამშრომლებს ბანკთან, რათა უზრუნველყოს მისი საზედამხედველო ვალდებულებების შესრულება და მოახდენს ბანკისთვის ან დონორისათვის ანგარიშგების გამარტივებას, იმის შესახებ, თუ როგორ ხდება მათი თანხების გამოყენება მომსახურებასა და პროექტში.

5.02 ჩანაწერები

(ა) კონსულტანტი ვალდებულია აწარმოოს მკაფიო და სისტემატიური ჩანაწერები და ანგარიშები მომსახურეობის გაწევისას, იმ ფორმით და დეტალებით, როგორც ეს მიღებულია პროფესიულ პრაქტიკაში, და რომელიც საკმარისია იმის დასადგენად, რომ მე-3 მუხლით გათვალისწინებული ხარჯები მიზნობრივად იქნა გაწეული.

(ბ) კონსულტანტი ვალდებულია კლიენტისა და ბანკის სათანადო უფლებამოსილ წარმომადგენლებს დროდადრო ნება დართოს შეამოწმონ მისი ჩანაწერები და მომსახურეობასთან დაკავშირებული ანგარიშები და შექმნას ასლები და მისცეს უფლება კლიენტს, ბანკს ან ბანკის ან კლიენტის მიერ უფლებამოსილი პირს დროდადრო ასეთი ჩანაწერების და ანგარიშების აუდიტორული მომსახურება განახორციელეოს.

5.03 გადასახადების გამოყენება

კონსულტანტმა უნდა განსაზღვროს, არის თუ არა რომელიმე პირდაპირი ან არაპირდაპირი გადასახადი, დღგ-ის ჩათვლით, გადასახდელი კონსულტანტის მიერ მომსახურების, ან ამ ხელშეკრულების მიმართ. კონსულტანტი ვალდებულია სათანადო და გონივრულ ზომას ნებისმიერი გადასახადის აცილებისა ან მინიმუმამდე

შესამცირებლად, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამ კონტრაქტის რეგისტრაცია ნებისმიერი ორმხრივი შეთანხმების შესაბამისად, დონორთა და დანიშნულების ქვეყნის მთავრობას შორის დახმარების დაფინანსების გადასახადისაგან გათავისუფლების ან გაწევრიანების სახელმწიფოსა და საკონსულტაციო ქვეყნის მთავრობებს შორის ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებისგან გათავისუფლების შესახებ.

5.04 ინფორმაცია

კონსულტანტი ვალდებულია კლიენტს და ბანკს წარუდგინოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია გაწეულ მომსახურეობასთან , თუ ბანკი ან კლიენტი დროდადრო მოითხოვს მსგავს ინფორმაციას.

5.05 დავალებები და ქვეკონტრაქტები

(ა) კლიენტის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარდა, რომელზეც კლიენტმა შეიძლება უარი თქვას თავისი შეხედულებისამებრ, კონსულტანტმა არ უნდა მიანიჭოს ან გადასცეს კონტრაქტი ან მისი ნაწილი და არ განახორციელოს დამოუკიდებელი კონსულტანტის ან ქვე-კონტრაქტორის დასაქმება მომსახურების ნებისმიერ ნაწილში.

(ბ) როდესაც კონსულტანტს მიეცემა უფლება დაუკავშირდეს ინდივიდუალურ კონსულტანტებს, საკონსულტაციო ფირმებს, პარტნიორობებს ან სხვა პირებს, კონსორციუმში ან ქვეკონტრაქტორის ან გაერთიანების მეშვეობით, კონსულტანტი უზრუნველყოფს, რომ ყოველი ასეთი კონსორციუმის წევრი, ქვეკონტრაქტორი ან /და ასოცირებული პირი შეესაბამება კონსულტანტის ვალდებულებებს ამ ხელშეკრულების შესაბამისად . კონსულტანტი პასუხს აგებს ასეთი კონსორციუმის წევრების, ქვეკონტრაქტორების ან / და ასოციაციის ქმედებებისა და უმოქმედობისათვის. კონსულტანტი არ განთავისუფლდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან ასეთი ინდივიდუალური კონსულტანტების, ფირმების, პარტნიორების, პირების ან სხვა პირების გამოყენების გზით. კლიენტისა და ბანკის წინასწარი თანხმობით შეიძლება შეიცვალოს კონსულტანტის, გაერთიანების ან ქვეკონტრაქტის მოწყობის ასეთი ნებადართული ინდივიდუალური კონსულტანტები, ფირმები, პარტნიორული პირები ან სხვა პირები.

(გ) იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დამოუკიდებელი კონსულტანტები ან ქვეკონტრაქტორები კლიენტის მიერ მიჩნეულ იქნებიან არაკომპეტენტურად ან კლიენტი ჩათვლის, რომ ისინი ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას , კლიენტს შეუძლია მოსთხოვოს კონსულტანტს ამ კონსულტანტის ან ქვეკონტრაქტორის ჩანაცვლება კვალიფიციური გამოცდილებით და კლიენტისთვის მისაღები ანაზღაურების განაკვეთით, ან თავად განაგრძოს მომსახურების შესრულება.

5.06 კონფიდენციალურობა

გარდა კლიენტის წინასწარი წერილობითი თანხმობისა, კონსულტანტმა არ უნდა გაამჟღავნოს, არც გამოიწვიოს, ან ნება დართოს კონსულტანტის ექსპერტ(ებ)ს, თანამშრომლებს, აგენტებს, და ქვე-კონტრაქტორებს გაუმჟღავნონ მესამე პირს ან გამოიყენონ კონსულტანტის პირადი მიზნებისათვის ნებისმიერი ინფორმაცია, მომსახურებასთან, პროექტთან, ან ბანკთან დაკავშირებული ანაზღაურების განაკვეთების შესახებ ინფორმაციის ან კონტრაქტის პირობების

ჩათვლით. კონსულტანტმა შესაძლებელია გასცეს ასეთი მონაცემები და ინფორმაცია, თუ მოქმედი კანონითა და წესით მოთხოვნილ იქნება ეს, მაგრამ მხოლოდ ნაწილი იმ მონაცემებისა და ინფორმაციისა, რომელიც შესაბამისი კანონით ან მარეგულირებელი მოთხოვნით დაშვებული ზომით კანონიერად არის საჭირო რომ მიეწოდოს. თუ ასეთი მოთხოვნა გაკეთდა კონსულტანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კლიენტსა და ბანკს. ეს დებულება არსებობას აგრძელებს ხელშეკრულების შეწყვეტის ან დასრულების შემდეგაც კი.

5.07 აკრძალვა დამატებითი პროექტის სამუშაოზე

გარდა კლიენტისა და ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობისა, კონსულტანტი ეთანხმება, რომ ამ კონტრაქტის შეწყვეტიდან ორი წლის განმავლობაში კონსულტანტისა და ექსპერტ(ებ)ის მონაწილეობა პროექტში იქნება შეზღუდული მომსახურების უზრუნველყოფამდე, და ამასთან მოხდება მათი დისკვალიფიცირება და ნებისმიერი სხვა კონტრაქტორის, საკონსულტაციო ფირმის, მწარმოებლის ან ინდივიდის, ვისთანაც კონსულტანტი დაკავშირებულია ან დანარჩენი საქონლის მიწოდებით, სამუშაოთი და მომსახურებით (გარდა მომსახურებისა) პროექტისათვის, ან ნებისმიერი პროექტის ნაწილის ტენდერზე გატანით. ამ პუნქტის მიზნებისთვის "შვილობილი" ნიშნავს ნებისმიერ სხვა პირს, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან მეტი შუამავლების, აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის კონტროლის ქვეშ კონსულტანტთან ერთად, „კონტროლი" (ტერმინი „მაკონტროლებელი" „კონტროლირებული" და „საერთო კონტროლის ქვეშ") ნიშნავს კუთვნილებას, პირდაპირს ან არაპირდაპირს, მართვის ძალაუფლებას ან იწვევს პიროვნების მენეჯმენტის, პოლიტიკის ან ქმედებისმართვას, ან ფასიანი ქაღალდების საკუთრების მეშვეობით, კონტრაქტით, ან სააგენტოთი ან სხვაგვარად.

5.08 ინტერესთა კონფლიქტი

კონსულტანტი უნდა დარწმუნდეს, რომ არანაირი გარემოებები არ წარმოიშობა ჩართულობის ვადაში, რომელშიც კონსულტანტის მოქმედებები ხელშეკრულებით კონფლიქტშია ან შეიძლება იყოს კონფლიქტში კონსულტანტის და ექსპეტ(ებ)ის პირად ინტერესებთან, ან ნებისმიერ მომსახურებასთან, რომელიც კონსულტანტმა და ექსპეტ(ებ)მა შეუძლიათ მესამე მხარეს მიაწოდონ.

5.09 აკრძალული პრაქტიკა

კლიენტს ხელშეკრულების ზიანის მიყენების გარეშე კონსულტანტისადმი გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით შეუძლია შეწყვიტოს ეს კონტრაქტი, თუკი კონსულტანტი ან ექსპეტ(ებ)ი, კლიენტის გადაწყვეტილების ფარგლებში, ჩაერთვებიან აკრძალულ ქმედებაში ამ ხელშეკრულების აღსრულებისას. ამ პუნქტის მიზნებისათვის:

"იძულებითი პრაქტიკა" ნიშნავს პირდაპირ ან ირიბად ნებისმიერი მხარის ან მისი ქონების მიმართ ზიანის მიყენებით დამუქრებას, , რომელსაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მხარის ქმედებებზე;

"შეთქმულებითი პრაქტიკა" ნიშნავს ორ ან მეტ მხარეს შორის მოლაპარაკებას , რომელიც მიზნად ისახავს არასათანადო მიზნის მიღწევას, მათ შორის სხვა მხარის ქმედებებზე არასათანადო ზეგავლენას;

"კორუმპირებული პრაქტიკა" ნიშნავს რაიმე ღირებულის პირდაპირ თუ ირიბად, შეთავაზებას, მიცემას, მიღებას ან მოთხოვნას, რათა შეუსაბამო ზეგავლენა მოახდინოს მეორე მხარის მოქმედებებზე;

"თაღლითური პრაქტიკა" ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას ან უმოქმედობას, მათ შორის, არასწორად წარმოდგენილ ინფორმაციას, რომელსაც შეგნებულად თუ დაუფიქრებლად შეცდომაში შეჰყავს, ან ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მხარე, რათა მიიღოს ფინანსური ან სხვა სარგებელი, ან თავიდან აიცილოს ვალდებულება.

ბანკის რესურსების არასწორად გამოყენება, რაც ბანკის რესურსების არამიზნობრივად გამოყენებას გულისხმობს, იქნება ეს ჩადენილი გამიზნულად თუ უპასუხისმგებლო დაუდევრობით.

ობსტრუქციული პრაქტიკა , რაც ნიშნავს: (i) მტკიცებულებათა მატერიალური განადგურებას, გაყალბებას, შეცვლას ან დამალვას ბანკის გამოძიებასათვის, რაც აფერხებს ბანკის გამოძიებას; (ii) გამომძიებლებისათვის ყალბი განცხადებების მიწოდება, რათა მატერიალურად დააბრკოლოს ბანკის გამოძიება აკრძალული პრაქტიკის ბრალდებებზე; (iii) ვერ შეასრულა ბანკის გამოძიებასთვის მოთხოვნილი საჭირო ინფორმაციის, დოკუმენტების ან ჩანაწერების მიწოდება; (iv) ემუქრება, ავიწროებს ან აშინებს ნებისმიერ მხარეს, რათა თავიდან იქნას აცილებული ბანკის გამოძიებასთან დაკავშირებული საგნების ცოდნა ან გამოძიების ჩატარება; ან (v) აუდიტის ან ინსპექტირების ან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ბანკის საკონტრაქტო უფლებებით სარგებლობის მასალის მატერიალურად ხელის შეშლა; და

ქურდობა, რაც გულისხმობს სხვა მხარის კუთვნილი ქონების მითვისებას;

რეპრესალია, რაც გულისხმობს პირდაპირ ან ირიბად საზიანო ქმედებას, რომელიც რეკომენდირებული,დამუქრებული ან განხორციელებულია, რადგანაც პირმა შეატყობინა ბანკს ნებისმიერი ეჭვის ან მიღებულია ინფორმაციის შესახებ , რომელიც ეხება აკრძალული პრაქტიკის გამოყენებას ბანკის პროექტთან კავშირში.

5.10 დამოუკიდებელი კონტრაქტორი

აქ მოცემული არაფერი არ შეიძლება იყოს გაგებული, როგორც დაარსება ან შექმნა კლიენტსა და კონსულტანტს შორის ან ბანკსა და კონსულტანტს შორის, როგორც ბერმიერთობა ბატონსა და მომსახურეს შორის, ან დირექტორსა და აგენტს შორის გაგებული უნდა იყოს, რომ კონსულტანტი და მომსახურების გამწევი ნებისმიერი სხვა პირი გვევლინება დამოუკიდებელ კონტრაქტორად.

TBILISI BUSINESS HOUSE LLC 404482608

5.11 ზიანის ანაზღაურება

(ა) კონსულტანტმა სრულად უნდა აანაზღაუროს, საკუთარი ხარჯებით დაიცვას ან დამცველად გამოვიდეს კონსულტანტის კლიენტები და აგენტები და თანამშრომლები, ნებისმიერი და ყველა ქმედებისგან მის წინააღმდეგ, პრეტენზიები, დანაკარგები და ზიანი, წარმოშობილი კონსულტანტისა და ექსპერტ(ებ)ის ნებისმიერი დარღვევით, (i) ნებისმიერი მოქმედი კანონისა ან წესების, ან (ii) მესამე მხარის ინტელექტუალური საკუთრების უფლების, როგორიცაა საავტორო, სამრეწველო დიზაინი ან პატენტის, მომსახურების შესრულებისას.

(ბ) კონსულტანტმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი:

(i) საკუთარი ხარჯებით აანაზღაუროს, დაიცვას ან გამოვიდეს კლიენტის დამცველადა გრეთვე დაიცვას მისი აგენტები და თანამშრომლები, ყველა დამაზიანებელი ქმედების, პრეტენზიის, დანაკარგის, ან ზიანის ყველა და ნებისმიერი ქმედებისაგან რომელიც წარმოიშობა კონსულტანტის მარცხის, არასწორი ქმედების შედეგად, ან იმ უნარების არ არსებობის გამო, რომელიც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულების პუნქტ 5.01-ში(ა), თუმცა ამ პუნქტის 5.11. (ბ)-ს მიხედვით კონსულტანტის პასუხისმგებლობა იქნება შეზღუდული და შემოიფარგლება იმ მოქმედებებით, პრეტენზიებით, დანაკარგებით ან ზიანით, რომელიც პირდაპირ გამოწვეულია აქ აღნიშნული ზრუნვისა და უნარის ვერ განხორციელებით და დარღვევით, და არ მოიცავს არაპირდაპირი და შემთხვევითი ზიანის მიყენების პასუხისმგებლობას.

(ii) კონსულტანტის ყველა პასუხისმგებლობასთან ერთად, რომელიც შეიძლება კონსულტანტს წარმოექმნას ქვე პუნქტ (i)-ის მიხედვით, კონსულტანტი ვალდებულია თავისი საკუთარი ხარჯებით , თუკი კლიენტის მოთხოვნა იქნება, ხელახლა შეასრულოს მომსახურება, რომელიც კონსულტანტმა ვერ განახორციელა ან განახორციელა წარუმატებლად 5.01 (ა) პუნქტში გათვალისწინებული უნარის არქონის გამო, ან პუნქტის მოთხოვნების დარღვევის გამო თუმცა კონსულტანტს არ ეკისრება პასუხისმგებლობა მოქმედებებისთვის, მოთხოვნებისათვის, დანაკარგებისთვის ან ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია (ა) კლინეტის მიერ კონსულტანტის გადაწყვეტილების ან რეკომენდაციის მხედველობაში არ მიღების გამო, ან კლიენტის მოთხოვნით განახორციელებული იმ გადაწყვეტილების და რეკომენდაციის გამო, რომელსაც კონსულტანტი არ ეთანხმება და ეს უთანხმოება კლიენტისთვის მიწოდებულ იქნა წერილობით, ან (ბ) კონსულტანტის მითითებების არასწორად შესრულებით კლიენტის აგენტის მიერ, თანამშრომლების მიერ ან მისი დამოუკიდებელი კონტრაქტორების მიერ.

ნებისმიერ შემთხვევაში კონსულტანტის კომპენსაციამ კლიენტისადმი პუნქტი 5.11 (ბ) მიხედვით არ უნდა გადააჭარბოს დანართ I-ში მოცემულ ოდენობას.

5.12 კანონები და რეგულაციები

კონსულტატმა პატივი უნდა სცეს და დაიცვას დავალების ქვეყანაში და ნებისმიერ სხვა ადგილას მოქმედი ყველა კანონი და რეგულაცია, და უნდა გამოიყენოს მაქსიმალური ძალისმევა რათა დარწმუნდეს, რომ ექსპერტ(ებ)ი და მათზე დამოკიდებული პირები, სანამ იმყოფებიან დავალების ქვეყანაში, და ასევე ადგილობრივი თანამშრომლები, რომელიც კონსულტანტმა შესაძლოა დაიქირაოს, პატივს სცემენ და დაიცავაენ დავალების ქვეყნის ყველა კანონსა და რეგულაციას.

5.13 საკუთრების უფლება აღჭურვილობაზე .

(ა) მომსახურებისათვის კლიენტის მიერ მოწოდებული ყველნაირი აღჭურვილობა უნდა დარჩეს კლიენტის საკუთრებად და უნდა დაუბრუნდეს კლიენტს პროცედურების შესაბამისად, რომელიც განსაზღვრულია კლიენტის მიერ.

(ბ) კონსულტანტის მიერ მომსახურებისთვის მიწოდებული აღჭურვილობა და მასალები უნდა დარჩეს კონსულტანტის საკუთრებად, თუ კი სხვა შეთანხმება არ არსებობს.

(გ) აღჭურვილობა, რომელიც შეძენილია კლიენტის ან კონსულტანტის მიერ მომსახურების გაწევის მიზნით, და სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსებულია ამ ხელშეკრულების ბიუჯეტოდან, იქნება კლიენტის საკუთრება, თუ კი არ არსებობს სხვა შეთანხმება ბანკთან. ბანკმა შეიძლება კლიენტს აღჭურვილობის მიწოდება და გასხვისება მოსთხოვოს.

5.14 კლიენტის საკუთრების უფლება ანგარიშებსა და ჩანაწერებში

ყველა ანგარიში, მონაცემი და ინფორმაცია, როგორიცაა რუკები, დიაგრამები, გეგმები, მონაცემთა ბაზის სტატისტიკა და მხარდამჭერი ჩანაწერები ან მასალები, შესრულებული ან მომზადებული მომსახურების მსვლელობისას, უნდა იყოს კონფიდენციალური და უნდა იყოს კლიენტის სრული საკუთრება. კონსულტანტი თანახმაა მიაწოდოს ყველა ეს მასალა კლიენტს კონტრაქტის დასრულებისთანავე. კონსულტანტს შეუძლია დაიტოვოს ამ მონაცემების ასლი, მაგრამ არ აქვს უფლება გამოიყენოს იგი მიზნებისთვის, რომლებიც დაკავშირებული არ იქნება ამ კონტრაქტთან, კლიენტის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

5.15 დაზღვევა

(ა) კონსულტანტმა უნდა გამოიყენოს და შეინარჩუნოს საკუთარი ხარჯებით ადეკვატური პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა ისევე, როგორც ადეკვატური მესამე მხარის პასუხისმგებლობის დაზღვევა და დაზღვევა აღჭურვილობის დაკარგვის ან ზიანის შემთხვევისათვის, რომელიც შეძენილ იქნა მთლიანად ან ნაწილობრივ, კლიენტის მიერ გამოყოფილი ფონდებით. კონსულტანტი უნდა დარწმუნდეს, რომ პოლისში განსაზღვრული დაფარავის მინიმალური ოდენობა არ არის დანართ I-ში განსაზღვრულ ოდენობაზე ნაკლები. კონსულტანტმა უნდა უზრუნველყოს ასეთი დაზღვევი გაფორმდება მის მიერ მომსახურეობის გაწევის დაწყებამდე.

TBILISI BUSINESS HOUSE LLC
404482608

(ბ) კლიენტი არ აგებს პასუხს კონსულტანტის წინაშე ექსპერტ(ებ)ის, ქვე-კონტრაქტორების ან სპეციალისტების, კონსულტანტთან დაკავშირებულ ან მათ ექსპერტებთან დაკავშირებული არცერთი პირის სიცოცხლზე, ჯანმრთელობაზე, უბედურ შემთხვევაზე, მოგზაურობაზე ან სხვა დაზღვევაზე, რომელიც შესაძლოა იყოს საჭირო ან სასურველი მომსახურების მიზნებისთვის, და რომელსაც ამ მიზნებისათვის კონსულტანტი განახორციელებეს.

(გ) კლიენტი იტოვებს უფლებას მოითხოვოს ორიგინალი მტკიცებულება, რომ კონსულტანტმა მიიღო საჭირო დაზღვევა.

5.16 **პროგრამული აპლიკაციების და ანგარიშების ენა**

(ა) ყველა მოხსენება და რეკომენდაცია და კონსულტანტისგან ზოგადი კორესპონდენცია კლიენტისათვის და ყველა დოკუმენტი მომზადებული კონსულტანტის მიერ ამ კონტრაქტის შესაბამისად უნდა იყოს ენაზე, რომელიც განსაზღვრულია დანართ I-ში. .

(ბ) ყველა მოხსენება, აღმოჩენა, ინფორმაცია, სამუშაო და დოკუმენტაცია მიწოდებულ იქნას კლიენტისათვის შექმნილი პროგრამული ვერსიის აპლიკაციაში განსაზღვრული დანართ I-ში.

5.17 **კლიენტის მიერ გაწეული პროექტის მხარდაჭერა მომსახურებით ან საოფისე კეთილმოწყობით**

იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი აგვიანებს კონსულტანტისათვის პერსონალის დაქირავებას მის კეთილმოწყობას, აღჭურვას, ან უგვიანებს საკუთრებასთან წვდომას, რაც უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი კლიენტის მიერ 4.05 პუნქტის თანახმად, ან თუ მათი შესრულება ან ფუნქცია არ შეესაბამება მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია ცხრილ ა-ში, კონსულტანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კლიენტს ასეთი დაყოვნების ან სირთულის შესახებ და შეუძლია მოითხოვოს შესაბამისი მომსახურების შესრულების დროის გაზრდა, ან კლიენტის დასტურის შემდეგ, შეისყიდოს მოთხოვნილი სერვისები ან მოწყობილობები კლიენტის ხარჯებით.

5.18 **ბანკის არანაირი პასუხისმგებლობა**

კლიენტი და კონსულტანტი ამით აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ ბანკის რეცენზირებისა და გადახდების გადამუშავების გათვალისწინებით, კონსულტანტის მიერ კლიენტისთვის გაწეული მომსახურებისას, ბანკი არ უნდა იყოს პასუხისმგებელი არც კლიენტის წინაშე და და არც კონსულტანტის წინაშე რაიმე პრეტენზიის წარმოქმნის შემთხვევაში, რომელიც შეეხება საქმის წარმოებას, ხარჯებს, ვალდებულებებს, ზარალს ან დაზიანებას,, რომელიც წარმოიშობა რომელიმე კონსულტანტის, მისი თანამშრომლის, ქვე-კონტრაქტორის, ან აგენტის ქმედების ან უმოქმედობის გამო. კონსულტანტის ან ექსპერტ(ებ)ის მომსახურების გაწევის ჩათვლით, (ეს იქნება სახელშეკრულებო დაუდევარობა, გაუგებრობა თუ სხვა), დამაკმაყოფილებელი თუ არადამაკმაყოფილებელი მომსახურების გამო, ან ნებისმიერი კანონის ან რეგულაციის რაიმე დარღვევის გამო, რომელიც შეიძლება ჩადენილ[illegible] კონსულტანტის, ექსპერტ(ებ)ის ან მისი თანამშრომლების, ქვე-კონტრ[illegible]ის მიერ.

მუხლი VI

ზოგადი დებულებები

6.01 გადახდის შეჩერება

თუ რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევა მოხდა და გაგრძელდა, კლიენტს წერილობითი შეტყობინებით შეუძლია შეაჩეროს კონსულტანტისთვის გადასახდელი მთლიანი ან ნაწილობრივი თანხის გადახდა კონტრაქტის მიხედვით:

(ა) ბანკმა უფლებამოსილების ფარგლებში შეაჩერა კლიენტისთვის პროექტის ან გრანტის სახსრები;

(ბ) კონსულტანტმა ვერ მოახდინა კონტრაქტის აღსრულება, და თუ ეს გამოსწორებადია, და კონსულტანტმა მაინც ვერ შეძლო გამოსწორება ოცდაათი (30) დღის განმავლობაში, მას მერე, რაც მას კლიენტმა აცნობა ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ; ან

(გ) თუ შეიქმნა ისეთი პირობები, რომელმაც, კლიენტის გონივნრული მოსაზრების თანახმად, შეიძლება ხელი შეუშალოს მომსახურების წარმატებულ გაწევას ან კონტრაქტის მიზნების შესრულებას, ასეთ შემთხვევაში გაიცემა ოცდაათ (30) დღიანი წინასწარი წერილობითი გაფრთხილება;

6.02 კლიენტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა

(ა) თუ ჩამოთვლილთაგან რომელიმე შემთხვევა მოხდება და გაგრძელდება, კლიენტს შეუძლია კონსულტანტს წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეუწყვიტოს კონტრაქტი:

i. 6.01. მუხლში მითითებული ნებისმიერი პირობა, რომელიც გაგრძელდება ოცდაათი (30) დღის განმავლობაში მას მერე, რაც კლიენტმა შეაჩერა სრული ან ნაწილობრივი გადახდა კონსულტანტისადმი .

ii. პროექტი ან საგრანტო ხელშეკრულება ამოწურულია ან შეწყდა.

(ბ) კლიენტს შეუძლია შეაჩეროს კონტრაქტი ნებისმიერ დროს, მაგრამ არა ნაკლებ ოცდაათი (30) დღით ადრე წინასწარი წერილობითი შეტყობინებით კონსულტანტისადმი.

6.03 კონსულტანტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა

კონსულტანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კლიენტს წერილობით ნებისმიერი სიტუაციის ან მოვლენის დადგომის თაობაზე, რომელიც არ ექვემდებარება კონსულტანტის მხრიდან კონტროლს და რომელიც შეუძლებელს ხდის კონსულტანტმა შეასრულოს თავისი მოვალეობები. ასეთი სიტუაციის, [illegible] არსებობის შესახებ კლიენტის მიერ წერილობითი დასტურის შემ[illegible] კლიენტის მიერ ასეთი

შეტყობინების მიღების დღიდან ოცდაათი (30) დღის განმავლობაში პასუხის არ გაცემის შემთხვევაში, კონსულტანტი განთავისუფლდება ყველანაირი პასუხისმგებლობისგან შეტყობინების მიღების დღიდან მოვალეობების არ შესრულების გამო, და კონსულტანტს შეუძლია შეწყვიტოს კონტრაქტი არანაკლებ ოცდაათი (30) დღის წინსწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის მეშვეობით.

6.04 შეწყვეტის პროცედურა

(ა) კონტრაქტის შეწყვეტისას მუხლი 6.02.-ის თანახმად, კონსულტანტმა დაუყოვნებლივი ნაბიჯები უნდა გადადგას, რათა შეწყვიტოს მომსახურება სწრაფად და თანმიმდევრულად, შეამციროს დანაკარგი და შემდგომი ხარჯები დაიყვანოს მინიმუმამდე.

(ბ) კონტრაქტის შეწყვეტისას (თუკი ასეთი შეწყვეტა გამოწვეულ არ იქნა კონსულტანტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობით), კონსულტანტს უნდა აუნაზღაურდეს სრულად ასეთი ხარჯები, რომლებიც სათანადოდ იქნა გაწეული წინასწარ შეწყვეტის თარიღამდე და გონივრული ხარჯები, რომლებიც მომსახურების შეწყვეტით იქნა გამოწვეული, ექსპერტების დასაბრუნებელი სამგზავრო და კონსულტანტის პირადი მოხმარების საგნების და აღჭურვილობის გადაგზავნის ხარჯები, მაგრამ მას არ აქვს უფლება მიიღოს არანაირი სხვა ან შემდგომი გადახდა, ხელშეკრულების მაქსიმალური თანხის პირობების შესაბამისად.

6.05 მმართველი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

(ა) ეს კონტრაქტი ხელმძღვანელობს და რეგულირდება დანართ I-ში განსაზღვრული კანონმდებლობის მიხედვით;

(ბ) ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშობა კონტრაქტის ფარგლებს გარეთ, და რომელიც ვერ მოგვარდება მშვიდობიანი გზით მხარეებს შორის, უნდა გადაეცეს გადასაწყვეტად საერთაშორისო არბიტრაჟს, როგორც განსაზღვრულია დანართში I. მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო და სავალდებულო მხარეებისათვის და არ ექვემდებარება გადახედვას.

6.06 ფორსმაჟორი

(ა) თუ რომელიმე მხარეს დროებით არ შეუძლია ფორს მაჟორული მიზეზით ან დავალების ქვეყნის კანონებით ან რეგულაციებით შეასრულოს დაკისრებული ვალდებულებები ამ ხელშეკრულების თანახმად, და თუ ასეთი მხარე მეორე მხარეს მისცემს წერილობით შეტყობინებას ამ შემთხვევის შესახებ თოთხმეტი (14) დღის განმავლობაში მისი წარმოშობიდან, მხარის ასეთი ვალდებულება, რომელიც მას არ შეუძლია შეასრულოს ამ მიზეზის გამო უნდა გადაიდოს იმდენი ხნით, სანამ ეს შეფერხება არ დასრულდება.

(ბ) მხარეებმა უნდა მიიღონ ყველანაირი მიზანშეწონილი ზომები, რათა შეამცირონ ნებისმიერი ფორს მაჟორული შემთხვევის შედეგები.

TBILISI BUSINESS HOUSE LLC 404482808

(გ) არცერთი მხარე არ არის პასუხისმგებელი მეორე მხარის მიმართ დანაკარგისთვის ან ზიანისთვის, რომელიც შეექმნა ასეთ სხვა მხარეს და წარმოიქმნა ნებისმიერი შემთხვევის მიზეზით, რომელსაც 6.06 (ა) პუნქტი ეხება ან დაგვიანებებით, რომლებიც წარმოიქმნა ასეთი შემთხვევის გამო.

(დ) ნებისმიერი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ამ კონტრაქტის შესაბამისად მხარემ უნდა შეასრულოს რაიმე ქმედება ან ამოცანა, შეიძლება გაიზარდოს პერიოდამდე, რომელიც თანაბარია დროისა, რომლის განმავლობაშიც ამ მხარემ ვერ შეასრულა ეს ქმედებანი ფორს მაჟორული მიზეზით.

(ე) მომსახურების გაწევის შეუძლებლობის პერიოდის განმავლობაში ფორს მაჟორული შემთხვევის გამო, კონსულტანტს უფლება გააჩნია გააგრძელოს გადახდების მიღება ამ კონტრაქტის პირობების მიხედვით, ისევე როგორც აუნაზღაურდეს ყველა დამატებითი ღირებულება მიზნობრივად და აუცილებლად გაწეული მათ მიერ ამ პერიოდის განმავლობაში, და სერვისების რეაქტივაციით ამ პერიოდის დასრულების შემდგომ.

(ვ) ტერმინი „ფორს მაჟორი", როგორც აქ არის გამოყენებული, ნიშნავს დაუძლეველ ძალას, გაფიცვებს, ლოკაუტს და სხვა სამრეწველო დარღვევებს, საზოგადოებრივი მტრის ქმედებებს, ომებს, ბლოკადას, აჯანყებებს, არეულობას, ეპიდემიას, მეწყერს, მიწისძვრას, შტორმს, მეხს, წყალდიდობას, წალეკვებს, სამოქალაქო დარღვევებს, აფეთქებას და ნებისმიერი სხვა მსგავსი შემთხვევას, რომელიც არც ერთი მხარის კონტროლს არ ექვემდებარება და რომელიც ვერც ერთი მხარის მიერ ვერ გადაილახება.

6.07 კონტრაქტის ვარიაცია

კონტრაქტში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეებს შორის წერილობითი შეთანხმებით. ყველა ასეთი ცვლილება, მათ შორის ღირებულებათა შეფასების ვარიაციები და 3.01 (ბ) ქვეპუნქტში მითითებული თანხის ოდენობით, წერილობითია და უნდა იყოს ხელმოწერილი მხარეთა სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

6.08 გამოყენებადი ენა

ნებისმიერი დოკუმენტაცია ან კომუნიკაცია უნდა შესრულდეს ამ კონტრაქტის შესაბამისად ენაზე, რომელიც განსაზღვრულია დანართში I.

6.09 მთელი კონტრაქტი

ეს კონტრაქტი (მათ შორის ყველა დანართი და ცხრილი), რომელიც შესაძლებელია დროდადრო ჩასწორდეს წინამდებარე დებულების შესაბამისად, გულისხმობს სრულ შეთანხმებას მხარეებს შორის და ანაცვლებს ყველა წინამორბედ შეთანხმებას, წერილობითს თუ ზეპირს, გამოხატულს ან ნაგულისხმევს.

6.10 შესანარჩუნებელი მუხლები

შემდგომი პუნქტები 3.03(ე), 5.02, 5.06, 5.10, 5.11, 5.13, 5.14, 5.18და 6.05 უნდა შენარჩუნდნენ ამ კონტრაქტის შეწყვეტისა თუ ვადაგადაცილების შემდგომ.

TBILISI BUSINESS HOUSE LLC
404482608

მუხლი VII

ძალაში შესვლის თარიღი; სხვადასხვა

7.01 ქმედითობა

კონტრაქტი ძალაში შედის მასში განსაზღვრული თარიღიდან, და თუ უფრო ადრე არ იქნა შეწყვეტილი მისი პირობების თანახმად, დარჩება სრულ ძალაში მანამ, სანამ არ დასრულდება ყველა მომსახურება და გადახდა, რომელიც უნდა შემდგარიყო და შესაბამისად დასრულებულიყო; ამის შემდგომ მხარეები ერთობლივად განთავისუფლდებიან ყველა ვალდებულებისგან მუხლი 6.10-ის გათვალისწინებით.

7.02 უფლებამოსილი წარმომადგენელი

ნებისმიერი ქმედება, რომელიც საჭირო ან ნებადართულია, ან ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც საჭირო ან ნებადართულია ამ ხელშეკრულების მიხედვით, შეიძლება განხორციელდეს ან შესრულდეს კონსულტანტის მიერ და მისი სახელით, და კლიენტის სახელით, უფლებამოსილი პირების მიერ დანართი I-ის მიხედვით.

7.03 შეტყობინებები ან მოთხოვნები

ნებისმიერი შეტყობინება და მოთხოვნა, რომელიც საჭირო ან ნებადართულია ამ ხელშეკრულების თანახმად, უნდა იყოს წერილობით ფორმით და იმ ენაზე, რომელიც განსაზღვრულია მუხლი 6.08-ში. ჩაითვლება, რომ ასეთი შეტყობინება და მოთხოვნა ჩაითვლება ჩაბარებულად, თუკი შეტყობინება მიწოდებულია ხელით, რეგისტრირებული საფოსტო გზავნილით, ელ. ფოსტით ან ფაქსიმილიეთი იმ მხარისათვის, რომლისთვისაც ის არის განკუთვნილი; ან მიწოდებულია მხარის იმ მისამართზე, რომელიც განსაზღვრულია დანართში I, ან ნებისმიერ სხვა მისამართზე, რომელსაც ნებისმიერი მხარე მიუთითებს წერილობით, იმის უზრუნველყოფით, რომ მხარეების დასტური (ფოსტით), ელ.ფოსტის მიღება (ელ. ფოსტით) ან დასტური გადაცემა (ფაქსიმილიეთი), როგორც საქმე მოითხოვს, მიღებულ იქნება გამგზავნის მიერ.

ამის დასადასტურებლად მხარეებმა, მოქმედებენ რა თავიანთი უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით, ხელი მოაწერეს ამ კონტრაქტს ინგლისურ და ქართულ ენაზე, და თითოეული ასლი მიჩნეულია ორიგინალად იმ დღეს და წელს, რომელიც მითითებულია ზემოთ. ინგლისურ და ქართულ ვერსიებს შორის განსხვავების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ვერსიას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით

.....

მაია ბითაძე
ქ. თბილისის
მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე

თარიღი: .....

SYSTRA SA FRANCE-ისა და Spectrum Consulting-ის ერთობლივი საწარმოს სახელით

.....

ბიზნეს სახლი თბილისი
TBILISI BUSINESS HOUSE LLC
204482608

მარკ ჟოლი
ინჟინერი, დირექტორთა
საბჭოს წევრი, SYSTRA SA
თარიღი: .....

თანდართულია:

დანართი I	- საკონსულტაციო კონტრაქტის სპეციფიკური დებულებები
ცხრილი A	- ტექნიკური დავალება
ცხრილი B	- საშტატო განრიგი და ხარჯების ჩამონათვალი

TBILISI BUSINESS HOUSE LLC
404482608
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ

დანართი I

1.04 დაწყების და დასრულების თარიღი

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კლიენტი სხვაგვარ შეთანხმებას დათანხმდება, კონსულტანტმა მომსახურება უნდა დაიწყოს 2018 წლის -- მარტს (ასეთი თარიღი იწოდება „საწყის თარიღად“). მომსახურება დასრულდება 2019 წლის -- ივნისს ან იქამდე (ასეთ დღეს ეწოდება „დასასრულის თარიღი“).

3.01b კონტრაქტის მაქსიმალური ოდენობა

გადახდებმა ამ კონტრაქტის მიხედვით არ უნდა გადააჭარბოს საერთო თანხას 790,000.00 ევროს ოდენობით "მაქსიმალურ საკონტრაქტო ოდენობას"). ეს რაოდენობა არ მოიცავს არაპირდაპირ გადასახადებს, დღგ-ს ჩათვლით, თუკი ასეთი არაპირდაპირი გადასახადები გამოიყენება წინამდებარე მომსახურების ან ამ კონტრაქტის მიმართ.

3.02 გადახდის ვალუტა

ყველა გადახდა უნდა განხორციელდეს ევრო ვალუტაში.

3.06ა ანგარიშის და გადახდის მეთოდი

გადასახდელი თანხის გადახდა მოხდება შემდეგი გადახდის გრაფიკით:

ანაზღაურება იწრმოებს ერთიანი თანხის წილობრივი გადახდით გაწეული მომსახურების და შესრულებული დავალების შესახებ ანგარიშების ჩაბარების შესაბამისად, (როგორც ეს არის აღწერილი 4 მუხლში „იმპლემენტაციის საკითხები და ტექნიკური დავალების ცხრილი A-ს მიხედვით ჩასაბარებელი სამუშაობი“):

პირველი გადახდა: 118,500.00 ევრო (გამოკლებული წინასწარი გადახდა 50,000.00 ევროს ოდენობით) კლიენტის მიერ საწყისი მოხსენების მიღება/მოწონების შემდეგ;

მეორე გადახდა: 181,500.00 ევრო (გამოკლებული წინასწარი გადახდა 50,000.00 ევროს ოდენობით) კლიენტის მიერ შუალედური მოხსენების მიღება/მოწონების შედეგად;

მესამე გადახდა: 197,500.00 ევრო კლიენტის მიერ მესამე ჩასაბარებელი სამუშაოების (D3) მოწონების შემდეგ - საბოლოო შეთავაზებული სქემის გეგმა, საჯარო მომსახურების წინადადებები, სატარიფო სტრუქტურა და გადახდის სისტემა იურიდიული და მარეგულირებელი ჩარჩოთი;

მეოთხე გადახდა: 63,400.00 ევრო კლიენტის მიერ იმპლემენტაციის გეგმისა და პირველადი ბიზნეს გეგმის მოწონების შემდეგ;

მეხუთე გადახდა: 15,800.00 ევრო კლიენტის მიერ პირველი ეტაპის მუშა შეხვედრის (Workshop) მოწონების შედეგად;

მეექვსე გადახდა: 79,000.00 ევრო კლიენტის მიერ ახალი ქალაქის საერთაშორისო ბიზნეს ცენტრის საერთაშორისო გეგმის და გადახდის სისტემების ტექნიკური მოთხოვნების მოწონების შედეგად;

მეშვიდე გადახდა: 39,500.00 ევრო კლიენტის მიერ ავტობუსის ოპერატორებისთვის კონტრაქტის მუშა ვარიანტის და ქალაქისპროფესიული უნარებისა და მუმჯობესების შესახებ რეკომენდაციების მოწონების შედეგად;

TBILISI BUSINESS HOUSE LLC 204482808

მერვე გადახდა: 15,800.00 ევრო კლიენტის მიერ მეორე ეტაპის მუშა შეხვედრის (Workshop) მოწონების შედეგად;

მეცხრე გადახდა: 79,000.00 ევრო კლიენტის მიერ საბოლოო მოხსენების მოწონების შედეგად.

წინასწარი გადახდა, ისევე როგორც პირველი და მეორე გადახდა, განხორციელდება კლიენტის მიერ პირდაპირ კონსულტანტისთვის, კონსულტანტის მიერ ინვოისის წარდგენისა და კლიენტის მიერ შესაბამისი ჩასაბარებელი სამუშაოების მოწონების შემდგომ. .

დანარჩენ გადახდებს კონსულტანტისთვის განახორციელებს ბანკი კლიენტის სახელით. თითოეული გადახდა განხორციელდება ბანკის მიერ კლიენტისგან შემდეგის მიღების შედეგად: (ა) შესაბამისი გადახდის ორიგინალი ინვოისი და (ბ) კლიენტის მიერ მომსახურების შესაბამისი ნაწილების მოწონების წერილობითი დასტური და (გ) კლიენტის მიერ გადასახდელი თანხის (თუ მოთხოვნილია, მოიცავს არაპირდაპირ გადასახადებსაც) გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

3.06გ წინასწარ გადახდა

წინასწარ გადახდა იქნება **100 000** ევროს ოდენობის (" ავანსი "). ნებისმიერი ავანსი კონსულტანტის გადაეხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც კონსულტანტი კლიენტს მიაწოდებს ავანსის ტოლფასი ოდენობის და იმავე ვალუტის, მისაღებ საბანკო გარანტიას, რომელიც ძალაშია ავანსის სრულად გაქვითვამდე, როგორც ეს განსაზღვრულია კონტრაქტის პირობებით.

ავანსი უნდა აისახოს და ანაზღაურდეს კონსულტანტის პირველი და მეორე ინვოისების საფუძველზე, და თუ პირველი ინვოისი არ უტოლდება ან არ აღემატება ავანსის რაოდენობას, მაშინ ავანსი იფარება ყოველ მომდევნო ინვოისში მანამ, სანამ ავანსის სრული რაოდენობა სრულად არ ანაზღაურდება. იმ შემთხვევაში, თუ კონტრაქტი ნებისმიერი მიზეზით შეწყდა, კონსულტანტი კლიენტის მოთხოვნისამებრ დააბრუნებს ავანსის იმ ნაწილს, რომელიც, ინვოისების შესაბამისად, არ იქნა ათვისებული შეწყვეტის თარიღამდე გაწეული მომსახურებისთვის.

3.06დ კონსულტანტის საბანკო ანგარიში

მიმღები: SYSTRA
ბანკი: CREDIT AGRICOALE CIB
მისამართი : Paris la Défense -9 Quai du Président Paul Doumer
92920 PARIS LA DEFENSE Cedex
ანგარიშის ნომერი: 00000227174
Sort Code: 00010
SWIFT: BSUIFRPP
IBAN: FR76 3148 9000 1000 0002 2717 447

5.11ბ კონსულტანტის გარანტიები

5.11 (ბ) პუნქტი ექვემდებარება შემდეგ დებულებებს:

TBILISI BUSINESS HOUSE LLC
404482608

რომ კონსულტანტს ეცნობოს ასეთი ქმედებების, პრეტენზიების, დანაკარგის ან ზიანის შესახებ არა უგვიანეს 12 თვისა მომსახურების დასრულებიდან.

რომ კონსულტანტის პასუხისმგებლობის ზღვარი პუნქტი 5.11(ბ)-ით იქნას შეზღუდული ნებისმიერი გადასახდელი სადაზღვევო პროცეუდრების მიმართ კონსულტანტის დაზღვევის მაქსიმუმამდე, ან [x] მრავლდება კონტრაქტის მაქსიმალურ თანხაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მაქსიმუმი ზღვარი არ შეესაბამება ქმედებებს, პრეტენზიებს, დანაკარგს ან ზიანს, რომელიც გამოწვეულია კონსულტანტის ან ექსპერტ(ებ)ის უხეში დაუდევრობით ან უგუნური ან თვითნებური გადაცდომით.

5.15 დაზღვევა

მხარეებს შორის შეთანხმებული სადაზღვევო თანხის ოდენობა არის შემდეგი: EUR 790,000.00

5.16 ანგარიშგების ენა

(ა) ინგლისური ენა უნდა იყოს ერთადერთი ენა ყველა კომუნიკაციისათვის, დოკუმენტაციისათვის და მოხსენებებისთვის ამ ხელშეკრულების შესაბამისად, თუკი კლიენტთან სხაგვარად არ არის შეთანხმებული. ამ კონტრაქტის გათვალისწინებული ჩასაბარებელი მასალა (ანგარიშების ჩათვლით) უნდა იყოს ინგლისურ და ქართულ ენაზე. ინგლისურ და ქართულ ვერსიებს შორის განსხვავების არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ევრსიას.

(ბ) პროგრამული აპლიკაციები, რომელიც გამოიყენება უნდა იყოს Microsoft Office, თუკი კლიენტთან სხაგვარად არ არის შეთანხმებული.

6.05 მარეგულირებელი კანონი და დავების გადაწყვეტა

(ა) ეს კონტრაქტი რეგულირდება და აგებულია ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისად. ნებიმიერი არა-საკონტრაქტო ვალდებულებები, წარმოშობილი ამ კონტრაქტთან კავშირში, ან მის გარეთ, უნდა იმართებოდეს და რეგულირდებოდეს ინგლისის კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) ნებისმიერი წინააღმდეგობრივი დავა, ან წარმოქმნილი პრეტენზია, რომელიც დაკავშირებულია ამ კონტრაქტთან, ან ვალდებულება, რომელიც წარმოქმნილია ან კავშირშია ამ კონტრაქტთან, და რომელიც მშვიდობიანი გზით ვერ მოგვარდა, განიხილება და გვარდება არბიტრაჟის მიერ UNCITRAL- ის საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, რაც ძალაში შედის და მოქმედებს ამ კონტრაქტის თარიღის შესაბამისად. . უნდა იყოს ერთი (1) არბიტრი და UNCITRAL-ისათვის უფლებამოსილების მიმნიჭებელი ორგანო უნდან იყოს LCIA (ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო). არბიტრაჟის ადგილი უნდა იყოს ლონდონი, ინგლისი, ინგლისური ენა უნდა იყოს გამოყენებული საარბიტრაჟო პროცესის განმავლობაში. აქედან გამომდინარე მხარეები 1996 წლის საარბიტრაჟო აქტის შესაბამისად უარს აცხადებენ ნებისმიერი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე და ეცდებიან სამართლის საკითხების გადაწყვეტას ინგლისის სასამართლოებში. ... არბიტრი არ უნდა იყოს უფლებამოსილი გასცეს და კონსულტანტს გამოთქვამს თანხმობას, რომ არ

მოიძიებს რაიმე შუალედურ უფლებას სარჩელის უზრუნველსაყოფად კლიენტთან მიმართებაში, რაც შეეწინააღმდეგება UNCITRAL-ის საარბიტრაჟო წესებს.

(გ)კონტრაქტის არცერთი დებულება არ უნდა იყოს გაგებული, როგორც უარის თქმა, ან ცვლილება ბანკის მიერ მინიჭებულ ნებისმიერ იმუნიტეტზე, პრივილეგიასა და შეღავათზე, რომელიც აღიარებულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წესდების, საერთაშორისო კონვენციის ან ან ნებისმიერი მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

6.08 გამოყენებული სამუშაო ენა

ნებისმიერი დოკუმენტი, ამ ხელშეკრულების შესაბამისად, გარდა პუნქტ 5.16 (ა)-ში განსაზღვრული ჩასაბარებელი მასალისა, უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.

7.02 უფლებამოსილი წარმომადგენლები

(ა) კონსულტანტი, თუ იგი ფიზიკური პირი არ არის, ნიშნავს მარკ ჟოლის, ინჟინერს, თავის უფლებამოსილ წარმომადგენლად.

(ბ) კლიენტის უფლებამოსილი წარმომადგენელია: მაია ბითაძე, მერის მოადგილე.

7.03 შენიშვნები ან მოთხოვნები

კონსულტანტისთვის:

კონსულტანტის უფლებამოსილი წარმომადგენელი

სახელი:	მარკ ჟოლი ინჟინერი, დირექტორთა საბჭოს წევრი
მისამართი:	72 rue Henry Farman PARIS 15 France
ტელეფონი:	+33 6 40 36 09 90
ელ-ფოსტა:	mjoly@systra.com

კლიენტისთვის:

კლიენტის უფლებამოსილი წარმომადგენელი

სახელი:	მაია ბითაძე
მისამართი:	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ჟიული შარტავას 7, 0160, თბილისი, საქართველო
ტელეფონი:	+995 (32) 2 378 153; +995 (32) 2 378 263
ელ ფოსტა:	m.bitadze@tbilisi.gov.ge

TBILISI BUSINESS HOUSE LLC
404482608

ტექნიკური დავალება

თბილისის ავტობუსის პროექტი

"საქართველო: ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაცია და ინტეგრირებული ავტომატური გადახდის სისტემის დანერგვა"

1. შესავალი

თბილისი საქართველოს დედაქალაქია 1.46 მილიონი მოსახლეობით, რაც ეროვნული მოსახლეობის[1] 40%-ის წარმოადგენს. მუნიციპალური რაიონები მოიცავს შემდეგ ტერიტორიებს:

- ქალაქი თბილისი, შედგება 10 რაიონისაგან : ძველი თბილისი, ვაკე; საბურთალო, დიდუბე, ჩუღურეთი, გლდანი, ნაძალადევი, ისანი, სამგორი, დიდგორი. მისი მოსახლეობის რაოდენობა 1.118 მლიონია.
- ქალაქი რუსთავი, 122,900 მოსახლეობით.
- გარდაბნის მუნიციპალიტეტი, 100,100 მოსახლეობით.
- მცხეთის მუნიციპალიტეტი, 57400 მოსახლეობით.
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, 60,300 მოსახლეობით.

თბილისი განიცდის მოძრაობის გადატვირთულობას მთავარ მაგისტრალებზე დილასა და საღამოს, პიკის საათების დროს. ასევე, ჰაერის დაბინძურებასა და ხმაურიანობას. ეს ძირითადად განპირობებულია კერძო მანქანების მოხმარების გაზრდილი რაოდენობით, შეუსაბამო საგზაო ქსელისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ცუდი სისტემების არსებობის გამო. მათ შორის, ტრამვაისა და ტროლეიბუსის სერვისების გაუქმების გამო. ჰაერის დაბინძურების 80% მომდინარეობს საავტომობილო ტრანსპორტისგან და არსებობს ისტორიული შენობებისა და მონუმენტების ნგრევის პრობლემაც.

1.1. არსებული სატრანსპორტო სისტემა თბილისში

თბილისის სატრანსპორტო სისტემა შედგება:

- მეტროს ორ ხაზიანი სისტემა(მიმდინარეობს მეორე ხაზის გაფართოება/გაგრძელება);
- ავტობუსის 97 მარშრუტი;
- მიკრო ავტობუსის (მარშუტკის) 191 მარშრუტი;
- საბაგიროს 2 ხაზი

მთლიანი სისტემა ყოველწლიურად ახორციელებს 400 მილიონი მგზავრის გადაყვანას (1.1 მილიონი ყოველ დღე, საიდანაც 250,000 გადაჰყავს მეტროს).
თბილისის სახელმწიფო სატრანსპორტო კომპანია (TTC, ყოფილი "თბილისის მეტრო") არის ქალაქის ძირითადი სატრანსპორტო ოპერატორი, რომელიც ფლობს ავტობუსის 97 მარშრუტს, მეტროსა და საბაგიროს ხაზებს. 2013 წელს, მან საერთო ჯამში განახორციელა 203.2 მილიონი მგზავრობა, საიდანაც 96 მილიონი განხორციელდა მეტროთი, 106 მილიონი ავტობუსით და 1.15 მილიონი

[1] 2014 წლის აღწერის წინასწარი შედეგები (მოსახლეობის რაოდენობა 3.7 მილიონ...

საბაგიროთი. 2013 წელს მგზავრთა ტრანსპორტირების საერთო რაოდენობა, 2012 წელთან შედარებით, გაიზარდა 24.1% -ით, სადაც მეტროთი განხორციელებული მგზავრობა გაზრდილია 1.8% -ით, ავტობუსით 25.8%-ით, (GPS- ზე დაფუძნებული მართვის სისტემა და მგზავრობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მონიტორული სისტემა და გაზრდილი კონტროლი), ხოლო საბაგიროთი- 37% -ით .

ოთხი კერძო სატრანსპორტო კომპანია ამუშავებს დამატებითი ავტობუსების მარშრუტებს (მეორე და მესამე რიგის მარშრუტები), მიკროავტობუსის (მარშუტკის) მარშრუტების უმრავლესობის ჩათვლით, რომლებმაც 2011 წელს მიიღეს 20 წლიანი ლიცენზია. მომსახურება ხდება ქალაქის მიერ შემუშავებული სამარშრუტე სქემით, რომელიც განსაზღვრავს ხაზის მახასიათებლებსა და მომაახურების ხარისხს/დონეს. თუმცა, მიუხედავად ამისა, აღნიშნული სამარშრუტო სქემა მიჩნეულია კვაზი-ოპტიმალურად და ქალაქის სატრანსპორტო საჭიროებებთან შეუსაბამოდ. ძირითადად იმის გამო, რომ მეტისმეტად დიდი მოთხოვნაა მცირე ტევადობიან ავტობუსებზე და კონკურენტულ მარშრუტებზე მთავარ მაგისტრალებზე, რაც ზრდის მოძრაობის გადატვირთულობას და ხელს უშლის ავტობუსის ქსელის ეფექტურობას.

2008 წლიდან, თბილისის სატრანსპორტო კომპანია ახორციელებს ელექტრონული ბილეთების სისტემის ოპერირებას, "მეტრომანი სმარტი" (Metromani Smart), მეტროს, ავტობუსებისა და საბაგიროს სისტემებში. მუნიციპალური ტრანსპორტის (მეტრო, ავტობუსის) ერთჯერადი გადასახადი 0.5 ლარი ღირს, 90 წუთის განმავლობაში უფასო მგზავრობის ჩათვლით, ხოლო რიყე-ნარიყალას საბაგიროს ფასი შეადგენს 1.0 ლარს. ელექტრონული საბილეთო სისტემა მოიცავს განხორციელებული მგზავრობების 90%-ს. მიუხედავად იმისა, რომ კერძო სექტორის სერვისებიც მსგავსი ელექტრონული ბილეთების სისტემას იყენებს, ამ სისტემის გამოყენებით განხორციელებული მგზავრობების რაოდენობა 10%-ზე ნაკლებია. ორი სისტემიდან მიღებული შემოსავალი გროვდება ცალ-ცალკე და ამგვარად, არ წარმოადგენს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ნაწილს; ერთიჯერადი ღირებულება არის 0.8 ლარი.

ფეხით მოსიარლეთა და ტურისტული სასიარულო ზონები შემოიფარგლება ქალაქის ისტორიული ნაწილებით. პარკირებისთვის არასაკმარისი სივრცის და პარკირების მარეგულირებელი სუსტი სტრუქტურის არარსებობა იწვევს მოუწესრიგებელ პარკირებას შეუსაბამო ადგილებში.

ქალაქ თბილისის ურბანული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი განახლება თანამედროვე სტანდარტების შესბამისად წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს, რომელიც საჭიროა მისი მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებისთვის და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევისთვის. თბილისის ქუჩებში არსებული მოძრაობისთვის არასაკმარისი სივრცის გამო, იგი, ძველი ქალაქების უმრავლესობის მსგავსად, ვერ უზრუნველყოფს სატრანსპორტო საშუალებების ნაკადის გადაადგილებას, მათ შორის საზოგადოებრივი ტრანსპორტისას. ერთის მხრივ ქალაქის ლანდშაფტი და მეორე მხრივ, ავტოსატრანსპორტო საშუალებების სიმრავლე და პარკირების ადგილების ნაკლებობა (განსაკუთრებით ქალაქის ცენტრში), იწვევს გადაადგილების იმ კრიტიკულ პრობლემებს, რასაც ამჟამად ქალაქი განიცდის.

1.2 თბილისის მდგრადი ურბანული სატრანსპორტო (SUT) სტრატეგია

გარდა ამისა, თბილისის მდგრადი ურბანული სატრანსპორტო (SUT) სტრატეგია დასრულდა ახლახან, აზიის განვითარების ბანკის (ADB) მხარდაჭერით, რომელიც [illegible] ინოვაციურ მეთოდურ მითითებებს და დანერგვისთვის საჭირო პრიორიტეტულ ინტერვენციებს მულტიმოდალური და ინტეგრირებული მიდგომის გამოყენებით 2015 წლიდან 2030 წლამდე. იგი ეფუძნება სტრატეგიულ ხედვას, რომელიც უზრუნველყოფს ჯანსაღ საცხოვრებელ გარემოს (რომელიც ფოკუსირებულია ქალაქის ცენტრს აკეთებს მდგრად ურბანულ ტრანსპორტზე), თბილისის რეგიონალურ ეკონომიკურ [illegible] ინტეგრირებულ გადაქცევას და თბილისის ჩამოყალიბებას როგორც კულტურული, ტურისტული [illegible] ზრდადი ცენტრი.

სტრატეგია მოიცავს ყველა სატრანსპორტო ტიპს, მათ შორის პირად ავტოტრანსპორტებს, საზოგადოებრივ ტრანსპორტს, არამოტორიზებულ ტრანსპორტს, ასევე ინსტიტუციონალური და მიწის გამოყენების ასპექტებს საცხოვრებელი პირობების, ქალაქის მიმზიდველობის, კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური განვითარების გაუმჯობესების მიზნით.

გეგმა მოიცავს სამი კატეგორიის ღონისძიებას, დაუყოვნებლივს (2015-17), საშუალო ვადიანსა (2018-2021) და გრძელვადიანს (2022-2030), რაც ხელს უწყობს კომბინირებული ღონისძიებების ეტაპობრივ დანერგვას და ფარავს მდგრადი ურბანული გადაადგილების ყველა ასპექტს:

- მდგრადი ურბანული გადაადგილების დეტალური გეგმა და ინტეგრირებული მიდგომა (ურბანული განვითარებით)
- ინსტიტუციური რეფორმები, სატრანსპორტო ორგანოს შექმნა დაგეგმვის, განხორციელებისა და ექსპლუატაციის და ფუნქციონალურობის გაზრდის მიზნით
- არსებული მოდელის გაუმჯობესება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის მიმზიდველობის გზით.
- ძირითადი სატრანზიტო ქსელის გაფართოება და მულტიმოდალური საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელში იერარქიის დანერგვა, მათ შორის ავტობუსის და მიკრო ავტობუსის ქსელის რესტრუქტურიზაცია და პარკირების სტრატეგია
- ეკოლოგიურად სუფთა მეთოდები და ტექნოლოგიები
- უსაფრთხო და უნივერსალური ხელმისაწვდომობა
- გაუმჯობესებული სატრანსპორტო პირობები და შემცირებული საცობები
- მდგრადი ეკონომიკური და ფინანსური განვითარება, ინოვაციური დაფინანსების მექანიზმები და კერძო სექტორის მონაწილეობის გაზრდა
- ტრანზიტულობაზე ორიენტირებული განვითარება (მასობრივი სატრანზიტო მაგისტრალისა და სადგურების გასწვრივ გაზრდილი სიმჭიდროვე და შერეული მიწოდების გამოყენება)
- ცნობიერების ამაღლება, კონსულტაციები და კომუნიკაცია

წარმოდგენილი ავტობუსის რესტრუქტურიზაციის კვლევა ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს დაუყოვნებლივი სამოქმედო გეგმის (2015-2017 წლების) ფარგლებში. ამჟამად მიმდინარეობს სხვა ღონისძიებები, კერძოდ ქალაქის ურბანული დაგეგმარების გეგმის შემუშავება ქალაქის მიერ, ასევე აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ დაგეგმილი აქტივობების განხორციელება (იხილეთ ქვემოთ მოცემული და შემდეგი თავი).

1.3 სოციო- ეკონომიკური პროფილი და მოძრაობის/გადაადგილების მოდელი

საქართველოს მოსახლეობის ბოლო საყოველთაო აღწერა (2014) განხორციელდა მთელი ქვეყანის მასშტაბით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების გარდა. საყოველთაო აღწერის საბოლოო დეტალური შედეგები იქნება 2016 წლის აპრილში.

ქალაქ თბილისში ადრე შემუშავებულ იქნა მულტიმოდალური ტრანსპორტის მოთხოვნათა მოდელი (58 მაკრო-ზონა და 347 სამოგზაურო ზონა) სოციალურ-ეკონომიკური მონაცემებითა და გადაადგილების მოდელებით, რომელიც ეფუძნებოდა 2010 წელს, საფრანგეთის მთავრობის დაფინანსებით, SYSTRA / IPM- ის მიერ ჩატარებულ საყოფაცხოვრებო კვლევას. განახლებული საყოფაცხოვრებო კვლევა (შერჩევის ზომა მინიმუმ 2%) ჩატარდა მუნიციპალურ განვითარების ფონდის (MDF) მიერ 2016 წელს სოციალურ-ეკონომიკური ქცევის (მოდელირებული არჩევანი) და სატრანსპორტო მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

უნდა მოხდეს აღწერის შედეგებისა და საყოფაცხოვრებო კვლევის ინტეგრირება/გათვალისწინება ახალი სატრანსპორტო მოდელის შემუშავებისას, აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული მდგრადი ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროექტის (SUTIP) ფარგლებში.

1.4 დაფინანსება და სხვა ინიციატივები ამ სექტორში

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ("EBRD" ან "ბანკი") მხარს უჭერს ურბანულ ტრანსპორტს თბილისის ავტობუსის პროექტის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს ავტობუსების პარკის ჩანაცვლებას, თავდაპირველად შპს "თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" ხელმძღვანელობით და ამ კუთხით დახმარებას/ხელშეწყობას კომპანიის საზოგადო განვითარებისთვის; საზოგადოებრივი მომსახურების გაწევის კონტრაქტის მომზადება ("სმგკ") ქალაქსა და კომპანიას შორის, ასევე ამ პროექტის ფარგლებში ავტობუსის ქსელის რესტრუქტურიზაციის შესწავლა. განზრახულია პარკის განახლების შემდგომი პროგრამის შესაძლო გადაცემა პოტენციური კერძო სექტორის მფლობელებისთვის, მათ შორის ავტობუსების შესაძლო საიჯარო შეთანხმებების.

გარდა ამისა, ბანკმა წამოიწყო მწვანე ქალაქების ინიციატივა საქართველოსთვის, ვერიფიცირებულ მწვანე პროექტებში ინვესტიციების ჩადების მიზნით, რომლებიც ორიენტირებულია კომერციალიზაციის გაუმჯობესებასა და გარემოს დაცვის მდგრადობაზე. აღნიშნული სისტემა პასუხობს ქვეყანაში არსებულ მნიშვნელოვან გარემოსდაცვით გამოწვევებს. აღნიშნული გამოწვევა ცხადი ხდება, თუ გავითვალისწინებთ 2011 წელს საქართველოს მიერ მოხმარებული ენერგიის რაოდენობას, რომელიც ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს სამჯერ აღემატება (EIA, 2015 წ.). ასევე, ქალაქის ჰაერის დაბინძურების დაშვებულ ნორმაზე ბევრად მაღალი დონე. საქართველოს ურბანული მოსახლეობის დაახლოებით 98 პროცენტი იმყოფებოდა საშიში ნაწილაკების (PM2.5) ზემოქმედების ქვეშ. აღნიშნული მონაცემი აღემატება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მითითებებს, რომლის მიხედვითაც, საშუალოდ მაჩვენეელი ამ კუთხით არის 86 პროცენტი. (მსოფლიო ბანკი, 2015).

აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული მდგრადი ურბანული ტრანსპორტის ინვესტირების პროგრამა (SUTIP), რომელიც დამტკიცდა 2010 წელს 10 წლიანი ხელმისაწვდომობის პერიოდით, მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს მდგრად ურბანულ გადაადგილებას მთელი ქვეყნის მასშტაბით. თბილისში, მდგრადი ურბანული ტრანსპორტის ინვესტირების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ ფიზიკურ ქვეკომპონენტებში შედის თბილისის მეტროპოლიტენის მე-2 ხაზის გაფართოება და ურბანული გზის მონაკვეთის განახლება თბილისა და რუსთავს შორის, თბილისის ურბანული ტერიტორიის მეორე უდიდესი ქალაქი. ორივე ქვეპროექტი ამჟამად განხორციელების პროცესშია. თბილისის მდგრადი ურბანული ტრანსპორტის (SUT) სტრატეგიის დასრულების შემდეგ პროგრამა გეგმავს შემდეგ ღონისძიებებს:

- ტრანსპორტის საყოფაცხოვრებო კვლევა (შესყიდვის ფარგლებში)
- ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, მათ შორის სატრანზიტო მაგისტრალების და ავტობუსების სწრაფი ტრანზიტის (BRT) კონცეფციის შემუშავება (შესყიდვის ფარგლებში)
- მეტროს ქსელის განახლების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა (შესყიდვა 2016 წელს)
- მდგრადი ურბანული მობილობის გეგმა, ქალაქის საბაგიროს დეტალური სამოქმედო გეგმა და საპილოტე პროექტების მოსამზადებელი სამუშაოები (შესყიდვა ა[illegible]ის დამტკიცებული.)

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡ [illegible] HOUSE LLC

გარდა ამისა, და მგზავრობის ღირებულების ავტომატური მაკონტროლებელი სისტემის (AFC) მიწოდების დაჩქარების მიზნით, ქალაქი ამჟამად იწყებს [illegible] მგზავრობის

ღირებულების ავტომატური მართვის სისტემით შეგროვებასთან დაკავშირებით, რათა განიხილოს სხვადასხვა მოდელები სატენდერო მზადებისას, რომელიც სავარაუდოდ 2017 წელს გამოცხადდება. ამგვარად, აღნიშნული კვლევამ უნდა მიმოიხილოს AFC კვლევის ბებისმიერი შედეგი და მოახდინოს ამ შედეგების ინტეგრირება და დამატება საჭიროებისამებრ.
კონსულტანტი ვალდებულია უზრუნველყოს მჭიდრო თანამშრომლობა ამ კვლევების განმავლობაში, რათა გაუმჯობესოს მისი შედეგები და უზრუნველყოს თანხვედრა ქალაქისა და აზიის განვითრების ბანკის მიერ შემუშავებულ შესაბამის პოლიტიკასა და პროექტებს შორის. კერძოდ, ეს ეხება შემდეგ კვლევებს, რომლებიც მიზნად ისახავს ერთმანეთის ინფორმირებას შემდეგნაირად:

- ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, მათ შორის სატრანზიტო დერეფნის შექმნისა და BRT კონცეფციის შემუშავება (შესყიდვის ფარგლებში). ეს კვლევა ძირითადად ფოკუსირებული უნდა იყოს ავტობუსების ძირითად მარშრუტებზე და მიიღოს გადაწყვეტილება ავტობუსების პრიორიტეტულ მარშრუტებთან, მათ შორის BRT- სთან დაკავშირებით, მაღალი მოცულობის მქონე დერეფნების შექმნის მიზნით.
- მდგრადი ურბანული გადაადგილების დეტალური სამოქმედო გეგმა (SUMP), ქალაქის საბაგიროს დეტალური სამოქმედო გეგმა და მოსამზადებელი სამუშაოები (შესყიდვა არ არის დამტკიცებული) საპილოტე პროექტებისთვის. ამ კვლევამ უნდა შეიმუშაოს საგზაო მოდელი და მდგრადი გადაადგილების გეგმა, რომელიც გააერთიანებს პრიორიტეტულ საინვესტიციო პროექტებსა და პრიორიტეტულ ღონისძიებებს თბილისის მუნიციპალური ტერიტორიისთვის.
- მგზავრობის ღირებულების ავტომატური მართვის სისტემასთან დაკავშირებული კვლევა, რომელიც ამჟამად ტარდება ქალაქში სხვადასხვა მოდელების განხილვის მიზნით. ავტობუსების რესტრუქტურიზაციის კვლევა უზრუნველყოფს საექსპლუატაციო გეგმის შემუშავებას ავტობუსისა და მიკროავტობუსის (მარშუტკის) სრული ქსელისთვის, რომელიც ეფუძნება როგორც არსებულ პირობებს, ისე ავტობუსების პრიორიტეტულ მაგისტრალებს, როგორც ეს ზემოთ ხსენებული აზიის განვითარების ბანკის კვლევის მიხედვითაა დადგენილი. სადაც შესაძლებელია, კვლევა უნდა ურთიერთქმედებდეს და შეესაბამებოდეს მოძრაობის სამომავლო პროგნოზს და ქსელის პირობებს, როგორც ეს შემუშავებულია SUMP-ით.

სხვა მიმდინარე კვლევებთან საჭირო კოორდინაციის ტიპი და დონე დამოკიდებულია მსგავსი ტიპის კვლევების განხორციელების ვადაზე, რაც უნდა იყოს დადასტურებული. კონსულტანტი ვალდებულია შეატყობინოს და შეფასებით მოხსენებაში შესთავაზოს საკოორდინაციო დღის წესრიგად, რათა საჭიროების შემთხვევაში მიიღონ გამოსასწორებელი ზომები.

2. მიზნები

მისი მიზანია დაეხმაროს ქალაქს ავტობუსისა და მიკროავტობუსის (მარშუტკის) ახალი ქსელისა და სატარიფო სისტემის შემუშავებასა და დანერგვაში საექსპლუატაციო ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, საბილეთო სისტემის სრულ ინტეგრაციაში, რაც იძლევა კონკურენტუნარიანი ტენდერის საშუალებას ავტობუსის მომავალი მარშრუტებისთვის, ქალაქს კი შესაძლებლობა ექნება, მიაღწიოს უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაშვებულ ნორმებს. კვლევა, პირველ ეტაპზე, მოიცავს (i) საზოგადოებრივი ტრანსპორტის სექტორის, ავტობუსებისა და ფუნქციონირებისა და სატარიფო სისტემის მიმოხილვას; (ii) ახალი მარშრუტის დაგეგმვას განახლებული ქსელისა და მგზავრების კვლევის საფუძველზე; (iii) ინსტიტუციურ და მარეგულირებელ ჩარჩოს; (iv) ტარიფთან დაკავშირებით კვლევას და ტარიფის ხელმისაწვდომობას; (v) მგზავრობის ღირებულების შეგროვების ავტომატური მართვის ერთიანი სისტემის განსაზღვრას ; (vi) მგზავრობის ღირებულების შეგროვების ავტომატური მართვის ერთიანი სისტემის თავდაპირველი ბიზნეს გეგმის შემუშავებას ხოლო მეორე

ეტაპზე, (vii) ახალი სამარშრუტე ტენდერის გეგმის შემუშავებას, როგორც არსებული საზოგადოებრივი, კერძო ავტობუსისა და მიკროავტობუსების მფლობელთა, ისე ახალი მარშრუტის ტენდერების განხილვისთვის; (viii) ავტობუსისა და მგზავრობის ღირებულების შეგროვების ავტომატური მართვის ერთიანი სისტემის ფუნქციონირების კონტრაქტის პირობების განსაზღვრას; (ix) AFC სისტემის ტექნიკურ მოთხოვნებს, რომელიც შეესაბამება ინსტალაციასა და ფუნქციონირების ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სისტემას და (x) საბოლოო ბიზნეს გეგმის შემუშავება მგზავრობის ღირებულების შეგროვების ავტომატური მართვის ერთიანი სისტემის დანერგვისთვის.

3. შესასრულებელი სამუშაო

მომსახურება უნდა განხორციელდეს ორ ეტაპად:

- პირველი ეტაპის ფარგლებში უნდა განისაზღვროს რესტრუქტურიზებული ავტობუსებისა და მიკროავტობუსების (მარშუტკის) ქსელის, ტარიფის სტრუქტურისა და მგზავრობის ღირებულების შეგროვების ავტომატური მართვის ერთიანი სისტემის მოთხოვნები და შემუშავდეს საწყისი ბიზნეს ვერსია, ხოლო
- მეორე ეტაპზე მომზადდეს განხორციელების გეგმა, მათ შორის, მარშრუტის ტენდერის გეგმა, მგზავრობის ღირებულების შეგროვების ავტომატური მართვის ერთიანი სისტემის დეტალური აღწერა და მისი ფუნქციონირების დეტალური ინსტრუქცია. ასევე, შემუშავდეს სამართლებრივი და მარეგულირებელი ნორმები. კვლევის შედეგები, ყოველ ეტაპზე, უნდა იქნეს განხილული და დამტკიცდეს ქალაქისა და ბანკის მიერ დაინტერესებულ მხარეთებთან ფართო კონსულტაციების შედეგად პროექტის ვორქშოფების დროს.

<u>ეტაპი 1: ახალი ავტობუსის მარშრუტისა და AFC სისტემის მოთხოვნების განსაზღვრა და პირველადი ბიზნეს გეგმის შემუშავება</u>

ამოცანა 1. საზოგადოებრივი ტრანსპორტის დარგობრივი მიმოხილვა

კონსულტანტი მიმოიხილავს და გაანალიზებს ქალაქის სატრანსპორტო სექტორთან (მეტრო, ავტობუსი, მიკროავტობუსი "მარშუტკა", საბაგირო) დაკავშირებულ ყველა რელევანტურ დოკუმენტსა და კვლევას, მათ შორის სტრატეგიულ კვლევებს, ხელმისაწვდომ დოკუმენტაციასა და კვლევებს ტრანსპორტის განვითარებაზე, სამართლებრივ და გარემოსდაცვით ჩარჩოებს/სტრუქტურებს და ავტობუსის ფუნქციონირების ყველა მონაცემებს. კონსულტანტი შეაჯამებს და შეაფასებს არსებულ შეზღუდვებს, ისევე როგორც ადგილობრივ თავისებურებებს, რომლებიც უკავშირდება შესასრულებელ სამუშაოს ამ მიმართულებებით.

კონსულტანტი მოამზადებს თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ბაზრის მიმოხილვას, იმ კითხვების პასუხებზე დაყრდნობით, რომლებიც ვიზიტის დაწყებამდე რიგდება ქალაქში. იგი მოიცავს შემდეგ საკითხებს, თუმცა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ამ სფეროებით:

- მარეგულირებელი ჩარჩოს მიმოხილვა და ბაზისური მოწყობა;
- არსებული და დაგეგმილი მარშრუტები და მათი გაგრძელება/გაფართოება.
- მომსახურების ძირითადი პარამეტრები, მათ შორის სხვადასხვა სახის მარშრუტების რაოდენობა;

- გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობა და მათი სოციალური მდგომარეობა სოციალური შეღავათების დასაშვებობის თვალსაზრისით;
- ძირითადი ტრანსპორტის გადაჯდომები (მეტრო, ავტობუსი, მიკროავტობუსი (მარშუტკა) საბაგირო, საქალაქთაშორისო, საგარეუბნო), მათი ფუნქციონირება და პრაქტიკულობა
- მფლობელთა რაოდენობა და მათი პარკების აღწერილობა ტიპის, ზომისა და პერიოდის გათვალისწინებით,
- წლიური ბრუნვა ამ დარგში/სექტორში
- საქალაქთაშორისო და გარეუბნის საავტობუსო მარშრუტების ორგანიზება, მარშრუტები და მომსახურება

კონსულტანტი მიაწვდის მიმოიხილავს თუ როგორ ხდება ამჟამად მგზავრობის ღირებულების არსებული შემოსავლის გადახდა და მისი იძულებითი აღსრულება მუნიციპალურ და კერძო მომსახურებასთან დაკავშირებულ სერვისებში.

ამოცანა 2. ავტობუსის სექტორის ფუნქციონალური კვლევა

ა) ხელმისაწვდომი მონაცემების გადახედვა და მონაცემთა ხარვეზების იდენტიფიცირება

კონსულტანტი განიხილავს და გააანალიზებს ყველა ხელმისაწვდომ მონაცემს, რომელიც უკავშირდება ქალაქში ავტობუსის ფუნქციონირებას. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელთან დაკავშირებით მრავალფეროვანი ინფორმაცია არსებობს, მაშინ როცა კერძო სექტორთან მიმართებაში მცირე მონაცემებია ხელმისაწვდომი. აღნიშნული მიმოხილვა, ყველაფერთან ერთად უნდა მოიცავდეს:

- მგზავრების მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტის კონკრეტული ტიპის გამოყენების მონაცემებს გასული წლების მანძილზე, რაც შეიძლება დეტალურად (ხაზის / მოდელის / კომპანიისა და ა.შ. მიხედვით და საათების/ დღეების / თვეების / წლების და სხვა მახასიათებლების მიხედვით)
- მარშრუტის რუკა, კატალოგი, გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის რუკები
- ღირებულებისა და შემოსავლის მონაცემები ხაზის / სისტემის მფლობელის / პერიოდის და ა.შ. მიხედვით; შემოსავლები, რომელიც დაყოფილი/მოცემული/დახარისხებული უნდა იყოს ბილეთების კატეგორიის მიხედვით; კომპანიის მოგების / ზარალის ანგარიშები
- საზოგადოებრივი მომსახურების კომპანიის არსებული სერვისის კონტრაქტები ოპერატორებისთვის (საჯარო და კერძო) და AFC სისტემის პროვაიდერისთვის.
- ქალაქის მიერ ოპერატორებისთვის (საჯარო / კერძო) შეღავათიანი ტარიფების, სუბსიდიების და ა.შ საჭირო თანხის (წლიური გადასახადი ერთ ოპერატორზე) გადახდა.
- საექსპლუატაციო მონაცემები ოპერატორთა პარკის/ბაზის ტიპის, პერიოდის, რაოდენობისა და ა.შ. მიხედვით; პერსონალის რაოდენობა, ორგანიზაცია და ა.შ
- ოპერატორთა პარკის მოვლის ტექნოლოგია /ტევადობა; თითოეული ოპერატორის ავტობუსის სადგურების ადგილმდებარეობა / ზომა
- საჯარო / კერძო სექტორის გამოცდილება მძღოლებისგან ნაღდი ფულადი სანსრების აკრეფის (მაგ. კომისია) მეთოდების თვალსაზრისით.

ბ) ავტობუსების მგზავრებისა და მომხმარებლი კვლევის განახორციელება

მონაცემების ხარვეზებზე დაყრდნობით, კვლევითი პროგრამა მოითხოვს საკმარისი მონაცემების შეგროვებას, რათა შესაძლებელი იყოს ავტობუსის ახალი მარშრუტების ქსელების ჯეროვანი შეფასება. კერძოდ, ისინი,სავარაუდოდდ, უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- ყველა კერძო საავტობუსო მარშრუტის მგზავრთა გამოკითხვა საჭიროებისამებრ, რათა დადგინდეს მგზავრთა რაოდენობა როგორც მთლიანად, ისე თითოეული მარშრუტის თითო მონაკვეთზე.
- მგზავრთა გამოკითხვა ზოგიერთი საზოგადოებრივი ავტობუსის მარშრუტზე, რათა განისაზღვროს მგზავრთა რაოდენობა თითო მონაკვეთზე[2]
- სამომხმარებლო კვლევების ჩატარება მოგზაურობის მიზნის, წარმოშობის დანიშნულების თავდაპირველი ადგილის, მგზავრობის ტიპის და ა.შ. დადგენის მიზნით.
- მომხმარებელთა ჯგუფების ფოკუსირება მომსახურების ხარისხზე, სატარიფო სტრუქტურაზე, მგზავრობის ღირებულების დონესა და ხელმისაწვდომობაზე.
- პერსონალური ავტომობილის / ტაქსის მომხმარებელთა ინტერესების კვლევა, რათა დადგინდეს კერძო ავტომანქანის / ტაქსის მომხმარებელთა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე გადასვლის სურვილი ავტობუსების დაგეგმილი რეკონსტრუქციის , პარკირების რეფორმისა (მოტ მაკდონალდის მიერ შემუშავებული პარკინგის სტრატეგიით) და ტაქსის რეგულირების (ქალაქის მერიის მიერ) შემთხვევაში. კვლევის შედეგებმა უნდა განსაზღვროს გადამსვლელთა სავარაუდო რაოდენობა და არსებითი რაოდენობის შემთხვევაში აისახოს დაგეგმილი მარშრუტის დაგეგმვის სამუშაო 3-ში.

გარდა ამისა, კონსულტანტმა უნდა შეიმუშავოს მულტიმოდალური მოთხოვნის მოდელი და უზრუნველყოს მერიის პერსონალის მომზადება მოდელის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით მუშაობის პარალელურად. სატრანსპორტო მოძრაობის მონაცემები შეიძლება მიღებულ იქნას ძირითად მაგისტრალებზე / გზაჯვარედინებზე დამონტაჟებული საგზაო კამერებიდან. იმ შემთხვევაში, თუ დამატებით საჭირო გახდება სატრანსპორტო მოძრაობის არაავტომატური დათვალა ადგილზე, თბილისის მერიას შეუძლია დაეხმაროს კონსულტანტს რამდენიმე ადამიანით.

კონსულტანტმა უნდა უზრუნველყოს კვლევების ადეკვატური მეთვალყურეობა, ხარისხიანი შედეგების წარდგენა ელექტრონული ფორმით, რომელიც შეესაბამება მგზავრთა შეფასებებს და წინამდებარე კვლევის ფარგლებში გაკეთებულ პროგნოზებს აგრეთვე, მულტიმოდალური ტრანსპორტის მოთხოვნილ მოდელში ინტეგრაციას.

გ) ავტობუსების სექტორის ფუნქციონირების შეფასება

ახალი ავტობუსის ქსელი და AFC სისტემა მოიცავს თბილისის სატრანსპორტო კომპანიისა და კერძო ოპერატორების მიერ შემოთავაზებულ სერვისებს. კონსულტანტი აწარმოებს კომპანიის მუშაობის მიმოხილვას დოკუმენტირებულად და საჭირო კომენტარების დართვით ოპერატორებთან დაკავშირებით:

- ოპერატორების რაოდენობა და ტიპი;
- შემოთავაზებული მომსახურების აღწერა;
- საბაზრო პოზიცია და წილი;
- ორგანიზაციული სტრუქტურა და პერსონალის რაოდენობა;

[2] საჯარო ტრანსპორტის ოპერატორებისათვის ხელმისაწვდომი მონაცემების ელექტრონული მოძრაობის შესახებ

TBILISI BUSINESS HOUSE LLC 404482608

- მენეჯმენტი;
- სატრანსპორტო საშუალებების პარკის ზომა და სტრუქტურა;
- შემოსავლების სტრუქტურა;
- ღირებულების სტრუქტურა და ტენდენციები.

ამ ამოცანის შესრულებისას კონსულტანტმა უნდა უზრუნველყოს არსებული ავტობუსების ოპერატორებისა და დაინტერესებულ მხარეთა (მათ შორის ავტობუსების) დეტალური კონსულტაცია:

- ოპერატორებზე: არსებულ საექსპლუატაციო პირობები, მარშრუტების რესტრუქტურიზაციის შესაძლებლობები / გამოწვევები; დაგეგმილი გაუმჯობესებები (სტრანსპორტო საშუალებების პარკი, სერვისები ..)
- მომხმარებელი: ავტობუსების მომსახურების დონე (ხარისხი, სიხშირე, სანდოობა), ხელმისაწვდომობა და სატარიფო სტრუქტურა

დ) კერძო სექტორის ოპერატორების შეფასება

კონსულტანტმა უნდა გამოიყენოს შერჩევის ან საბაზრო კვლევები საჭიროებისამებრ, რათა შესაძლებელი იყოს სრული წარმოდგენის შექმნა მოქმედ ბაზართან დაკავშირებით და საკმარისი იმისათვის, რომ მიაწოდოს ინფორმაცია ექსპლუატაციის წესებზე და სამომავლო ცვლილებების გავლენაზე მოქმედ სისტემაში.

ეს მიმოხილვა ასევე უნდა მოიცავდეს ავტობუსის ოპერატორების საბაზრო კვლევას ეროვნულ დონეზე, რომელიც ამჟამად მართავს/ხელმძღვანელობს მსხვილ ურბანულ და საქალაქო ავტობუსების სერვისებს, იმდენად რამდენადაც მათ გააჩნიათ მნიშვნელოვანი უნარები და საექპლუატაციო გამოცდილება ახალი ავტობუსების ფუნქციონირებისთვის, პროექტის ფარგლებში.

ე) სატრსანსპორტო პარკის მართვისა და მოვლის მეთოდების მიმოხილვა

კონსულტანტი განახორციელებს არსებული მეთოდებისა და სერვისის პროვაიდერების მიმოხილვას ავტობუსის პარკის მართვისა და მომსახურებისთვის, რომელიც ფოკუსირებული იქნება პრიორიტეტულ მარშრუტებზე, მათ შორის:

- პარკის მახასიათებლები (ზომა, ტიპი)
- შესყიდვების პირობები (ახალი / მეორადი, შესყიდვის ღირებულება, გადასახადები და მოვალეობები, დაფინანსების წყაროები, პირობები, მათ შორის აქტივების გარანტიები)
- არსებული სარემონტო / სასასაწყობო ობიექტები ავტობუსების ექსპლუატაციისთვის (ფლობა, ფუნქციონირება);
- ავტობუსის ლიზინგის პროვაიდრები (საჯარო ან კერძო, საექპლოატაციო პირობები) .

ეს მიმოხილვა უნდა მოიცავდეს ავტობუსების პარკის (ურბანული და საქალაქო), ავტობუსის ლიზინგის პირების (საჯარო ან კერძო) ბაზრის შესწავლას ეროვნულ დონეზე, რომლითაც შეიძლება მივიღოთ მიმდინარე პროექტის ფარგლებში, ავტობუსის პარკის მართვისა და მოვლის სათანადო მეთოდები.

BUSINESS HOUSE LLC 404482608

3) დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციები

ავტობუსების ახალი მარშრუტების დანერგვა საჭიროებს არსებული მეთოდებისა და პრაქტიკის რეფორმას ავტობუსების მომსახურების ხელშეკრულების დადებისა და მართვის მიზნით სამ ქალაქში.

კონსულტანტმა უნდა უზრუნველყოს დაინტერესებულ მხარეებთან დეტალური კონსულტაციები, რომლებიც გააცნობს რეფორმის პროცესის ანალიზს. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები უნდა მოიცავდეს:

- მუნიციპალიტეტებს მიმდინარე ურბანული განვითარების გეგმებში და ურბანულ სატრანსპორტო სქემებს პრიორიტეტული მარშრუტების შეთავაზებით.
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმდინარე და დაგეგმილ რეგულაციას, ქალაქის შიდა ავტობუსებისთვის ამჟამად გაწეულ ძალისხმევას, არსებულ ლიცენზიებს, სერვისებს, ტერმინალების, ობიექტების, რეგულაციებსა და დაგეგმილი გაფართოებებს.
- ოპერატორებს: არსებულ საექსპლუატაციო პირობებსა და მეთოდებს, მგზავრობის ღირებულების შეგროვების მეთოდებს, ხარჯების / შემოსავლების ანგარიშებს, დაგეგმილ გაუმჯობესებებს (სატრანსპორტო პარკი, სერვისები), ლიცენზიის გადაცემის პროცესსა და ამ კუთხით არსებულ გამოცდილებას, ახალი ავტობუსის მარშრუტების შესაძლებლობებს / გამოწვევებს
- წარმომადგენლობით ორგანოებს (ავტობუსების მფლობელების, ტაქსის მფლობელების გაერთიანებებს): ავტობუსის ლიცენზირების არსებულ პრაქტიკას, შესაძლებლობებს / გამოწვევებს ავტობუსის ახალ მარშრუტებთანმიმართებაში.

ამ ამოცანის ფარგლებში განხორციელებული საბაზრო შეფასებებით (ავტობუსების ოპერატორები, სალიზინგო პირები და ა.შ.) უნდა გამოიკვეთოს ის ძირითადი ელემენტები, რომლითაც შესაძლებელი იქნება საექსპლუატაციო სტრუქტურების სათანადო მოდელების შემუშავება, კერძო სექტორთან თანამშრომლობა საპასუხო სატენდერო პროცესებზე და არსებული ავტობუსების ოპერატორების/კომპანიების მონაწილეობით.

ამოცანა 3. მარშრუტის დაგეგმვისა და ავტობუსის პარკის განახლების პროგრამა

თბილისში სამარშრუტო სისტემა ამჟამად წარმოადგენს საზოგადოებრივი და კერძო ოპერატორების ნარევს სერვისების გარკვეული გადაფარვით. საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის მარშუტებისა და ქუჩების ქსელის საჭირო დაგეგმარების შედეგებზე დაყრდნობით, კონსულტანტმა უნდა შეიმუშაოს მკაფიოდ განსაზღვრული ავტობუსის სამარშრუტო ქსელი, რომელიც ეფუძნება ღირებულებისა და ფუნქციონირების ანალიზებს. ამ კომპონენტის მიზანია, ხელი შეუწყოს, საბაზრო და ფინანსური თვალსაზრისით, ავტობუსების ახალი/გასწორებული სამარშრუტო ქსელის განვითარებას, რათა უკეთესად უპასუხოს მომხმარებელთა მგზავრობის საჭიროებებს, შემცირდეს სამომხმარებლო ხარჯები სტანდარტული ავტობუსების სერვისების გაფართოებით და ინტერმოდალური და გადასაჯდომი ხაზების გაუმჯობესებით. კონცეფციაში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული საზოგადოებრივი ტრანსპორტის სხვადასხვა ტიპების (მეტრო, სტანდარტული და ფერ სექციანი ავტობუსები, საშუალო ზომის ავტობუსები, ან მიკროავტობუსები) ოპტიმალური [illegible] სტრუქტურა, რომელიც საუკეთესო იქნება მომხმარებლებისათვის არსებული [illegible] დაგეგმილი სამგზავრო

მოთხოვნების გათვალისწინებით. უფრო მეტიც, მან ხელი უნდა შეუწყობს ავტობუსების პრიორიტეტული მაგისტრალებისა და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემის განვითარების სამომავლო ინიციატივებს. იგი უნდა განხორციელდეს SUMP- ისა და BRT- ის კვლევებზე დაყრდნობით და დაინეროს აზიის განვითარების ბანკის დაფინანსების მხარდაჭერით. ასევე, გამოიყენოს და გააცნოს კვლევებიდან მიღებული რელევანტური შედეგები.

ახალი ავტობუსის / მიკროავტობუსის (მარშუტკის) ქსელი სრულად ითვალისწინებს თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემაში ინტეგრაციას, კერძოდ სატრანსპორტო კვანძების, დასახურდავებელი აპარატურებისა და ტერმინალების სერვისს, მთავარ ხაზამდე მიმყვანი ავტობუსების სათანადო სერვისსა და ხაზის სამომავლო გაფართოებებისა და განახლებების პროგნოზირებას (მაგ. მეტროს მეორე ხაზის, საბაგირო ქსელის დაგეგმილი გაფართოება/გაგრძელება). უფრო მეტიც, მან უნდა მოახდინოს ქალაქის შიდა ავტობუსების მომსახურებისა და ავტობუსის გაჩერებების ადგილების და ტერმინალების სამომავლო გეგმების ინტეგრირება. ასევე, ავტობუსების მომსახურებასა და ობიექტებთან დაკავშირებით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მოწოდებულ შემოთავაზებებზე მისცეს შესაფერისი რჩევა.

ა) ავტობუსის ახალი მარშრუტი

კონსულტანტი ვალდებულია წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე განსაზღვროს მომსახურების ოპტიმალური განაწილება, რომელიც კონსულტაციების საფუძველზე წინასწარ იქნება შეათანხმებული მერიასთან (ტევადობა, ხარჯები, ეფექტურობა, გარემო, ხარისხი, უსაფრთხოება და ა.შ.). უფრო კონკრეტულად კი, კონსულტანტმა ნათლად უნდა განსაზღვროს თითოეული სატრანსპორტო საშუალების (მეტრო, დიდი ავტობუსი, მარშუტკები, საბაგირო) და საჯარო და კერძო სექტორის როლი შესაბამისი დასაბუთებით და განსაზღვროს თითოეული სატრანსპორტო მომსახურების და/ან სერვისის (მაგალითად, ფეხით სასიარო მანძილი გაჩერებამდე, სიჩქარე, სიხშირე, მინიმალური გაჩერების მანძილი, მოძრავი შემადგენლობა და ა.შ.). გაწევის ხარისხის სტანდარტები.

განსაზღვრულ კონცეფციის პრინციპზე დაფუძნებული თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის შემუშავების აუცილებლობის გათვალისწინებით, უნდა შეიქმნას ახალი ქსელის გეგმა, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს თითოეული საშუალების როლს. ამ გზით შესაძლებელი იქნება საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიწოდებისა და მოთხოვნის კორელაცია შესაძლო ყველაზე დაბალ ფასად.

ავტობუსის ახალი მარშრუტის ქსელის განსაზღვრის კონკრეტული ამოცანები უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- დეტალური მარშრუტიზაცია არსებული, შესწორებული და შემოთავაზებული ახალი მარშრუტების მითითებით. მარშრუტიზაციის რუკები უნდა შეიცავდეს ავტობუსის გაჩერების და ტერმინალის სადგურების შემოთავაზებულ განლაგებას, რომელიც დაფუძნებული იქნება სატრანსპორტო მოძრაობის პირობებისთვის მიწის ხელმისაწვდომობისა და შესაბამისობის შეფასებაზე.
- მარშრუტის გრაფიკები, მათ შორის სერვისის სიხშირე, დღეში, [illegible] განმავლობაში და სხვა დღეებში, მომსახურების ხარისხის მოდიფიკაცია (სიხშირე, [illegible] და სხვა)

- მომსახურების ხარისხის (მოგზაურობის დრო, გადაჯდომა, პირობები) შეფასება მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფების/ტიპების და ა.შ. მიერ რათა განისაზღვროს ავტობუსების მარშრუტის რესტრუქტურიზაციის ეფექტურობა მომხმარებელთა მობილობასთან მიმართებაში (არსებული და სამომავალო)
- ავტობუსის ობიექტების ტიპიური დეტალების კონტური, მათ შორის ავტობუსის გაჩერების, სატრანსპორტო სადგურების და ტერმინალის ადგილმდებარეობის შესახებ
- გადასჯდომი სადგურების ადგილის გეგმის მონახაზი, რომლებიც განლაგებული უნდა იყოს ავტობუსების მარშუტებთან ავტობუსების მეორეხარისხოვანი ხაზებიდან მთავარ ხაზებზე (მეტრო, ავტობუსი, საბაგირო) გადაჯდომისთვის; მიწის ხელმისაწვდომობის შეფასება და საკვანძო სადგურის ნებისმიერი საჭირო გაუმჯობესება ფეხით მოსიარულეთა ნაკადისთვის და / ან მოძრაობის მართვისთვის, რათა მოეწყოს გადასჯდომი და/ან ბოლო გაჩერების სადგურები.
- ზემოქმედება/გავლენა ავტობუსის არსებულ სამარშრუტო კონტრაქტებზე (მარშრუტის სიგრძე, ავტობუსების რაოდენობა და სხვა) და არსებული ოპერატორებისა და / ან ახალი კონტრაქტების საბაზრო წილზე შესაძლო გავლენა.

გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნული კვლევის მიზანი არ უნდა იყოს კონკრეტული მოძრაობის მართვის ღონისძიებების განსაზღვრა, რომელიც უკავშირდება პრიორიტეტულ ავტობუსის მოძრაობას. იგი უნდა შემუშავდეს BRT- ის კვლევის ფარგლებში აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით. თუმცა, კვლევამ უნდა უზრუნველყოს სრულ შესაბამისობა და კოორდინაცია BRT- სთან, რომელიც შეესაბამება აღნიშნული გაუმჯობესებული სატრანზიტო დერეფნებისათვის განსაზღვრულ საექსპლუატაციო მოთხოვნებსა და მახასიათებლებს.

ბ) შესრულების ეტაპობრივი გეგმა

ახალი სქემის განხორციელებისათვის საჭირო საექსპლუატაციო კორექტირების თვალსაზრისით, კონსულტანტმა უნდა შეასრულოს ზემოაღნიშნული ამოცანები ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის ეტაპობრივი განხორციელებისათვის, რომელიც გულისხმობს შემდეგს:

- პირველი ეტაპი: არსებული მარშრუტის სქემა, არსებული ავტობუსის პარკის საფუძველზე, იმ სატრანსპორტო პარკების ჩათვლით, რომელთა შეყიდვასაც ქალაქი ცდილობს ამჟამად, ბანკის მხარდაჭერით.
- მეორე ეტაპი (ები) : სრული სამარშრუტო სქემა, რომელიც ითვალისწინებს მომავალი სატრანსპორტო პარკის ჩანაცვლების პროგრამას, თითოეული სტრანსპორტო პარკის მოთხოვნების გათვალისწინებით. ამას შეიძლება დასჭირდეს ერთი ან მეტი ეტაპი, კონსულტანტის რჩევის მიხედვით, ტექნიკური / საექსპლუატაციო / კომერციული / სამართლებრივი შეზღუდვების გათვალისწინებით.

ფაზა ასევე უნდა უკავშირდებოდეს და შეესაბამება AFC სისტემის დანერგვას.

გ) ავტობუსის პარკის განახლების პროგრამა

- მე-2 და მე - 3 ამოცანების შედეგების საფუძველზე კონსულტანტმა უნდა შეაფასოს ავტობუსის პარკის ექსპლუატაციისთვის საჭირო მოთხოვნები შემდეგი 10-15 წლისთვის, მათ შორის ავტობუსის ლიზინგის პირობები, ბაზებიდან საექსპლუატაციო ხარჯები.
- კონსულტანტმა უნდა გააანალიზოს არსებული და რესტრუქტურიზებული ავტობუსების ქსელების (როგორც პირველი, ისე მეორე ეტაპისთვის) ავტობუსების ხაზები, სერვისების

ბიზნეს სახლი BUSINESS HOUSE LLC

დონეები და ავტობუსების პარკის მოთხოვნები. ასევე, განსაზღვროს ახალი სტრანსპორტო პარკის ზომა არსებული ან, სადაც საჭიროა, სტანდარტული პარამეტრების გამოყენებით ავტობუსის პარკის ხელმისაწვდომობისა და ფუნქციონირების მიზნით. კვლევისას ორიენტაცია კეთდება ავტობუსის ძირითადი მარშრუტების 12 მეტრიან, სტანდარტული ტევადობის მოდელებზე, ან სხვა მოდელებზე, რომლებიც შეიძლება გამოიყენებული იყოს მარშრუტის სპეციფიკიდან გამომდინარე.

- კონსულტანტმა უნდა შეაფასოს არსებული სატრანსპორტო პარკის საერთო მდგომარეობა და ტექნიკური რეჟიმი და მათი გამოყენების / განკარგვის ვარიანტები; შეაფასოს ტექნიკური მომსახურების საშუალებები (ავტობუსის ბაზა და სათადარიგო ნაწილები), ახალი ავტობუსის პარკის განახლება და ქვეყნაში / რეგიონში მომწოდებლების ქსელების მახასიათებლები და განფენილობა, რაც ხელს შეუწყობს სტრანსპორტო პარკის განახლებასა და მოვლას.
- მან უნდა შეასრულოს ავტობუსის ტიპის შედარებითი შეფასება, მათ შორის Euro VI დიზელის, CNG და ჰიბრიდული ვარიანტების გათვალისწინებით, მიწოდების / შენარჩუნების საკითხებისა და ხარჯების / რისკების გათვალისწინებით, რაც განსაკუთრებით უკავშირდება შესაფერისი ტექნიკური დახმარების ხელმისაწვდომობას. მან უნდა ურჩიოს ყველაზე შესაფერისი ვარიანტი, მათ შორის შეთავაზოს CNG და ჰიბრიდული ვარიანტები. შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის რეგულაციებს (მათ შორის ტოქსიკური ნივთიერებების შემცველობის ნორმატივის სტანდარტებს, უსაფრთხოებას, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებას, შეზღუდულ მიწოდებას და ა.შ.) და უზრუნველყოს, რომ ყველა მახასიათებელი შესაბამებოდეს ღია, საერთაშორისო ტენდერს, რომელიც იყენებს EBRD- ის შესყიდვების წესებსა და პოლიტიკას.
- კონსულტანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მერიას, სხვადასხვა მწარმოებლისგან, აქვს ადგილობრივი ავტობუსების საწარმოების შექმნის რამდენიმე წინადადება. კონსულტანტმა უნდა შეაფასოს და არსებულ შეთავაზებებზე დაყრდნობით, მისცეს რეკომენდაციები ქალაქ თბილისის ავტობუსის პარკის მოთხოვნებთან დაკავშირებით თბილისის ავტობუსის ქსელისთვის (ავტობუსების ტიპის (მოცულობა, საწვავის) და იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების ავტობუსების ხარჯების შედარება)
- კონსულტანტმა უნდა განსაზღვროს დამატებითი აღჭურვილობა არსებული ავტობუსების საცავებში და საწვავის სადგურებზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი მოცულობა ახალი სატრანსპორტო პარკის ფუნქციონირებისა და მოვლის მიზნით.
- სატრანსპორტო პარკის განახლების მოთხოვნების გათვალისწინებით, კონსულტანტმა უნდა შეაფასოს შესყიდვების ვარიანტები, მათ შორის ოპერატორის მიერ (ასევე ფინანსური ლიზინგით გათვალისწინებული შეთანხმებები) პირდაპირი შესყიდვა და ქალაქის მიერ ავტობუსის პარკის შესყიდვა იჯარით საჯარო და / ან კერძო სექტორის ოპერატორებისათვის, რომლითაც შესაძლებელი იქნება ქალაქ თბილისის ფინანსური ხარჯების ოპტიმიზაცია და არსებული და მომავალი კერძო სექტორის ავტობუსებს უზრუნველყოფს თანაბარი კონკურენტული პირობებით. თუმცა, შესაძლებლობებში გაითვალისწინებული უნდა იყოს ორგანიზაციული და სამართლებრივი შეზღუდვები, რამაც შეიძლება შეზღუდოს შემოთავაზებული სალიზინგო ერთეულის ფორმა და სტრუქტურა. მოვლის ღონისძიებები უნდა ასახავდეს არსებული ოპერატორ(ებ)ის მოვლის შესაძლებლობას და უზრუნველყოს სათანადო მოქნილობა, რათა უფრო შდაბალი შესაძლებლობის კერძო ოპერატორებს ჰქონდეთ [illegible] შესვლის საშუალება მოგვიანებით.
- ლიზინგის ვარიანტები უნდა ითვალისწინებდეს დებულებებს ავტობუსების შესყიდვისა და შენახვისთვის და მოიცავდეს ვარიანტებს მუ[illegible]ალურ ავტონომიურ საზოგადოებრივი ან კერძო პირების სახით. მომწოდებელთა [illegible]ნის განსაზღვრა

და განიხილვა უნდა მოხდეს ბაზრის ზომასა და მიმწოდებლების ადგილობრივ ყოფნასა და ინტერესებზე დაყრდნობით.

- კონსულტანტი აფასებს ავტობუსის პარკის საინვესტიციო და საექსპლუატაციო ხარჯებს და ადგენს მიწოდების სავარაუდო ღირებულებას, რომელიც მოიცავს შედარებას ბოლო დროს არსებულ სხვა მსგავსი ტიპის ავტობუსებთან რეგიონებსა და ევროპაში, რათა დაასაბუთოს შეფასება

ამოცანა 4. კერძო სექტორის მონაწილეობის ვარიანტები ავტობუსების მომავალი ექსპლუატაციისთვის

პროექტმა უნდა გამოავლინოს ავტობუსების ახალ მარშრუტები, რომლებიც უზრუნველყოფს ახალი ავტობუსების მომსახურებას და განკუთვნილია კერძო ოპერატორისათვის შესაბამისი ტექნიკური და საექსპლუატაციო უნარებით. მომსახურების მიწოდება მოხდება ქალაქ თბილისთან მყარი მომსახურების კონტრაქტის საფუძველზე, რომელიც შეიმუშავებს წახალისების ფორმებს ადეკვატური შესრულებისთვის და საექსპლუატაციო კონტროლს, რომელიც სპეციალურადაა მორგებული თითოეული ქალაქის ცალკეულ საქესპლოატაცი სტრუქტურასა და პირობებს.

კერძო სექტორის შესაძლებლობები მიზნად ისახავს, რომ ქალაქმა შეინარჩუნოს კონტროლი (i) ავტობუსის მომსახურების ხარისხზე, მათ შორის ავტობუსის პარკის სათანადო მოვლაზე და (ii) მგზავრობის შემოსავლების (მგზავრობის ღირებულების ვტომატური შეგროვების სისტემის მეშვეობით) გამჭვირვალე შეგროვებასა და განაწილებაზე და (iii) მგზავრობის ღირებულების ზრდადობაზე და სისტემის ინტეგრაციაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფართო სპექტრის შესაქმნელად. ეს საშუალებას მისცემს ქალაქს მოახდინოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის ოპტიმიზაცია ოპერატორებს შორის შემოსავლების გამჭვირვალე განაწილების გზით და არაკომფორტული მარშრუტებისა და მომსახურების ხარჯების დაფარვის გზით.

დღეისათვის, კერძო მიკროავტობუსები უზრუნველყოფილია ოთხი ოპერატორით, თუმცა ისინი ხშირად დებენ ქვეკონტრაქტებს ერთი სახის ტრანპოსრტის მქონე ოპერატორებთან 20 წლიანი ლიცენზიით (2011 წლიდან). ავტობუსების ახალი სერვისების წარმატებული დანერგვა და მგზავრთა საკმარისი რაოდენობით მისი დაინტერესება / მოზიდვა დამოკიდებული უნდა იყოს როგორც ახალი ავტობუსების გამოცდილ ოპერატორებზე, ისე ავტობუსების არსებულ სისტემაში ეფექტური ინტეგრირებით.

ა) სატრანსპორტო პარკის ექსპლუატაციის ვარიანტები

კერძო სექტორის მონაწილეობა სატრანსპორტო პარკის ექსპლუატაციაში ზოგადად შეიძლება განხორციელდეს სამარშრუტო კონტრაქტებით (ერთჯერადი ან მრავალჯერადი მარშრუტები) ან კონტრაქტებით, რომელიც გარკვეულ რაიონზე ვრცელდება (ყველა მარშრუტი კონკრეტული ზონის ფარგლებში, რომელიც ზოგადად დაკავშირებულია ბაზის ადგილმდებარეობასთან).

კვლევამ უნდა წარმოადგინოს რეკომენდირებული საექსპლუატაციო სტრუქტურა (სამარშრუტო/ტერიტორიული კონტრაქტები) ადგილობრივი [illegible] საერთაშორისო ოპერატორების მოსალოდნელ ინტერესების გათვალისწინებით, [illegible] უზრუნველყოფს ახალი მარშრუტების კონკურენტული ტენდერის ოპტიმალური [illegible] კვლევამ უნდა

განსაზღვროს ის ზომები, ობიექტები და პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაქსიმალურ სარგებელს ოპერატორებიდან და საუკეთესო ფასს ქალაქისთვის და ავტობუსების მომხმარებლებისთვის. კვლევა უნდა მოიცავდეს რეგიონალურ და საერთაშორისო მაგალითებს ავტობუსების მსგავს რეფორმეთან დაკავშირებით და ღიად ასახელებდეს არსებულ გამოწვევებსა და პრობლემურ საკითხებს.

ეს რეკომენდაციები უნდა ეფუძნებოდეს დაინტერესებულ მხარეებთან ფართო კონსულტაციებს, კერძოდ, საჯარო სექტორთან (სექტორის რეგულირებისა და კანონმდებლობისთვის), კერძო სექტორთან (არსებული და სამომავლო ოპერატორები, საექსპლუატაციო მახასიათებლები და გადაწყვეტილებები პროფესიონალური გაერთიანებებისთვის), მომხმარებლის ჯგუფებთან (სამოქალაქო საზოგადოება, მომხმარებელთა, სოციალური მედია ავტობუსების მომსახურებისთვის, მგზავრობის ღირებულების ცვლილებები) და ბანკთან ან / და სხვა დამფინანსებელ პარტნიორებთან (სესხის პირობების, მხარდაჭერისა და ა.შ.)

გარდა ამისა, არსებული ოპერატორების მიმართ გარკვეული შესწორებების ინტეგრირებული უნდა იყოს შეფასებასთან, რომელიც მოქმედ ოპერატორებთან კონსულტაციებს დაეფუძნება. მოსალოდნელია, რომ არსებული ოპერატორებისთვის ხელმისაწვდომი ვარიანტები, მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ყველას ან მის ნაწილს:

- ახალი მარშრუტის გეგმის საფუძველზე მარშრუტების კორექტირება - მარშრუტების გაუქმება, გაუქმება, დამატებები და / ან შესაძლო ფინანსური კომპენსაცია გარკვეული მარშრუტების გაუქმებისთვის
- ავტობუსის პირდაპირი მონაწილეობა ახალი ავტობუსების მარშრუტებისთვის
- საერთაშორისო ოპერატორთან ერთობლივი საწარმო, ან აქციების, საექსპლუატაციო წილის ან თანამშრომლობის ხელშეკრულებით

კვლევამ სრულად უნდა განიხილოს არსებული და შესაძლო შესწორებული მარეგულირებელი ჩარჩო ქალაქებში, როგორც ეს განსაზღვრულია მეხუთე ამოცანაში.

ბ) სატრანსპორტო პარკის მფლობელობისა და შენახვის ვარიანტები

იმისათვის რომ ხელი შეეწყოს ოპერატორების გასვლას ადგილობრივ თუ უცხოურ ბაზარზე, პროექტი უნდა ითვალისწინებდეს აქტივების მფლობელისა და მენეჯერის (ავტობუსის ლიზინგის კორპორაცია) არსებობას, რომელიც შეიძენს ახალ ავტობუსებს, განკარგავს ბაზის ობიექტს და ავტობუსებს იჯარით გადასცემს ერძო ოპერატორებს, რომლებიც შერჩეულია ღია და კონკურენტუნარიანი პროცესებით. ავტობუსის ლიზინგი უნდა ქმნიდეს თანაბარ კონკურენტუნარიან გარემოს არსებული და მომავალი კერძო სექტორის ავტობუსების ოპერატორებისთვის და უზრუნველყოფდეს საჯარო ინტერესების დაცვას ავტობუსის აქტივების საჯარო მფლობელობის შენარჩუნებით. ასევე, უზრუნველყოს მოკლევადიანი მომსახურების კონტრაქტების უფრო მეტი მოქნილობა და ქალაქებში მზარდი საზოგადოებრივი ტრანსპორტის საჭიროებებზე მორგება.

ანალოგიურად, კვლევა ასევე უნდა ითვალისწინებდეს საერთაშორისო კერძო სექტორის ოპერატორთა მონაწილეობისთვის მიმზიდველი ბაზრის შეთავაზებას, შესაძლოა ადგილობრივ წარმომადგენლებთან. საექსპლუატაციო ბაზრის ზღვა, ხელმისაწვდომი ობიექტები (განსაკუთრებით, ბაზები) და მასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ჩარჩო უნდა იყოს კრიტიკული ამგვარი პირობების შესაქმნელად.

BUSINESS HOUSE LLC 204482608

აღნიშნული ვარიანტების შესწავლისას, კონსულტანტი სრულად აერთიანებს მეხუთე ამოცანში შესრულებულ სამართლებრივ და საექსპლუატაციო მიმოხილვას. კერძოდ, იგი ითვალისწინებს ორგანიზაციულ-სამართლებრივ შეზღუდვებს, რომლებიც ზღუდავენ შემოთავაზებული ლიზინგის ერთეულის ფორმასა და სტრუქტურას. შენარჩუნების ღონისძიებები უნდა ასახავდეს არსებული ოპერატორ(ებ)ის შენარჩუნების შესაძლებლობებს და უზრუნველყონ საკმარისი მოქნილობა, რათა უფრო ნალებად ძლიერ კერძო ოპერატორებს ჰქონდეთ ბაზარზე შესვლის საშუალება. მიხედავდ იმისა, რომ საყოველთაო საკუთრებაში არსებულ სალიზინგო ერთეულს უფრო დიდი შანსი აქვს იყოს ყველაზე მისაღები ვარიანტი, აღნიშნული ამონაცაში განხილული უნდა იყოს ლიზინგის ვარიანტების სპექტრი, როგორც მუნიციპალური, ავტონომიური სახალხო ან კერძო პირი. უნდა განხორციელდეს სრული განხილვა ავტობუსების შეძენისა და მოვლაშენახვისათვის, მათ შორის მრავალწლიანი სამომხმარებლო მომსახურების კონტრაქტების (მოვლის/შენარჩუნების კონტრაქტები) გამოყენება ავტობუსების შერჩეულ მწარმოებელთან / მიმწოდებელთან, რათა უზრუნველყოს მაღალი ხარისხის უსაფრთხოება და ტექნიკური მოთხოვნები საექსპლუატაციო აჭურვილობისა და ტექნიკისათვის, როგორც ერთიანი მიწოდებისა და შენარჩუნების ტენდერების სახით, ასევე ცალკეული ტენდერებით, რომლებიც შესაძლოა, გაერთიანდეს ერთიან სატენდერო პროცესში. უნდა გამოვლინდეს და უნდა იყოს გათვალისწინებული მიმწოდებლის შესაბამისი შეთანხმებები, რაც დაფუძნებული უნდა იყოს ბაზრის სიდიდეზე და ინტერესებზე და იმაზე, თუ რამდენად არიან ადგილზე წარმოდგენლინი.

გარდა ამისა, კვლევამ უნდა განსაზღვროს თუ რომელ დონეზე უნდა შეიქმნას ავტობუსების ლიზინგი, ქალაქის დონეზე თუ ეროვნულ დონეზე. იგი ასევე, უნდა ითვალისწინებდეს ინსტიტუციონალურ და სამართლებრივ საკითხებს, დაფინანსების მოთხოვნებს და საექსპლუატაციო და ტექნიკურ ეფექტურობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვარიანტების კვლევა ასევე უნდა ითვალისწინებდეს სრული კერძო ავტობუსების ექსპლუატაციას, სატრანსპორტო პარკითა და ერთი კერძო კომპანიის მმრთველობით (და რომელიც შეიძლება შეიცავდეს ფინანსურ სალიზინგო ღონისძიებებს, თუკი ეს საჭიო იქნება), ძირითადი მოსაზრებები ადეკვატური უნდა იყოს საბაზრო შესაძლებლობებთან მიმართბაში, სათანადოდ პასუხობდეს მიმწოდებელთა ეფექტურ, კონკურენტუნარიან ტენდერსა და შესაძლებლობებს, რათა ითანამშრომლონ არსებულ ოპერატორებთან და ავტობუსის საერთაშორისო ოპერატორებთნ, როგორც საჭიროა.

ამოცანა 5. ავტობუსის ფუნქციონირებისა და მგზავრობის ღირებულების შეგროვების სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო

პროექტის გეგმის განხილვისა და AFC სატენდერო დოკუმენტაციის განსაზღვრისათვის აუცილებელი სამართლებრივი მიმოხილვა, მათ შორის სექტორში პროექტსა და სხვა სამთავრობო, მარეგულირებელ და კომერციულ მონაწილეებს შორის ლიცენზირების, ნებართვის, სამართლებრივი და საკონტრაქტო ინტერფეისების მიმოხილვა. კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ურბანული ტრანსპორტის კერძო სექტორის ფუნქციონირების მოთხოვნებს, მათ შორის ტარიფისა და შემოსავლების შეგროვებას, მოქმედ სტანდარტებსა და პირობებს ტრანსპორტის ექსპლუატაციისთვის, სხვა სატრანსპორტო საშუალებებთან ინტეგრაციის პირობებს და ა.შ.

TBILISI BUSINESS HOUSE LLC 404482608

კონსულტანტი ვალდებულია გამოავლინოს საქართველოს ნებისმიერი არსებული კანონმდებლობა, რომელიც შეიძლება უარყოფითად აისახოს ამ კონკრეტული პროექტის სტრუქტურაზე, მათ შორის სხვა სატრანსპორტო / სარკინიგზო სექტორის კანონმდებლობა, კერძო საკონტრაქტო კანონმდებლობა, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა, საკონსტიტუციო დებულებები, მთავრობის მარეგულირებელი წესები, კომპანიის კანონმდებლობა, კანონებთან დაკავშირებით საგადასახადო კანონმდებლობა, საბაჟო რეგულირება და იმპორტის ბაჟი, ქონების კანონმდებლობა, დავის გადაწყვეტის მოთხოვნები და სასამართლო პროცესის ეფექტიანობა, საინვესტიციო დაცვის კანონები და კანონები, რომლებიც არეგულირებენ სამშენებლო კონტრაქტებს.

კერძოდ, კონსულტანტი შეაფასებს და შესთვაზებს საჭირო ცვლილებებს მონაცემთა ბაზების ფუნქციური და ტექნიკური მახასითბლების თვალსაზრისით, რაც დაფუძნებული იქნება სამართლებრივ მოთხოვნებზე კერძოდ, ქვეყანაში პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. კონსულტანტი ასევე მიუთითებს საბილეთო სისტემის არსებულ მოთხოვნებს მგზავრობის ღირებულების ელექტრონული მეთოდის მახასიათებლებთან მიმართებაში.

საკანონმდებლო ჩარჩო განიხილავს შემოთავაზებული სექტორის მასშტაბით ავტომატური საკომისიო სისტემის ფარგლებში საგადასახადო შემოსავლების განაწილების სქემის სამართლებრივ საფუძველს. აღნიშნული სისტემა, რადგანაც ფუნქციონირებს სრულად, ხელს შეუწყობს საგადამხდელო მექანიზმების თანდათანობით დანერგვას და სხვადასხვა მომსახურების მიმწოდებლებს შორის მგზავრობის შემოსავლის სამართლიან და გამჭვირვალე გადანაწილებას.

კონსულტანტმა უნდა განიხილოს სექტორის გამოცდილება ქვეყანაში და როგორ გადაწყდა საქართველოსა და რეგიონის სხვა სატრანსპორტო პროექტებში გამოვლენილი სირთულეები. კონსულტანტი გაანალიზებს და შეისწავლის ყველა არსებულ ან პოტენციურ სამართლებრივ შეზღუდვებსაა და რისკებს დაგემილ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს ავტობუსის ქსელის რესტრუქტურიზაციას, სატრანსპორტო პარკის შესყიდვას და ახალ ინტეგრირებულ AFC ფუნქციონირებას.

ამოცანა 6. სატარიფო შესწავლა და ხელმისაწვდომობა

კონსულტანტმა უნდა უზრუნველყოს არსებული ტარიფების სტრუქტურის დეტალური განხილვა და თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის (მეტრო, ავტობუსი, მიკროავტობუსი "მარშუტკა", საბაგირო) არსებული ტარიფების აღწერა. ამის მიზნია მომხმარებლის კომფორტის გაუმჯობესება, შემოსავლების ზრდა და ნაღდი ფულის გადინების შემცირება. ასევე, მიზანშეწონილად იქნეს გამოიყენებული შეღავათიანი ტარიფები ხელმისაწვდომობის მოთხოვნებზე, ტარიფის შეგროვების ახალი, ინტეგრირებული ელექტრონული ბილეთების სისტემის მეშვეობით.

კვლევა უნდა განხორციელდეს შემდგომი პოლიტიკის ინიციატივების ფონზე, კერძოდ, ADB- ის მხარდაჭერით ჩატარებული SUMP კვლევის ფარგლებში, რომელიც მოიცავს საგზაო მოდელის განვითარებას და განსაზღვრავს ურბანული სატრანსპორტო გადაადგილების პოლიტიკასა და დაგეგმარებას. ასევე, შეიძლება განსაზღვრულ მომავალში სატარიფო პოლიტიკის ორიენტაცია და განვითარება. ავტობუსის ქსელის დამატებითი დაგეგმვა, ავტობუსის სტრუქტურიზაციის გათვალისწინებით, კვლევამ უნდა განიხილოს სატარიფო რეფორმების ალტერნატიული

განხორციელება იმ რეფორმებთან შესაბამისობაში, რომლებიც ავტობუსის ახალი ქსელისთვისა შემოთავაზებული.

კვლევა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს.

ა) არსებული სატარიფო სტრუქტურის მიმოხილვა

- წინა წლების ტარიფების და მოსაკრებლის სტრუქტურების მიმოხილვა
- თბილისის სატრანსპორტო სისტემის ფარგლებში არსებული ტარიფის სტრუქტურა, მათ შორის ერთიანი, ყოველთვიური გადასახადი და ა.შ.
- შეღავათიანი ფასის პოლიტიკა და ტარიფები; რაოდენობები, მახასიათებლები, უფლებამოსილება, ვადები. გაცემა და აღსრულება
- ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან (ქალაქი თბილისი, თილისის სატრანსპორტო კომპანიის ოპერატორები, მომხმარებელთა ჯგუფები, ბიზნეს ასოციაციები და ა.შ.) რათა შეატყობინონ სავარაუდო შეზღუდვები და მოსაზრებები სატარიფო სტრუქტურის გაუმჯობესების თვალსაზრისით.
- არსებული სისტემის კრიტიკული შეფასება და ახალ სატარიფო სტრუქტურებში გასათვალისწინებელი ძირითადი საკითხები.

ბ) მიმდინარე შემოსავლების მიმოხილვა და საექსპლოატაციო ხარჯები და პროგნოზი მომდევნო 5-10 წლის განმავლობაში

- მიმდინარე საფასურის შეფასება, რაც უნდა დაეფუძნოს დავალება 2-ის ამოსავალ ამოცანებს, საინჟინრო გადაწყვეტილებების დასაბაუთება და CDP- ს შედეგების მხარდაჭერა თბილისის სატრანსპორტო კომპანიასთან მიმართებაში (ცალკე სტრანსპორტო პროგრამა).
- ხარჯების პროგნოზირება ქსელის გაფართოების რეალისტურ სიტუაციებზე დაყრდნობით , ხარჯების ბაზის გაფართოებისა და ეფექტურობის გაუმჯობესების გათვალისწინებით ამოცანა 3-ის ფარგლებში.
- ბილეთების შემოსავლების ანალიზი, მათ შორის, ბილეთის ტიპის დაზიანებისა და მიმდინარე ტარიფის სქემის პროგნოზირების (შესადარებელი სტანდარტისთვის) გათვალისწინებით
- ბილეთის შემოწმების, სააღსრულებო პოლიტიკის შეფასება, ავტობუსების სისტემაში უფასო მგზავრთას რაოდენობის განსაზღვრა
- შესაძლო დამატებითი შემოსავლების წყაროების მიმოხილვა (კომერციული და სხვა)

გ) ბენჩმარკინგი მსგავს ქალაქებთან

- ტარიფის დონე და სტრუქტურა მსგავს სატრანსპორტო სისტემებზე, რომელებიც ყველაზე მოთხოვნადია რაოდენობის, ხარჯების დაფარვის კოეფიციენტების ან ტენდენციების გამო.
- პოლიტიკა და რეგულაციები, რომელიც უკავშირდება ტარიფის დადგენას და ტარიფის გადახედვას (კერძოდ, ისინი, რომლებიც ამას სისემატურადახ[illegible] ღირებულების ყოველწლიური გადახედვა)

BUSINESS HOUSE LLC 204482608

დ) შესაძლო სატარიფო სქემების შეფასება

- შესაძლო ახალი სატარიფო სტრუქტურების განხილვა (სტანდარტული მგზავრობის ღირებულება, ყოველდღიური მგზავრობის ღირებულება, მანძილზე დამოკიდებული ან / და მგზავრობის დრო, ზონები და ა.შ.), პროდუქციის ასორტიმენტი (ერთჯერადი მგზავრობა, დღის ბილეთი, პერიოდული გადაჯდომები)
- ახალი ტარიფის პოლიტიკის მინიმუმ 2 ვარიანტის მომზადება: დრო და ზონა რომელიც ეფუძნება დაკავშირებულ პროდუქციას
- ურბანული ტრანსპორტის, ინსპექტირებისა და აღსრულების შემოსავლების შეგროვების ინსტიტუციური მოწყობა; ავტობუსის მოქმედი კონტრაქტები და პრაქტიკა
- საკანონმდებლო განხილვა, რომელიც უზრუნველყოფს მყარი საკანონმდებლო ჩარჩოთი და შესაბამისი პირველადი და მეორადი კანონმდებლობის კონტურით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. კერძოდ, ეს ეხება ტარიფების შექმნისა და გადასინჯვის მექანიზმს

ე) ხელმისაწვდომობის შეფასება

- სოციალურ-ეკონომიკური შეფასება, რომელიც განსაზღვრავს ტარიფის სტრუქტურაში არსებული და სამომავლო სოციალური კატეგორიის ინდიკატორებს
- არსებული და გაუმჯობესებული მომსახურების დონეების (სიჩქარის, სიხშირის, კონდიცირების, სადგურების და ა.შ.) პარამეტრების გათვალისწინებით გადახდის სურვილი;
- სოციალური ჯგუფების ფასების გაზრდისა და წინადადებების სოციალური ზემოქმედების განსაზღვრა. ასევე, სატარიფო დონეების შემცირება მისაღები ხელმისაწვდომობის დონეების შესანარჩუნებლად
- უმცირესობათა ჯგუფებისა და გენდერული საკითხებისადმი განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მეტროს სისტემის ინკლუზიური ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას

ვ) ახალი სატარიფო სტრუქტურის შემოთავაზება და განხორციელების გეგმა

- ახალი ტარიფის სტრუქტურის აღწერა, მათ შორის ზონალური რუკები და ა.შ. თუ კი ეს რელევანტური იქნება (შეიძლება ამ ეტაპზე იყოს მითითებული, არსებული კვლევების ხარისხის მიხედვით); ტარიფის სტრუქტურა და ფასები (ბილეთები, პერიოდული გადაჯდმა) და ტარიფების გადახედვის პროცესი
- ფინანსური შემოსავლების შეფასება ორივე ქალაქის პერსპექტივაზე, AFC სისტემის მონტაჟის და საექსპლიატაციო ხარჯების, ოპერატორების და სხვა მომხმარებლის პერსპექტივების გათვალისწინებით, სხვადასხვა მომხმარებლის ჯგუფების, მიმდინარე და სამომავლო ბილეთის ხარჯების გათვალისწინებით მგზავრობის ტიპის, სიგრძისა, სიხშირის და ა.შ.მიხედვით.
- საკანონმდებლო და ინსტიტუციური შეთანხმებები, რომელიც საჭიროა ინტეგრირებული AFC სისტემის მხარდასაჭერად.
- სატარიფო სტრუქტურებში ცვლილებების შესაძლო ეტაპობრივი განხორციელების რეკომენდაციები, კერძოდ, ახალი საფასურის ტიპების შემოღება, ავტობუსების ქსელების რესტრუქტურიზაციისა და პარკის ჩანაცვლების გეგმის შესაბამისად

დავალება 7. ახალი ინტეგრირებული AFC სისტემის დიზაინი და მასშტაბი

ეს ამოცანა განიხილავს ქალაქის მიერ ჩატარებულ AFC- ს შესწავლას. სტატუსისა და შედეგების მიხედვით შესაძლებელია ამ ამოცანის მოთხოვნები დარეგულირება ან / და ფარგლების შემცირება.

კონსულტანტი რეკომენდაციას უწევს ელექტრონული საბილეთო სისტემის განახლებასა და გაფართოებას ყველა საზოგადოებრივ ტრანსპორტში, განსაკუთრებით კი კერძო მომსახურებაში და რეკომენდაციას უწევს ქალაქის გაფართოებულ სისტემას, რომელიც მიზნად ისახავს ეფექტური, საიმედო, გამჭვირვალე და მონაცემებით მდიდარი სისტემის შემუშავებას საფასურის ელექტრონულად შეგროვებისთვის. სისტემას უნდა გააჩნდეს ტექნოლოგიური და მარეგულირებელი სისტემა, რომელიც საშუალებას აძლევს ქალაქს ახალი სისტემა გამოიყენოს ყველა საჯარო სატრანსპორტო ოპერატორზე, იქნება ეს საჯარო თუ კერძო.

სისტემის მთლიანობა და თავსებადობა არის ძირითადი ფაქტორები და, შესაბამისად, კონსულტანტმა უნდა შეისწავლოს შესაძლებლობები:

- ღია ელექტრონული საბილეთო სტანდარტის შექმნა უკონტაქტო სმარტკარტისთვის.
    - ბარათის სტრუქტურის დიზაინი, ფაილების მართვა, გადაცემები.
    - საერთო წვდომის ოქმები
    - უსაფრთხოების ალგორითმები,
    - აუტენტიფიკაციის გასაღებები
    - ტექნიკური მახასიათებლები ფიზიკური მედიისთვის (SmartCard)
- ძირითადი ოპერატიული სისტემის პრინციპები და საერთო ცენტრალური სისტემის ჩარჩო.
    - კომუნიკაციის განვითარება, მონაცემთა შეგროვებისა და მონაცემთა განაწილების პროტოკოლები ცენტრალური სისტემის სერვერებს შორის და თბილისის სატრანსპორტო ოპერატორების სპეციალურ სერვერებზე - TTC და კერძო ავტობუსების ოპერატორებს შორის.
- გარდამავალი პერიოდის განმავლობაში თავსებადი სამომხმარებლო ხარჯების განხორციელების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება.

ა) ტექნიკური

კონსულტანტი დოკუმენტირებულად დაუდასტურებს და წარუდგენს შემუშავებული სისტემის დიზაინს მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით (ინფორმაცია, არჩევანი, შეძენა, დადასტურება, კონტროლი და ა.შ.). კონსულტანტი ჩამოთვლის ყველა უპირატესობას, დამატებით ღირებულებას (მარშრუტის შეცვლა, ახალი ბარათზე ღირებულების გადატანის შესაძლებლობას, თუ ერთი დაკარგა და ა.შ.) ასევე, ნაკლოვანებებს არსებული სისტემასთან შედარებით.

TBILISI BUSINESS HOUSE LLC 404382608

კონსულტანტი ცალკე გამოყოფს დაგეგმილ ტექნიკურ ინფრასტრუქტურის ძირითად პარამეტრებსა და არქიტექტურას, მათ შორის:

- შერჩეული სმარტბარათის ტიპი და ძირითადი საბაზისო სტრუქტურა (ელექტრონული საფულე, ბილეთები და ა.შ.)
- მომხმარებელთათვის შემოთავაზებული სხვადასხვა ბარათების რაოდენობა (პერსონალიზებული, ფასდაკლება და ა.შ.)
- მონაცემთა გაცვლისა და გადაცემის სქემა, მათ შორის მონაცემთა გაცვლის მეთოდების აღწერა სისტემის სხვადასხვა ნაწილებს შორის;
- სისტემის ტექნიკური არქიტექტურა (რა ტექნიკა და სად);
- სისტემების ცალკეული ნაწილების (მედიის (ბარათის), ბორტ აპარატურის, ბარათის გაცემის და ბილეთის გაყიდვის მოწყობილობების, ვებ-გვერდის, სერვერისა და სისტემების მართვის, მათ შორის წვდომის კონტროლის და ა.შ.) უსაფრთხოების ხარისხი;
- საექსპლუატაციო მახასიათებლები, მათ შორის დახურული და ღია სისტემის დიზაინი, ბილეთების სისტემის ინტეგრაცია და ნებისმიერი შემოთავაზებული დახურული დიზაინის მიწისზედა სატრანსპორტო საშუალებების (მეტრო, ავტობუსი, საბაგირო) ტექნიკური განხორციელებადობა და სხვა მუნიციპალურ ბილეთებთან (პარკირების გადასახადი, საგზაო გადასახადი და სხვა) დაკავშირტებული აქტივობები.
- AFC სისტემის დამხმარე ელემენტები, როგორიცაა მონიტორული სისტემები სამგზავრო მონაცემებისთვის, როგორც სატრანსპორტო საშუალებებში, ისე გაჩერებებზე. ასევე, პარკის მონიტორული მართვის სისტემებში, რომელიც აღჭურვილია GPRS (ან ეკვივალენტური) შესაძლებლობებით, და
- სატარიფო კონტროლისა და აღსრულების განხორციელების წესი

თითოეული ტიპისთვის, კონსულტანტი განახორციელებს საინვესტიციო ხარჯების დეტალურ გაანგარიშებას (აპარატურა და მონტაჟი) და საექსპლუატაციო ხარჯებს (მათ შორის ბილეთების დამზადებას და განაწილებას და ტექნიკის შენახვის ხარჯებს). შედარების გასაკეთებლად უნდა დაითვალოს მიმდინარე სისტემების საექსპლუატაციო ხარჯები.

ანგარიში უნდა შეიცავდეს სხვადასხვა ვარიანტების სრულფასოვან შედარებას და მკაფიო რეკომენდაციას ქალაქში სასურველი AFC სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით. ამასთნავე, შერჩეული ტიპის სისტემის განხორციელების ალბათობა უნდა იყოს მაღალი, არასამართლიანი ინსტიტუციური მარეგულირებლების, ტექნოლოგიური ან ქსელების ურთიერთქმედების შესაძლებლობის არსებობის გარეშე.

კონსულტანტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სისტემის შემდეგი მახასიათებლებს:

- უზრუნველყოფს თუ არა იგი კლიენტს კოდირების საჭირო საკუთრების უფლებით, სისტემის ცალკეულ ნაწილებს შორის კომუნიკაციისთვის გამოყენებული ოქმებით, მონაცემთა ბაზებით და სხვა მნიშვნელოვანი ელემენტები აძლევს თუ არა მას საშუალებას შეზღუდვების გარეშე გამოიყენოს სისტემა? კონსულტანტი გადაწყვეტილებას მიიღებს იმის მიხედვით, უზრუნველყოფს თუ არა კონკრეტული სტრუქტურა ზემოთ მოყვანილი საკუთრების ტიპს. თუ იგი ამას ვერ უზრუნველყოფს, მაშინ კონსულტანტი აკეთებს ზოგად რეკომენდაციას (მოთხოვნებს ტენდერის [illegible] ნაწილეებისთვის), რათა უზრუნველყოს დამოუკიდებლობა მიმწოდებლის თავდაპირველი სისტემისგან;
- უზრუნველყოფს თუ არა დაგეგმილი სისტემის სტრუქტურა, ისევე რორგორც შერჩეული ტექნოლოგია მონაცემების, ტრანზაქციების და პირადი ინფორმაციის უსაფრთხოებას ზოგადად;

BUSINESS HOUSE LLC 204482608

- რამდენად ადვილი იქნება მისი გაფართოება/გაგრძელება სხვა სერვისებთან მიმართბაში, როგორიცაა პარკინგი, საზოგადოებრივი შენობების ხელმისაწვდომობა და სხვა;
- შეეძლება თუ არა კლიენტს, შეცვალოს სისტემის ცალკეული კომპონენტები სხვადასხვა მომწოდებლებისა და მწარმოებლების იგივე კომპონენტებით თავდაპირველი მომწოდებლის ინფორმირების/ჩარევის გარეშე.
- მისცემს თუ არა შერჩეული ტექნიკური და ფუნქციონალური მახასიათებლები ტენდერში საკმარისი კონკურენციის საშუალებას. ამ კუთხით კონსულტანტი თავის პროფესიულ გადაწყვეტილებას მიიღებს საკუთარ ცოდნაზე დაყრდნობით.

ბ) ორგანიზაციული

გათვალისწინებულია, რომ ქალაქ თბილისის AFC სისტემა მფლობელობაში გადაეცემა ახალ კომპანიას, "თბილისის საბარათე კომპანია" ნაწილობრივ ან მთლიანად. ამ კომპანიამ შეიძლება მომავალში ასევე მფლობელობაში მიიღოს ახალი ავტობუსის პარკის აქტივები, როგორც საჯარო ლიზინგის ვარიანტის ნაწილი, და /ან ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაგეგმვისა და მონიტორინგის სერვისები. ყველა ამ ფუნქციის გადაცემა საგადასახადო შემოსავლების შეგროვებასა და აღსრულებასთან ერთად სავარაუდოდ გაიწერება ახალი საჯარო სამსახურის ხელშეკრულებით, რომელიც ჯერ კიდევ მუშავდება და შესრულდება.

კონსულტანტი ახალ კომპანიას შეთავაზებს ორგანიზაციის სტრუქტურას და წარუდგენს შენიშვნებს/კომენტარებსა და შეთავაზებებს მისი ჩამოყალიბებისა და ექსპლუატაციისათვის (მხოლოდ AFC სისტემის თავდაპირველი პერსპექტივის საფუძველზე). კონსულტანტი მიუთითებს მის მიზნებსა და ორგანიზაციულ სტრუქტურაზე და პირველად და მეორად ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს თითოეული დეპარტამენტისთვის. ახალი AFC სისტემის დიზაინის, ზომისა და განხორციელების გეგმის გათვალისწინებით, ასევე ფუნქციებისა და მოვალეობების რაოდენობით, კონსულტანტი მოამზადებს პერსონალის დაკომპლექტების გეგმას, რესურსების განაწილებასა და ბიუჯეტს.

კომპანიამ უნდა უზრუნველყოს აღსრულების განხორციელების დაგეგმვა და მონიტორინგი. სააღსრულებო პრაქტიკა და პროცედურა განისაზღვრება შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, მათ შორის მუნიციპალური ორგანოების სამსახურებსა და სატრანსპორტო ოპერატორებთან. მოსალოდნელია, რომ კომპანია თავად ითანამშრომლებს საზოგადოებასთან, განახორციელებს მარკეტინგული კამპანიების და თავს გაართმევს კლიენტის გამოკითხვებსა და დამხმარე ოფისების განყოფილებებისა და ქოლ-ცენტრისგან მიღებულ ინფორმაციას.

გ) საკონტრაქტო

კონსულტანტმა უნდა განიხილოს შესაბამისი საკონტრაქტო მეთოდები, მათ შორის საინჟინრო, შესყიდვისა და მშენებლობის კონტრაქტები (EPC კონტრაქტები) და დიზაინი-აშენება-ოპერირებაშენარჩუნება (DBOM), რომელიც ეფუძნება შემდეგს:

- **შესყიდვების პრაქტიკას:** არსებული შესყიდვების პრაქტიკა, გამოცდილება საქართველოში და წინა და მიმდინარე ინიციატივები, შესაბამის სამართლებრივ და მარეგულირებელ დებულებებთან ერთად საკონტრაქტო შესყიდვის მეთოდების [illegible] შეფასებლად.
- **იურიდიულ შეფასებას:** კერძო სექტორის მონაწილეობით [illegible] სტრუქტურის დარგში მონაწილეობისა და სერვისების ფუნქციონირებასთან [illegible] კანონმდებლობა,

განსაკუთრებით საჯარო და კერძო პარტნიორობა (PPP), კონცესიული სქემები და კონტრაქტები და მასთან დაკავშირებული საგადახდო სქემები, მათ შორის გადასახადების ხელმისაწვდომობა, ჯარიმები და წამახალისებელი სქემები. ასევე, კაპიტალდაბანდებების სუბსიდიები და საჭირო თანხის დაფინანსება.

- **ტექნიკური შეფასება:** კონსულტანტი ჩამოთვლის და მოამზადებს სისტემის ნაწილების ფუნქციების სათანადო აღწერას და შესთავაზებს სხვადასხვა საკონტრაქტო სტრატეგიებს სისტემის მიწოდებისა და სხვადასხვა ტექნიკური აღჭურვილობის, სერვერისა და მონაცემთა ბაზის სისტემებთან დაკავშირებით. ასევე, ბარათების მიწოდებისა და შევსების სერვისებთან და ა.შ., დაკავშირებით, რათა დაადგინოს თუ რომელი მათგანი შეიძლება დაფინანსდეს მესამე მხარის მიერ. კონსულტანტი ამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს AFC სისტემის ტექნიკური სკოპინგისა და შეფუთვის დიზაინისთვის, ინტერფეისის და კოორდინაციის საკითხების გათვალისწინებით.
- **ფულადი ღირებულების შეფასება,** ძირითადი ეფექტურობის მაჩვენებლებზე (KPIs), მენეჯმენტისა და ფინანსურ ასპექტებზე დაყრდნოით, მიმდინარე პროექტის განხორციელების მეთოდები და საექპლუატაციო სისტემა შეადაროს ახალ შემოთავაზებულ კერძო სექტორს / საჯარო და კერძო პარტნიორობის (PPP) მიდგომას. ადგილობრივი და საერთაშორისო ბრენჩმარკინგი და საუკეთესო პრაქტიკის მეთოდები გამოყენებული უნდა იყოს შესაბამისად.

საბაზრო ურთიერთობა: კერძო სექტორის კომპანიების ქმედუნარიანობა AFC- ის, მიწოდებისას, ექსპლუატაციისას და მოვლა-შენახვისას. ასევე, სისტემაში ინტეგრაციისას, შემოსავლის ჩათვლით დამატებითი რისკის გათვალისწინებით, განსაკუთრებით შემოსავლების, ექსპლუატაციისა და დაფინანსების მხრივ არსებული რისკებისას. აღნიშნული რისკები ყველაზე კრიტიკული ელემნტია განხორციელების ოპტიმალური სტრატეგიის განსაზღვრისას. სატენდერო პროცედურებში მონაწილე სავარაუდო მიმწოდებლები და SI4 უნდა იყვნენ კონსულტირებულნი სატენდერო პირობებთან დაკავშირებით, რომელიც პასუხობს ბაზრის სათანადო მოთხოვნებს. ეს შეიძლება მოიცავდეს გადახდის პირობებსა და ვადებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც AFC- ს კონტრაქტი უნდა მოიცავდეს კერძო რისკ ფაქტორზე დაფუძნებულ დაფინასებას SPV- ს ფარგლებში, ხალხის მიერ დაფინანსებულ DBOM- ის მოდელს, ან მისი ჰიბრიდული მოდელის შემთხვევისას (მაგ. გადახდის ვარიაცია სატრანსპორტო დონეზე საექსპლუატაციო გადახდებისთვის).

დ) კომერციული

არსებობს მოლოდინი, რომ ფასის გამოყოფილი (განსაზღვრული) რაოდენობა შენახული უნდა იყოს მსესხებლის მიერ სისტემის რელევანტური ხარჯების დასაფარად. დარჩენილი რაოდენობა კი, ახალი ჩარჩო-ხელშეკრულების შესაბამისად, უნდა გადაირიცხოს სატრანსპორტო სერვისის მიმწოდებლებთან: მუნიციპალურ და კერძო ოპერატორებთან.

კონსულტანტი აღრიცხავს მიმდინარე და მოსალოდნელი (მიზანშეწონილი) ფასის მაჩვენებლებს და ბილეთების ტიპებს სისტემის სავარაუდო კომისიონირების და პენეტრაციის პერიოდში. LTRCCity-ს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება AFC სისტემის მოსალოდნელ სატარიფო სტრუქტურაზე. შესაბამისად, კონსულტანტი შესთავაზებს იმ სატარიფო სტრუქტურას, რომელიც ყველაზე შესაფერისი იქნება Irbid-ისთვის სისტემის გაშვების, პენეტრაციის და სრული ოპერაციული დატვირთვის ეტაპებზე. კონსულტანტის შეთავაზება დაფუძნებული [illegible] ცოდნილებას და პროფესიონალურ ცოდნას. ბანკი აცნობიერებს, რომ [illegible] ტარიფის

სტრუქტურა დამოკიდებული იქნება LTRC-City-ს გადაწყვეტილებაზე და შეიძლება განსხვავდებოდეს კონსულტანტის შეთავაზებისგან.

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომხმარებელ ჯგუფთა სეგმენტაციის თაობაზე ინფორმაციის საფუძველზე, კონსულტანტი წარმოადგენს სისტემის განვითარების და პენეტრაციის სხვადასხვა ეტაპების რეალისტურ გეგმას მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფებისა და ბილეთების ტიპებისათვის. მაგ.: პირველადი სამიზნე ჯგუფი შეიძლება იყოს სტუდენტები და მგზავრები, რომლებიც იყენებენ ყოველთვიურ სამგზავრო აბონემენტს.

მომხმარებელთა შესახებ არსებული მონაცემების საფუძველზე კონსულტანტი მოახდენს შემდეგი საკითხების დოკუმენტირებას:

- სადისტრიბუციო ქსელის ზომა და აღწერა (სავაჭრო წერტილების რაოდენობა და ტიპი თითოეული ეტაპისთვის), ისევე, როგორც ვებ-გვერდის გაშვება და მასში ბარათის შევსების წესების გაწერა;
- იმ ბარათების ტიპები, რომლებით თავდაპირველად, სისტემის გაშვებისთანავე იქნება შეთავაზებული;
- ელექტრონული ბარათების პენეტრაციის წარმოდგენილი გეგმა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის ბილეთებს და მგზავრთა სხვადასხვა სოციალური ჯგუფებს;
- კონდუქტორის უფლებამოსილების დასრულებისა და მის ნაცვლად ბილეთების ინსპექტორის (აღმასრულებელის) უფლებამოსილების დასაწყისის წყალგამყოფის განსაზღვრა;
- აღსრულების მექანიზმის შემუშავება და მისი ფარგლების განსაზღვრა, რაც გულისხმობს მუშაკთა რაოდენობას, სატრანსპორტო საშუალების ყოველდღიურ გეგმიურ შემოწმებას და ა.შ.;

თუ ზემოაღწერილი მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი, კონსულტანტი ბანკს წარუდგენს რეკომენდაციას მისი ცოდნის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე.

კონსულტანტი ასევე შეაგროვებს და წარუდგენს ბანკს წინა წლების მონაცემებს და მგზავრთა გეგმიურ რაოდენობას AFC სისტემის იმპლემენტაციის და პოსტ-იმპლემენტაციის სტადიებზე. გეგმა მოიცავს როგორც სხვადასხვა ჯგუფებში შემავალ მგზავრთა რაოდენობას, ასევე არსებული სისტემის პირობებში და AFC სისტემით მიღებულ საბილეთო შემოსავლებს. ეს შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუკი ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია მგზავრთა ჯგუფების ისტორიულ სეგმენტაციაზე და ასევე, თუკი არსებობს პროგნოზები ამ ჯგუფების მიერ ამჟამინდელი კონვენციური საბილეთო სისტემის მოხმარების გაზრდის შესახებ.

კონსულტანტი მიმოიხილავს, აღრიცხავს და კომენტარებს დაურთავს ახალი AFC და AVL სისტემების იმ სავარაუდო ხარჯების თაობაზე, რაც გაწეულ იქნება ...ის მიერ. კონსულტანტი შესთავაზებს ფასს კონტრაქტის მოსალოდნელი ღირებულების გათვალისწინებით, შესყიდვის შეთავაზების დეტალების მხედველობაში მიღებით, კერძოდ, მიწოდების, ინსტალაციის და ექსპლუატაციის.

TBILISI BUSINESS HOUSE LLC 404482608

AVL სისტემის მიახლოებითი ღირებულება წარმოდგენილ უნდა იქნას ცალკე, რამდენადაც ის არის სისტემის არასავალდებულო ელემენტი.

დამატებით, კონსულტანტი მიახლოებით წარმოადგენს ფინანსური მოდელის ყველა აუცილებელ ვარაუდს და ხარჯს, რისთვისაც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ICS-ის ორგანიზაციული სტრუქტურა, სისტემის წარმოდგენილი დიზაინი, გეგმიური კაპიტალური ხარჯები და სხვა დაკავშირებული ხარჯები.

ამოცანა 8. განხორციელების გეგმა და პირველადი ბიზნეს გეგმა

კონსულტანტი მოამზადებს პირველად ბიზნეს გეგმას ფინანსური მოდელით. ბიზნეს გეგმაში შეაჯამებული უნდა იყოს წინა ამოცანების განხორციელებისას კონსულტანტის მიერ შესრულებული სამუშაოს ანალიზები და ხაზი გაუსვას მსესხებლის არსებობის შემოღებას და ახალი სისტემის დანერგვას.

ა) ავტობუსის ქსელის რეფორმა და AFC სისტემა

შემოთავაზებული მარშრუტის გეგმის, სატარიფო სტრუქტურის, AFC სისტემისა და მასთან დაკავშირებული თითოეული ეტაპობრივი კომპონენტის, სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს საფუძველზე, ასევე ოპერატორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად, კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს მკაფიო და ყოვლისმომცველი სტრატეგია, თითოეული განსახორციელებელი ფაზისთვის ურბანული ტრანსპორტის სექტორის რეფორმის ფარგლებში, რომელიც მოიცავს ავტობუსის ქსელის რესტრუქტურიზაციას, მგზავრობის სტრუქტურის გადახედვას და ინტეგრირებული ავტომატური გადასახადის შეგროვების სისტემის დანერგვას.
საერთო ეტაპობრივი განხორციელების გეგმაში განიხილული უნდა იყოს თითოეული დაინტერესებული მხარის პრიორიტეტები და შეზღუდვები და ამას გარდა მოიცავდეს საჭირო პერიოდებს შემდეგი საკითხებისთვის:

- რესტრუქტურიზაციის გეგმის საჯარო განხილვა და საბოლოო მიღება; შესაძლო გადასინჯვა BRT და / ან SUMP-ის სრული კვლევის შესაბამისად.
- სამართლებრივი / მარეგულირებელი ჩარჩოს კორექტირება
- არსებულ მოქმედი კონტრაქტების გადახედვა, რაც შეიძლება ითვალისწინებდეს კონტრაქტის მთლიანი ღირებულების ანაზღაურებას; PSC- ს ხელშეკრულების დადება თბილისის სატრანსპორტო კომპანიასთან
- არსებული სატრანსპორტო პარკის მდგომარეობაზე დაყრდნობით პრიორიტეტული მარშრუტების (მაღალი სიხშირის) მარშრუტების პირველი ეტაპის განხორციელება
- სატრანსპორტო პარკის განახლების პროგრამის მეორე ეტაპის განხორციელება, მათ შორის შესაძლო პრიორიტეტული ავტობუსის მარშრუტის და / ან BRT- ის განხორციელება.

ბ) თავდაპირველი ბიზნეს გეგმა

გეგმა უნდა შეიცავდეს კომპანიის ფინანსურ პროგნოზებს, რომელიც გაანგარიშები იქნება 12-15 წელზე და წარმოგვიდგენს სამომავლო სატრანსპორტო პარკისა [illegible] სისტემის სიცოცხლის

ხანგრძლივობას, ავტობუსის განახლებადი პროგრამის ხარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით. ასევე, ქალაქ თბილისის სამგზავრო ღირებულების პოლიტიკაზე დაყრდნობით. კონსულტანტმა უნდა მოამზადოს თავდაპირველი ფინანსური ლიკვიდურობის მოძრაობა, რომელიც აერთიანებს ქალაქის ხარჯებს და შემოსავლებს.

ფინანსური მოდელი უნდა მოიცავდეს 12-15 წლიან პერიოდს 2017 წლიდან და ცალ-ცალკე გამოყოს:

- მსესხებელთა ხარჯებისა და შემოსავლის დაშლა/ჩაშლა;
- მსესხებლის ფინანსური ანგარიშგება 2017-2032 წლების პერიოდში;
- ავტობუსის ხარჯების პროგნოზირება დაგეგმილი მომსახურების საფუძველზე და არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების კილომეტრ ფასი, მათ შორის სავარაუდო ინფლაცია;
- ახალი AFC სისტემის დანერგვით მიღებული სარგებელი;
- თაღლითობისა და ღირებულების გადახდის თავიდან აცილების აღკვეთის შემცირების შედეგად დაგეგმილი დამატებითი შემოსავლები.
- ტარიფის პროგრესი
- მგზავრობის ღირებულების შემოსავლები, კომპენსაცია შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე მგზავრებისთვის და სუბსიდია მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

ბიზნეს გეგმა უზრუნველყოფს ბანკს შესყიდვის, დამონტაჟების, ექსპლუატაციისა და მომხმარებელთა დაფარვის/ შეღწევადობის ეტაპების ინდიკატური გეგმით. შესყიდვის ეტაპები უნდა შეესაბამებოდეს EBRD PP&R-ს მოთხოვნებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. სამონტაჟო ეტაპზე უნდა შეიცავდეს სისტემის ტესტირებასს და ექსპლუატაციაში ჩაშვებას. ასევე, უნდა შეიცავდეს ინტერნეტ გვერდის, მარკეტინგის გეგმის განვითარებას.

დავალება 9. ურბანული საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეფორმის პოლიტიკის გეგმა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ქალაქიდან მიღებული შენიშვნების საფუძველზე, კონსულტანტი მოამზადებს სათანადო შემაჯამებელ სამოქმედო გეგმას საკრებულოს მიერ განხილვისა და დამტკიცებისათვის. ეს დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ძირითადი ტრანსპორტის რესტრუქტურიზაციის პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს ავტობუსის ახალი მარშრუტის სისტემის, სატარიფო პოლიტიკისა და შემოსავლების შეგროვების სისტემის დანერგვას ეროვნული საკანონმდებლო პროცედურების დაცვით და მოკლედ განსაზღვრავს იმ მიმართულებას, რომლის განვითარებაზეც უნდა იზრუნოს ქალაქმა სამომავლოდ (არაუმეტეს 12 გვერდი).

კონსულტანტმა უნდა :

- უზრუნველყოს შემოთავაზებული ახალი სატარიფო სტრუქტურის პოლიტიკის გეგმის შემუშავება, ახალი სატარიფო სტრუქტურის დეტალური ანალიზანი, გავლენა მოსახლეობაზე, ალტერნატიული ღონისძიებები
- განსაზღვროს დანერგვისთვის საჭირო (ან სასურველი) საკანონმდებლო ზომები
- განსაზღვროს აუცილებელი (ან სასურველი) ინსტიტუციური რეფორმები მაგ. მუნიციპალური ტრანსპორტის დაგეგმვის, მონიტორინგის, შესაძლებლობების

განვითარების დამოუკიდებელი სატრანსპორტო ორგანოს შექმნა. კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს ასეთი ორგანოს შექმნის დასაბუთება, ასევე მკაფიოდ განსაზღვროს მისი მიზანი, მანდატი, ორგანიზაციული სტრუქტურა და სხვადასხვა დეპარტამენტის ფუნქციები და ვალდებულებები. შემოთავაზებულმა დაწესებულებამ შეიძლება მიიღოს საკუთრების უფლება ან გააერთიანოს "თბილისის საბარათე კომპანია" და "ავტობუსების ლიზინგის კომპანია" მე-7 და მე-4 დავალებების ფარგლებში, შესაბამისად.

- მოამზადოს მარკეტინგული / საკომუნიკაციო სტრატეგია ახალი სქემის დანერგვისთვის, განსაკუთრებით, საფასურის გადამხდელი მომხმარებლებისთვის.
- მოამზადოს ახალი სქემის დანერგვის საგზაო რუკა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებები, გამოყოს შემდგომი ქმედებები და პროექტები, რომლებიც უნდა დამტკიცდეს ქალაქის და/ან სხვების მიერ.
- უზრუნველყოს საკანონმდებლო პროცესის მხარდასაჭერად აუცილებელი დოკუმენტაცია

კონსულტანტმა ასევე უნდა მოამზადოს ეტაპი 2-ის წამოწყებების შეჯამება, განსაზღვროს ეტაპი 2 -ის ამოცანები და ნებისმიერი შემოთავაზებული ცვლილება, AFC სტატუსისა და ეტაპი 1-ის შედეგებისა და დასკვნების გათვალისწინებით.

<u>ეტაპი 2: მარშრუტის სატენდერო გეგმა, AFC-ის მახასიათებლები და მოდელის საექსპლუატაციო კონტრაქტი ავტობუსების ოპერატორებისთვის</u>

კვლევის მე -2 ეტაპზე უნდა შემუშავდეს ავტობუსის რესტრუქტურიზაციის, სატარიფო პოლიტიკისა და AFC სისტემის პირველი ფაზის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული საექსპლუატაციო კომპონენტები, როგორც ეს განსაზღვრული და დამტკიცებულია კვლევის პირველი ეტაპით.

ეტაპი 2 უნდა ეფუძნებოდეს პირველი ეტაპის ჯეროვან შესრულებას. ასევე, იგი უდა დაიწყოს ქალაქისა და EBRD- ს წინასწარი თანხმობის საფუძველზე. ქალაქის მიერ ცალკე განხორციელებული AFC კვლევის მდგომარეობისა და შედეგების გათვალისწინებით, შეიძლება შესწორდეს და/ან რაოდენობრივად შემცირდეს AFC-ის მე-2ეტაპის დავალ;ებების მოთხოვნები. დავალება 10. სამარშრუტო ტენდერის გეგმა

ამოცანა 10. მარშუტების სატენდერო გეგმა

1-ლი ეტაპის დავალებების საფუძველზე, რომელმაც უნდა განსაზღვროს მარშრუტის რესტრუქტურიზაციის დეტალური გეგმა და განრიგი, კონსულტანტმა უნდა გადაწყვიტოს თუ როგორ მოხდება ახალი გეგმის იმპლემენტაცია, ამისთვის მხედველობაში უნდა მიიღოს არსებული ოპერატორების და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლეების წინაშე მდგარი სხვადასხვა [illegible] წვევები, მათ შორის საკითხები დაკავშირებული ინსტიტუციურ, სარეგულაციო, საკონტრაქტო, საოპერაციო, კომერციულ და ფინანსურ მოწყობასთან. ყველა ის [illegible]ამოწვევა, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს როგორც სამგზავრო გადაყვანის [illegible]ემპსა [illegible]ეზე, ასევე მის მასშტაბსა და ბუნებაზე.

BUSINESS HOUSE LLC 204482608

საქალაქო სატრანსპორტო სისტემის განვითარებაში ქალაქისთვის პრიორიტეტულია ავტობუსების ოპერირების და სერვისის ეფექტურობის გაუმჯობესება და ოპერატორების ინტეგრირება ერთიან საბილეთო სისტემაში.

ამჟამად ქალაქს ავტობუსების და მიკროავტობუსების ოპერატორებთან აქვს ოთხი კონტრაქტი, სტანდარტული საოპერაციო და ფლოტთან დაკავშირებული მოთხოვნები თან ერთვის ამ ლიცენზიებს. თუმცა, ქალაქის სატრანსპორტო დეპარტამენტი საჭიროებს ახალ, გაუმჯობესებულ ჩარჩო-კონტრაქტებს და შემოსავლების ალოკაციის სისტემას, რაც წაახალისებს ოპერაციის ეფექტიანობას და მდგომარეობას ბაზარზე (ე.წ. „შეჯიბრებითობა ბაზარზე"). ახალი სისტემის მიზანი იქნება შეიმუშაოს ჯანდაცვის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მისაღები სტანდარტები, წინ წაწიოს კერძო სერვისების ოპერაციული ეფექტიანობა, სერვისების რეგულაციის გაუმჯობესებისა და კონტროლის, ასევე სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალების ტევადობის მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოყვანის გზით თითოეულ მარშრუტზე.

გაზრახულია, რომ გადაიხედოს როგორც კერძო, ისე საჯარო ოპერატორებთან არსებული მიმდინარე კონტრაქტები, რათა მან ასახოს ქსელის რესტრუქტურიზაცია, შემოსავლების რეალოკაცია AFC სისტემის ქვეშ და გაუმჯობესებული ჩარჩო-ხელშეკრულებები. თუმცა, მარშრუტების ახალი გეგმა უნდა ითვალისწინებდეს ახალ ტენდერებს დამატებულ ავტობუსების მარშრუტებზე ოპერირებისთვის, რაც შედეგი იქნება ავტობუსების მარშრუტების ახალი გეგმისა, განსაკუთრებით კი გეგმის იმ ნაწილისა, რომელიც ითვალისწინებს ავტობუსების ახალი ფლოტის საშუალებით ოპერირებას, განურჩევლად იმისა კერძო შესყიდვით იქნება შეძენილი თუ საჯარო ლიზინგით. გრძელვადიან პერსპექტივაში განზრახვა არის ის, რომ შეიქმნას ავტობუსების ოპერირების მაღალი დონის ველი თბილისში, სადაც უკვე არსებული კომპანიები იმუშავებენ იგივე ჩარჩოხელშეკრულებების და საბაზრო მდგომარეობის პირობებში, როგორითაც ახალი კომპანიები.

ახალ სახელშეკრულებო ჩარჩოს ექნება შემდეგი მრავალსახოვანი მიზნები: (i) კონკურენციის გაუმჯობესებული რეგულაციები მარშრუტებზე (შესაბამისად, ბაზარზეც); (ii) არაეფექტიანი ოპერაციული გადაფარვის ლიკვიდაცია როგორც საჯარო, ისე კერძო ტრანსპორტისათვის; (iii) სექტორის თანდათანობითი ტრანსფორმაცია ავტობუსთა უფრო დიდი ფლოტისკენ, ისე, რომ ავტობუსთა ტევადობა ემთხვეოდეს სხვადასხვა მარშრუტებზე მგზავრთა მხრიდან მოთხოვნას; (iv) გამონაბოლქვის გაუმჯობესებული სტანდარტები ახალი ავტობუსებისთვის, რაც შესაბამისობაში იქნება ჯეროვან და რეალისტურ სტანდარტებთან თბილისისთვის და ზოგადად საქართველოსთვის; (v) სერვისის ხარისხი, როგორც ეს განსაზღვრულია PSC-ში, ხელმოწერილ უნდა იქნას მომავალი საავტობუსო კომპანიების მიერ და (vi) უნდა მოხდეს სარგებლიანობაზე დაფუძნებული ინტეგრაცია ქალაქის ერთიან საბილეთო სისტემაში.

კონსულტანტი, სხვა აქტივობებთან ერთად, შეიმუშავებს ინსტიტუციურ და სარეგულაციო ჩარჩოებს ავტობუსების/მიკროავტობუსების მარშრუტებისა და სერვისების კონტრაქტირების გაუმჯობესებისთვის. ამასთან დაკავშირებით და მარშრუტების სტრუქტურიზაციის სავარჯიშოს შედეგების საფუძველზე, კონსულტანტმა უნდა:

BUSINESS HOUSE LLC

- მოამზადოს ავტობუსებით ოპერირების არსებული კონტრაქტების რევიზია მარშრუტთა რუკისა და 1-ლი ეტაპის განრიგის გათვალისწინებით; განმარტოს ოპერაციული ცვლილებები თითოეული ოპერატორისთვის ძირითად ოპერაციულ ინდიკატორებთან კავშირში (მგზავრდა ჯამური რაოდენობა, ტრანსპორტის სამარშრუტო კილომეტრაჟი და ა.შ.) და შეთავაზებული შემოსავლების ალოკაციის ახალი სქემა; განმარტოს ქალაქის სტრატეგია არსებულ ოპერატორებთან მოლაპარაკებისას, მომავალი ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციისა და ფლოტის განახლების გათვალისწინებით;
- შესთავაზოს ახალი კონტრაქტის ფორმა ავტობუსების ოპერატორებისთვის სამომავლო AFC სისტემის იმპლემენტაციისა და ელექტრონული ბილეთების ფასის გათვალისწინებით დამოუკიდებელი AFC კომპანიის პირობებში; ამასთან დაკავშირებით, განზრახულია რომ დროთა განმავლობაში კონტრაქტები გახდება ჯამური ხარჯის მომცველი, თუმცა მიჩნეულია, რომ ეს კერძო საავტობუსო სერვისებზე მიღწევადი იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ელექტრონული გადახდა გახდება გადახდის ძირითადი სახე, როგორც ეს არის საჯარო ტრანსპორტის შემთხვევაში. განსაზღვროს ადგილზე ნაღდი ფულით ანგარიშსწორებიდან ელექტრონულ გადახდამდე ტრანზიციის პროცესი, განსაკუთრებით კერძო ოპერატორებისათვის. დარწმუნდეს, რომ შეთავაზებული ცვლილებები შეესატყვისება ქალაქის ბიუჯეტს და მომხმარებელთა თვალსაზრისს, ასევე ფასების ახალ სტრუქტურას.
- განავითაროს კონსულტირების სტრატეგია შესაბამისი მეწილეებისთვის და ორგანიზება გაუწიოს საინფორმაციო სესიებს ამჟამინდელი ავტობუსების/მიკროავტობუსების ოპერატორების და სხვა მონაწილეების ინფორმირების მიზნით, ქალაქის მიზნებისა და რეგულაციური ცვლილებების არსის თაობაზე. კონსულტაცია უნდა მოიცავდეს ავტობუსების მარშრუტების მოდიფიკაციას, ფასის სტრუქტურას და შემოსავლების შეგროვების მეთოდებს AFC სისტემით. კონსულტაციის პროცესი მიზნად უნდა ისახავდეს საკმარის გამჭვირვალობას და ძირითადი საკითხების გაცნობას ქალაქის მიერ, უკუკავშირს მეწილეების მხრიდან და პასუხებს ამ უკუკავშირზე. ამასთან, პროცესი გასაჯაროებულ უნდა იქნეს ქალაქის ვებგვერდზე და სხვა რელევანტურ ადგილობრივ მედიაში.
- განსაზღვროს მარშრუტების შერჩევის სტანდარტული პროცედურა. მრავალწლიანი PSC-ის ხანგრძლივობა, ოპერირების კონტრაქტების ტიპები (მაგალითად, ერთჯერადი ან მრავალჯერადი სამარშრუტო კონტრაქტები, არეალის კონტრაქტები), ექსკლუზიურობა, კონტრაქტის ზომა, სერვისის მინიმალური სტანდარტები, უსაფრთხოების მოთხოვნები, სანქციები და ჯარიმები, ტენდერის პროცედურების სახელმძღვანელოების მომზადება.
- განავითაროს გეგმა შეცვლილი ჩარჩო-ხელშეკრულებით ოპერირებისთვის, პროცედურებისა და გამარჯვების კრიტერიუმებისთვის, რაც სთავაზობს ჯეროვან ინცენტივებს ტენდერის პროცესში იმ მარშრუტებისთვის, რაც უნდა შესთავაზონ ახალ ოპერატორებს. მიზანს წარმოადგენს ისეთი ტენდერი, რომელიც შექმნის ეფექტიანი კონკურენციის პირობებს, გააუმჯობესებს სერვისის სტანდარტებს და გაზრდის ჯანდაცვის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სტანდარტების შესაბამისობას. ეს ინცენტივები გაცხადებული უნდა იყოს ტენდერის შესარჩევ კრიტერიუმებში, როგორებიცაა:
    - განმცხადებელი კომპანია უნდა იყოს იურიდიული პირი; ○ მესაკუთრის წილი უნდა იყოს მითითებული;
    - ერთეულთა ის რაოდენობა, რაც უნდა იქნას შეყვანილი ოპერირებაში ახალი კონტრაქტის მიხედვით;
    - წინა საოპერაციო გამოცდილება;
    - ერთეულ კილომეტრზე ფასის შეთავაზება ჯ/და ფასი [illegible] მგზავრზე ან სხვა სერვისის ფასი;

- ახალი განმცხადებელი კომპანიის წილს უნდა ფლობდნენ ყოფილი მცირე მიკროავტობუსების ოპერატორები კიშინიოვში;
- ახალი ფლოტის გამონაბოლქვისა და ხმაურის დონე;
- რჩევა არსებული ოპერატორების შესაბამის კომპენსირების სტრატეგიაზე, სადაც ეს აუცილებელია. სასურველია ახალ მარშრუტებზე გადანაწილების გზით, თუმცა ფლოტის განსაახლებელი პირობების გათვალისწინებით.

კონსულტაციის პროცესის საფუძველზე, კონსულტანტმა უნდა მოამზადოს მოქმედებათა გეგმა, განსაზღვროს რეკომენდებული პროცესი და დროის პერიოდი არსებული კონტრაქტების გადახედვისათვის. სადაც აუცილებელია, დასახოს არსებული ოპერატორების კომპენსირების გზები, სასურველია ახალ მარშრუტზე გადანაცვლების გზით, თუმცა გათვალისწინებულ უნდა იქნეს ფლოტის განახლების საკითხი და ტენდერის პროცესი ავტობუსთა ახალი მარშრუტებისთვის. მან ასევე უნდა განსაზღვროს თანამშრომელთა რაოდენობა და კომპეტენციური მოთხოვნები ქალაქისთვის, რათა ჯეროვნად განხორციელდეს ტენდერის მენეჯმენტი და კონტრაქტების/ლიცენზიების მონიტორინგი, ტრეინინგის მოდულების ჩათვლით ტენდერში გამარჯვებულისათვის და მონიტორინგისა, განსაკუთრებით ახალი კერძო ავტობუსების სერვისებისათვის.

ამოცანა 11. ტექნიკური მახასიათებლები და სატენდერო სტრატეგია ავტობუსის ახალი პარკისა და AFC სისტემისათვის

კონსულტანტმა, ტეკნიკურ განმარტებაზე დაყრდნობით, რომელიც შემუშავდა მე-3 ამოცანაში მოცემული ავტობუსის ახალი პარკის მოთხოვნებისთვის და მე-7 დავალებაში მოცემული AFC სისტემისთვის, უნდა წარმოადგინოს სრული ტექნიკური მახასიათებლები ავტობუსების პარკისა და ობიექტებისათვის და პირველი ფაზის ფარგლებში დასანერგი AFC სისტემისთვის, მათ შორის ავტობუსის პარკის ყველა მოთხოვნები, AFC სისტემის კომპონენტები, ინტერფეისის სტანდარტები და შესასრულებელი მოთხოვნები.

ტექნიკური მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ტენდერს, რომელიც ტარდება EBRD PP & R-ის მოთხოვნებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნული ამოცანა უნდა მოიცავდეს ყველა ტექნიკურ დოკუმენტს, მონაცემთა ფურცელს და ა.შ. თუმცა, ტენდერის სხვა დოკუმენტები უნდა მომზადდეს ცალკე დავალების საფუძველზე და არ უნდა მზადდებოდეს კონსულტანტის მიერ.

კონსულტანტი ასევე განსაზღვრავს ავტობუსის ახალი პარკისა და AFC სისტემის ტენდერის სტრატეგიას, სავარაუდო დაფინანსების წყაროების, სხვადასხვა ავტობუსების პარკის მოთხოვნებისა და AFC განახლებისა და გაფართოების კომპონენტების, საექსპლუატაციო პირობებისა და საბაზრო შესაძლებლობების და სავარაუდო რეაგირების გათვალისწინებით.

დავალება12. ავტობუსის ექსპლუატაციის ხელშეკრულების პროექტის მომზადება

კონსულტანტი განიხილავს ქალაქის არსებულ პრაქტიკას საზოგადოებრივი ტრანსპორტის კონტრაქტის დადებასთან დაკავშირებით, მათ შორის:

- კონტრაქტის გაფორმების პროცედურები

- ქალაქისა და ავტობუსის ოპერატორებს შორის უფლება-მოვალეობების ფაქტობრივი გაყოფა;
- მომსახურების სფეროს დაგეგმვა და შერჩევა/ დამტკიცება (საექსპლუატაციო გეგმა);
- მომსახურების ხარისხის პარამეტრების დადგენა;
- მომსახურების პირობების და ოპერატორების მუშაობის მონიტორინგი ; ▯ ბიუჯეტის შექმნის მეთოდოლოგია; ▯ მოხსენებების მოთხოვნები და ა.შ.
- ავტობუსების მომსახურების ხელშეკრულების დებულებები, რეგულირება და კონტროლი კონსულტანტი ასევე განიხილავს არსებულ მარეგულირებელ ჩარჩოს. კერძოდ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების სუბსიდირებისა და გადასახადების დაბეგვრასთან დაკავშირებულ კანონმდებლობას. მან უნდა განიხილოს შემოთავაზებული PSC, რომელიც ხორციელდება ცალკე კონტრაქტი საფუძველზე ბანკის მხარდაჭერით.

მე-10 დავალებაში შემოთავაზებულ სამარშრუტო სტრუქტურაზე დაყრდნობით, კონსულტანტმა უნდა შეიმუშაოს მხარდამჭერი ფინანსური მოდელი ქალაქის მიმოხილვისა და კომენტარებისთვის, რათა წარმოადგინოს არსებული მდგომარეობა თითოეული ოპერატორის მოსვლამდე და მოსვლის შემდეგ და რეფორმის პროცესში ძირითადი ეტაპის ჩათვლით. თითოეულ ოპერატორისთვის / მნიშვნელოვან ეტაპზე, უნდა შეიცავდეს:

- წინა პერიოდებზე დაფუძნებული ზოგადი წლიური სამოქმედო გეგმა;
- ბოლო სამი წლის განმავლობაში დაგეგმილი, ცარიელი, მიწოდებული, გაუქმებული სატრანსპორტო საშუალებების კილომეტრების წლიური რაოდენობის სტატისტიკური მონაცემები;
- საავტომობილო კილომეტრის სერვისის წლიური ღირებულება და ფაქტობრივი ღირებულება ავტობუსების ექსპლუატაციისთვის
- შემოსავლის დაშლა გზავრობის გადასახადისგან მიღებული შემოსავლის მითითებით ასევე, შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე მგზავრების კომპენსაციიდან, სუბსიდიიდან და სხვა.

კონსულტანტი მოამზადებს ბიუჯეტს მომსახურების რეალური ღირებულების გათვალისწინებით, ასევე შესაფერის ბიუჯეტს, რომელიც ეფუძნება ავტოსატრანსპორტო საშუალების კილომეტრის ღირებულებას და აჩვენებს გადახდის ამგვარი მეთოდის ეფექტს სტანდარტულ მეთოდოლოგიასთან შედარებით. კონსულტანტი წარმოადგენს მუნიციპალური სუბსიდირების გაანგარიშების ფორმულას და მის ბლანკზე უთითებს რიცხვებს. (მაგ. სუბსიდია= კილომეტრის რაოდენობა x კილომეტრის ღირებულება მინუს მგზავრობის ღირებულების შემოსავალი და კომპენსაცია შეღავათიანი მგზავრებისთვის).

მოდელი უნდა ასახავდეს კერძო სექტორში არსებულ მდგომარეობას კონდუქტორებით, რომლებიც წარმოადგენენს სამგზავრო გადასახადის შემოსავლების შეგროვების ძირითად წყაროს და სიტუაციას, სადაც AFC- ს კომპანია პასუხისმგებელია ამაზე და კერძო ოპერატორებს უხდის ქალაქი შეგროვებული შემოსავლებიდან.

რადგანაც ქალაქი თანხმდება ახალი საგადახდო სქემის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდოლოგიის შესახებ, კონსულტანტი მოამზადებს ავტობუსების ექსპლუატაციის ტიპურ კონტრაქტს, რომელსაც განიხილავს ქალაქი. ახალი მოდელის საექსპლუატაციო კონტრაქტი უნდა იცავდეს იმავე პრინციპებს, რასაც PSC გარდა იმ ზამონაკლისისა, როდესაც შეიძლება საჭირო გახდეს დროებითი პირობების შემოღება, [illegible] ყონ არსებული

თვითღირებულების მოდელიდან გადასვლის პერიოდი და AFC- სისტემის საშუალებით, საშემოსავლო სტრუქტურაში ბილეთის ღირებულების ელექტრონულად გადახდის დანერგვა. ახალი მოდელის საექსპლუატაციო კონტრაქტი მოიცავს შემდეგს:

- ხელშეკრულების მხარეების უფლებები და მოვალეობები
- სახელმწიფო სატრანსპორტო ოპერატორის ვალდებულების შეთანხმება, რათა მგზავრობის ღირებულების შეგროვების მომსახურება გადაეცეს ქალაქის მიერ დანიშნულ მესამე მხარეს (ICS);
- ოპერატორთა ვადებულებების განსაზღვრა რათა მგზავრობის ღირებულების შემოსავლის დაცვის სერვისები (ბილეთების შემმოწმებლები) გადაეცეს ქალაქის მიერ დანიშნულ მესამე მხარეს (AFC- ცომპანიას);
- მომსახურების დაგეგმვის წესები და ვადები;
- თითოეული ტიპის სერვისისა და წლიური სამოქმედო გეგმის მოცულობა;
- შეკვეთილი მომსახურების მოცულობის შეცვლის / ჩასწორების ვადები და პირობები, მათ შორის შენიშვნების მოთხოვნები;
- ქალაქის მიერ კონტროლირებადი მომსახურების ხარისხის მოთხოვნები, როგორიცაა მანქანების სისუფთავე, რეგულარობა, პუნქტუალურობა, მძღოლების თავაზიანობა;
- თითოეული ტიპის მომსახურების ღირებულება;
- მომსახურების ერთეულის ღირებულება / ფასის გაანგარიშება (მაგ. ტრანსპორტის კმ ფასი);
- ოფიციალურად გამოქვეყნებულ ინდექსებზე დაყრდნობით მომსახურების ღირებულების / ფასის წლიური მაჩვენებლების ფორმულები;
- ჯარიმების მექანიზმი გაუქმებული მომსახურებისთვის ან იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ერთი მხარე მეორეს ატყობინებს შეთანხმებული მომსახურების სტანდარტისგან გადახვევის თაობაზე. ასევე, ჯარიმის სისტემის გამოყენების მექანიზმი;
- სატრანსპორტო ოპერატორის წლიური ბიუჯეტის გაანგარიშების ფორმულა;
- სატრანსპორტო ოპერატორის წლიური სუბსიდირების გაანგარიშების ფორმულა;
- სატრანსპორტო ოპერატორის ყოველთვიური სუბსიდირების გაანგარიშების ფორმულა;
- სუბსიდირების გადახდის ვადები და პირობები
- საკონტრაქტო მონიტორინგი და მოხსენებების მექანიზმი, კერძოდ, რა სახის მოხსენებები უნდა წარუდგინოს ქალაქს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპერატორმა და რა სიხშირით. ასევე, რას უნდა მოიცავდეს მისი შინაარსი და რა ფორმტით უნდა გაკეთდეს იგი.
- ფორს მაჟორი;
- ხელშეკრულების ხანგრძლივობა;
- დავის გადაწყვეტის მექანიზმი;
- ხელშეკრულების შეწყვეტის დებულებები.

ტიპური საქესპლუატაციო კონტრაქტი უნდა მიეწოდოს ქალაქს და სატრანსპორტო ოპერატორებს გადახედვისა და შენიშვნების გაკეთების მიზნით. კონსულტანტი, ფორმალური წერილობითი კომენტარების მიღების შემდეგ, ორგანიზებას გაუწევს ვორქშოფს, რათა განიხილოს გამოკვეთილი საკითხები და შეძლოს შაბლონის დასრულება.

კონსულტანტი ქალაქს მიაწოდებს MS Excel- ის ტიპის ელექტრონულ შაბლონს , რათა გაანგარიშდეს კილომეტრის ღირებულება /ფასი სხვადასხვა სატრანსპორტო ოპერატორებისთვის წლიური ბიუჯეტი, მგზავრობის ღირებულების პროგნოზირება, შეღავათიანი ტარიფებითი მოსარგებლე მგზავრების კომპენსაცია და საჭირო სუბსიდიები. მოდელი ქალაქს საშუალებას

უნდა აძლევდეს შეიყვანოს კონკრეტული ინდექსები ავტომობილის კილომეტრის ღირებულების / ფასისა და ბიუჯეტის პროგნოზირების ინდექსაციისთვის.

ამოცანა 13. ქალაქის ფუნქციონალური აქტიურობის გაზრდა კონტრაქტის მიღებისა და მონიტორინგის გზით

კონსულტანტმა უნდა ითანამშრომლოს ქალაქთან, რათა შეიძინოს უნარები და ტექნიკური ცოდნა ისე, რომ შესაძლებელი იყოს ახალი სტანდარტული ტიპის კონტრაქტისა და PSC-ს ეფექტური მონიტორინგი თბილისის სატრანსპორტო კომპანიასთან ერთად. აღნიშნული მონიტორინგისთვის ამასთანავე საჭიროა:

i) საჯარო სატრანსპორტო მარეგულირებელი ორგანოს დიზაინის შემუშავება, რათა ისწავლოს თუ როგორ მოახდინოს PSC- ს მონიტორინგი და ახალი კონკურენტუნარიანი სატენდერო ავტობუსების კონტრაქტები, რომელიც ასევე ეფუძნება PSC მიდგომას;

ii) შემუშავდეს პერსონალის კონკრეტული დავალებები, როლები თითოეული პირისთვის და ახალ ერთეულზე მათი განაწილება მოხდეს ამის შესაბამისად.

iii) ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპერატორებისა და გეოგრაფიული არეალის ოპერატიული გაშუქების მოთხოვნების დაცვა;

iv) ყველა ოპერატორის ხარისხიანი ფუნქციონირება PSC-ში მითითებული პარამეტრების (ფორმულის მიხედვით) მიხედვით. ქალაქის მიერ ოპერატორებისთვის გადასახდელი თანხა ისე უნდა იყოს დათვლილი რომ გამოირიცხოს ზედმეტი თანხის გადახდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კომპანიის მიმართ.

v) საზოგადოებრივი სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველსაყოფად გარკვეული ინდუსტრიული ხარჯების ბენჩმარკინგი;

vi) სოციალური მარშრუტების (ანუ დაბალი მოცულობის) სატრანსპორტო საშუალების უზრუნველსაყოფად ნებისმიერი საჯარო გადასახდელების სწორად გაანგარიშება და ტრანსპორტი ნებისმიერი სოციალური კატეგორიის ადამიანისთვის ნებისმიერი ბრუტო ღირებულების კონტრაქტის ფარგლებში, რომელიც დაფუძნებული იქნება PSC-ით გათვალიწინებულ მთლიან ხარჯებზე ერთი კილომეტრისთვის.

vii) საბილეთო სისტემის მოწყობა და შემოსავლების შეგროვება

viii) ზუსტი ჩანაწერები და კონრაქტები, რომლებიც ხელმოწერილია PSC-ს ფარგლებში, რომლებიც აღწერს ხელმოწერილი კონტრაქტის არსებით საკითხებს (სახელწოდება, საკუთრება ხანგრძლივობა, გაწეული მომსახურების აღწერა და გადასახდელი კომპენსაციის ტიპები და მომსახურების ხარისხი და რაოდენობა);

ix) ოპერატორთა ერთგულება მათი ვალდებულებების მიმართ: ავტომობილის ტიპი; უსაფრთხოების მიზნები; მომსახურების ხარისხის ინდიკატორები; სატარიფო გეგმა; ბილეთის გაყიდვების, ინფორმაციის მიწოდება კლიენტებისთვი;

x) ქალაქის ვალდებულებების დაცვა, შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: გადახდები გაწეული მომსახურებისათვის, თითო კილომეტრის მიხედვით; სამართლებრივი და სახელშეკრულებო ვალდებულებების ზედამხედველობა და კონტროლი; ქალაქის დებულება და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მოძრაობის კონტროლის ღონისძიებები; სამგზავრო საჩივრები [illegible]

BUSINESS HOUSE LLC 404482608

xi) PSC- ის ყველა ტექნიკურ დანართთან შესაბამისობა, მათ შორის: მომსახურების და ოპერაციების გეგმა; ავტომობილის მოთხოვნები; ხარისხის ინდიკატორები; სამომხმარებლო კმაყოფილების ინდექსი, კვლევის საფუძველზე; ტარიფი, როგორც ეს შეთანხმებულია ქალაქის მიერ; წახალისებისა და ჯარიმების გამოყენების მეთოდი; და ფასების ინდექსირება.

კონსულტანტმა უნდა განსაზღვროს ქალაქის საწარმოო ქმედების გაფართოებისთვის საჭირო მოთხოვნები, რათა შეძლოს მისი ფუნქციების შესრულება კონტრაქტების გაფორმებისა და მონიტორინგის თვალსაზრისით. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული სატრენინგო მოდულები მოიცავს ორ ეტაპიან 3 დღიან სამუშაო შეხვედრებს მე- 2 ეტაპის განხორციელების პერიოდში.

პერიოდის ბოლოს, კონსულტანტმა ქალაქს უნდა წარუდგინოს პროცედურები, რომლითაც უნდა მოხდეს ახალი ტიპის საექსპლუატაციო კონტრაქტებისა და PSC- ის გადაცემა და მონიტორინგი.

ამოცანა 14. განახლებული განხორციელების გეგმა და ბიზნეს გეგმა

მე-8 დავალებაში შემუშავებული სამოქმედო გეგმისა და ბიზნეს გეგმის შემდგომ, კონსულტანტი განაახლებს შემოთავაზებული გრაფიკისა და სამოქმედო გეგმას სრულიად განახლებული მარშრუტის რესტრუქტურიზაციის, ტარიფის სტრუქტურისა და AFC სისტემის განხორციელების მიზნით.

გეგმაში მითითებული უნდა იყოს განხორციელებისთვის საჭირო ყველა ქმედება და წარმოადგინოს სათანადო დასაბუთება მომავალი ინვესტიციისათვის AFC სისტემაში. ასევე შესთავაზოს პარკის განახლებადი პოგრამები, რომლებიც სავარაუდოდ მიიღებენ ფინანსურ მხარდაჭერას ბანკისგან.

ამოცანა 15 საბოლოო ანგარიში

კონსულტანტი საბოლოო ანგარიშში აჯამებს ზემოთ აღწერილ მთლიან სამუშაო პროგრამას, მათ შორის წარმოადგენს ყოვლისმომცველ ანალიზს, სამუშაო პროცესის შეფასებას და ყოველი ეტაპის შედეგებს. ანგარიშში უნდა შეიცავდეს სრული გაცვლითი პროცესის შესახებ "გაკვეთილები სასწავლად", რომელიც ეხება სრულ საკონტრაქტო პროცესს და დასკვნები და რეკომენდაციები მომავალში ტრანსპორტის მომსახურების გაწევისთვის.

<u>4. განხორციელების ღონისძიებები და შესასრულებელი აქტივობები</u>

ქალაქი შექმნის სამეთვალყურეო კომისიას, რათა გადახედოს და დაამტკიცოს დავალების მიწოდება. ქალაქის ტრანსპორტის დეპარტამენტის ფარგლებში, დაინიშნება პროექტის მენეჯერი ყოველდღიური კოორდინაციისთვის.

ქალაქი გამოჰყოფს მაკოორდინირებელ პირს, რათა განსაზღვროს ქალაქის ხარჯების კოორდინაცია და კონსულტანტთან ყოველდღიური კოორდინაცია. ასევე, მისი სტრანსპორტო კომპანიიდან გამოჰყოფს სხვადასხვა დარგის ორ თანამშრომელს, კონსულტანტთან თანამშრომლობისთვის, მათ შორის კვლევის მანძილზე გამოკითხვის, მონიტორინგისა და კვლევის ყველა კომპონენტისა და შედეგის იმპლემენტაციისა. კონსულტანტს შეუძლია

განსაზღვროს მოვალეობები პერსონალისთვის, მაგრამ შეინარჩუნოს პასუხისმგებლობა კვლევის ყველა შედეგზე და არ უნდა გადააბაროს პასუხისმგებლობა მიმაგრებულ თანამშრომლებს.

კონსულტანტმა უნდა უზრუნველყოს შესაფერისი ოფისის განთავსება თბილისში თავისი პროექტის გუნდისთვის. ქალაქს ექნება უფასო, შეხვედრების შესაბამისი ოთახები როგორც ქალაქის საკუთრება, კვლევის მიზნით.

კონსულტანტი პასუხისმგებელი იქნება საკუთარი სატრანსპორტო, საცხოვრებელი, საყოფაცხოვრებო ხარჯების, კომუნიკაციების, მასალების, ბეჭდვისა და ანგარიშების მომზადების ორგანიზებაზე. ქალაქი უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას ყველა შესაბამის ინფორმაციაზე, ურბანული სატრანსპორტო სისტემის შესახებ არსებულ კვლევებსა და მონაცემებზე და ნებისმიერ სამართლებრივ დოკუმენტზე .

კონსულტანტი აკეთებს მოხსენებას შემდეგ პირებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად: თეა მელიქაძესთან, თბილისში EBRD- ს წარმომადგენელობაში და იან ჯენინგისთან, ურბანული ტრანსორტის მთავარი სპეციალისტთან, ლონდონში .

კონსულტანტი ქალაქს წარუდგენს ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებისა და მასალების ორიგინალებს, ხოლო ბანკს - მათ ასლებს, რომლებშიც დეტალურადა იქნება აღწერილი მე -3 პუნქტში განსაზღვრული სამუშაოს მოცულობის შედეგები (როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაზე ბეჭდური და ელექტრონული ფორმით)

შესასრულებელი აქტივობები	არაა ქართული ასლები	არაა ინგლისური ასლები	მითითებუ ლი ვადები
ეტაპი 1			
თავდაპირველი ანგარიში, მათ შორის, კერძო სატრანსპორტო სექტორის მიმოხილვა (ამოცანა 1), მონაცემთა ხარვეზები და შემოთავაზებული კვლევის პროგრამა (ამოცანა 2-ის საწყისი კომპონენტები), საწყისი დასკვნები, სამუშაო გეგმა და კვლევის განხორციელების პრობლემური საკითხები.	4	2	თვე +15 M+ 1.5
შუალედური ანგარიში, მათ შორის ავტობუსის სექტორის ფუნქციონალური კვლევა სრული კვლევითი მონაცემებით (სამუშაო 2) და მოხსენება მდგომარეობის შესახებ 1 ეტაპის ყველა დავალებისთვის.	4	2	თვე + 5 M+ 5
საბოლოო შემოთავაზებული მარშრუტის ქსელის გეგმა, PSP ვერსიები, ტარიფების სტრუქტურა და AFC სისტემა სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოებით (ამოცანები 3-7)	4	2	თვე+7 M+ 7
განხორციელების გეგმა და პირველადი ბიზნეს გეგმა, პოლიტიკის გეგმა, ეტაპი 2 საინიციატივო რეზიუმე (ამოცანები 8,9)	4	2	თვე+8 M+ 8
პირველი ეტაპის სამუშაო შეხვედრა			თვე+9 M+ 9
ეტაპი 2 (დასწყებად საჭიროა დასტური)			
ახალი მარშრუტის სატენდერო გეგმა, AFC-ის ტექნიკური მოთხოვნები (ამოცანები 10,11)	4		თვე+12 M+ 12

TBILISI BUSINESS HOUSE LLC
404482608

ავტობუსის ექსპლუატაციის სტანდარტული კონტრაქტი, ქალაქის ფუქნციონალური აქტივობის გაზრდა.(დ ა ვ ა ლ ე ბ ე ბ ი 12,13)	4	2	თვე+13 M+ 13
ეტაპი 2 -ის სამუშაო შეხვედრა			თვე+14 M+ 14
საბოლოო მოხსენება დასკვნებითა და რეკომენდაციებით, მათ შორის განახლებული დანერგვის გეგმითა და ბიზნეს გეგმით (ამოცანები 14,15)	8	4	თვე+15 M+15

M = დავალების მობილიზაციის თარიღი

კონსულტანტი ასევე წარმოადგენს მოკლე ყოველთვიურ მოხსენებას პროგრესის შესახებ (მაქსიმუმ 3 გვერდი), მათ შორის პერსონალის მობილიზაციაზე, ამოცანების შესრულების მდგომარეობასა და ძირითად საკითხებზე

შპს თბილისის ბიზნეს სახლი TBILISI BUSINESS HOUSE LLC 404462608

ცხრილი B

<u>კონსულტანტების ცხრილი და ბიუჯეტის ჩაშლა</u>

(თანხები არ მოიცავს არცერთ არაპირდაპირ გადასახადს, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს კონსულტანტის მიერ, დღგ-ს ჩათვლით

საქართველო: ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაცია და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემა

EUR

ექსპერტის სახელი და გვარი	პოზიცია	გადახდა	სულ
ასმათ აბესაძე	ინსტიტუციონალური ექსპერტი	ერთიანი გადახდა, რომელიც მოიცავს ყველა ხარჯს და ანაზღაურებას წინამდებარე კონტრაქტის დანართი 1, მუხლი 3.06 (ა) შესაბამისად	790,000.00
რევაზ ბერიძე	შესყიდვებისა და იურიდიული საკითხების ექსპერტი		
პიერ დებანო	ავტობუსების საოპერაციო ექსპერტი		
ჟან მანუელ ჟილი	ჯგუფის ხელმძღვანელი		
გიორგი გიგაური	GIS სპეციალისტი		
ქრისტოფ ჟირარდი	AFC სპეციალისტი		
მარკ ჟოლი	საგზაო მოძრაობის მოდელირების ექსპერტი 1		
მამუკა მახათაძე	ფინანსური ექსპერტი		
ელიზ მიშელი	საგზაო მოძრაობის მოდელირების ექსპერტი 2		
სამუელ სირრი	ტრანსპორტის დამგეგმავი		
თამაზ ცვარიანი	ინჟინერი		
სულ, ყველა ხარჯის ჩათვლით:			**790,000.00**

ყველა ინვოისის უნდა იყოს მომზადებული ბმული ინვოისების მომზადების წესის მიხედვით. ბანკი და კლიენტი არ აგებს პასუხს არანაირ დაგვიანებაზე, თუკი კონსულტანტის მიერ წარდგენილი ინვოისი არ შეესაბამება მითითებულ ინვოისის მომზადების წესს. თუკი სხანაირად არ არის შეთანხმებული, ნებისმიერი აღჭურვილობა, რომელიც შეძენილია პროექტის ფარგლებში კონსულტანტის მიერ, განიკარგება ბანკის მიერ კონტრაქტის დასრულების შემდეგ.

TBILISI BUSINESS HOUSE LLC
404482608

წესები ინვოისის მომზადებისთვის

ინვოისების გადასახდელად წარდგენისას უნდა მიექცეს ყურადღება შემდეგ პუნქტებს:

- ყველა ინვოისი უნდა მომზადდეს შემდეგ სახელზე და გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე:

ყველა ინვოისის ორიგინალი (წინასწარი გადახდა და გადახდები 1-9) და მათი თანმხლები დოკუმენტაცია უნდა გაეგზავნოს კლიენტს მისამართზე:

თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ჟიული შარტავას ქუჩა 7
თბილისი 0162
საქართველო

ინვოისების ასლები, რომლებიც გამოიწერება 3-9 გადახდების მისაღებად, წინამდებარე კონტრაქტის დანართი 1, მუხლი 3.06 (ა) შესაბამისად, უნდა გაიგზავნოს აგრეთვე ბანკში მისამართზე:

Donor Funded Operations
European Bank for Reconstruction and Development
One Exchange Square
London EC2A 2JN
UK

კონსულტანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ბანკში გაგზავნილი ინვოისის ასლი მხოლოდ ბანკის ინფორმაციისთვისაა განკუთვნილი. <u>კონსულტანტმა უნდა იცოდეს, რომ ბანკი არ არის უფლებამოსილი შესარულოს ინვოისისთვის გადახდა მანამ, სანამ ორიგინალი ინვოისი არ დადასტურდება კლიენტის მიერ და არ გადაეგზავნება ბანკს შესასრულებლად.</u>

- ინვოისზე სავალდებულოდ უნდა იყოს მითითებული კონტრაქტის ნომერი.
- ინვოისებზე გარკვევით უნდა ჩანდეს კონსულტანტის ბიზნეს მისამართი, ინვოისის ნომერი და თარიღი. მითითებული უნდა იყოს იმ პიროვნების სახელი და ტელეფონის ნომერი, ვისთან დაკავშირებაც შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდა შეკითხვების დასმა.
- ბანკი შეასრულებს 3-9 გადახდებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც (i) ბანკს გაეგზავნება ორიგინალი ხელმოწერილი კონტრაქტი, (ii) წარმოდგენილი იქნება ინვოისების ორიგინალი და წვითრების ორიგინალი (არც ფაქსი და არც ასლი არ მიიღება) და (iii) განაცხადი კლიენტისაგან ინვოისის მიღების და დადასტურების შესახებ.
- ინვოისის გადახდა იწარმოებს პირდაპირი გადარიცხვით საბანკო ანგარიშზე.
- საბანკო ანგარიშის სრული დეტალები, სადაც გადახდა უნდა მოხდეს, გარკვევით უნდა იყოს მითითებული ინვოისზე, ანგარიშის ვალუტის მითითების ჩათვლით.
- ინვოისზე უნდა იყოს მითითებული მომსახურების გაწევის პერიოდი.

BUSINESS HOUSE LLC

- ინვოისები უნდა იყოს დეტალიზირებული მიმდევრობით, რომელიც ცხრილ B-შია მოცემული.
- ანაზღაურება და დღიური სამივლინებო თანხები უნდა იყოს ინვოისირებული კონტრაქტის პუნქტი 3.04 ის მიხედვით
- ინვოისში უნდა იყოს მითითებული გაცვლითი კურსი.
- ნებიმიერი ცვლილება ხელშეკრულებაში უნდა შევიდეს მასში ინვოისის წარდგენამდე.
- კონსულტანტის მეირ მომსახურეობისათვის გაცემულ ბოლო ინვოისს (ან, თუ შეიძლება მოხდეს, ერთადერთ ინვოისს) უნდა ეწოდოს „საბოლოო ინვოისი" და უნდა მიეთითოს ამგვარად. საბოლოო ინვოისი არ უნდა გაიცეს მანამ, სანამ ყველა კონსულტანტის მოვალეობა მომსახურების გაწევაზე არ იქნება სათანადოდ შესრულებული, კლიენტი არ დაადასტურებს მომსახურების დასრულებას. „საბოლოო ინვოისი" უნდა წარდგენილ იქნას მომსახურების დასრულებიდან სამი თვის განმავლობაში ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.
- ანაზღაურებადი ხარჯები, მათ შორის საჰაერო მგზავრობის, ადგილობრივი მგზავრობისა და სხვა ხარჯების ჩათვლით, უნდა აისახოს ინვოისში კონტრაქტის პუნქტი 3.02-ის მიხედვით გაწერილ ვალუტაში. საჰაერო მგზავრობის ანაზღაურება მოხდება ორიგინალი ბილეთის, ბორტზე ასვლის ბარათების და ტურისტული სააგენტოების ქვითრების წარდგენით. ასანაზღაურებელი ხარჯების გაცვლითი კურსი უნდა იყოს მოცემული ინვოისში. კონვერტირება უნდა მოხდეს კურსით, როემლიც მოცემული იქნება ფაინანშალ თაიმს (Financial Times)-ში გამოსულ შესაბამისი თვის პირველ ორშაბათს (თვე როცა ინვოისი მომზადდა); კონვერტაციის შემთხვევაში უნდა იყოს წარდგენილი კონვერტაციის დამადასტურებელი საბუთი.
- დანომრილი სიას, სადაც დეტალიზირებული იქნება ასანაზღაურებელი პოზიციების ჩამონათვალი თან უბდა დაერთოს შესაბამისად დანომრილი ორიგინალი ქვითარი თითოეულ პოზიციისათვის.
- საქონლის შესყიდვა მოხდება ბანკის შესყიდვების პოლიტიკისა და წესების პუნქტი 3.12. და 3.13 შესაბამისად.
- ნებისმიერი მოქმედი არაპირდაპირი გადასახადი, დღგ-ს ჩათვლით, რომლის გადახდაც შესაძლოა მოუწიოს კონსულტანტს, უნდა იყოს ცალკე მითითებული ინვოისებში; ასეთი თანხები არ უნდა იყოს გადახდილი ბანკის საგრანტო ფონდებიდან და უნდა ანაზღაურდეს პირდაპირ კლიენტის მიერ.
- ამ წესების შესახებ ნებისმიერ კითხვასთან დაკავშირებით მიმართეთ [illegible] უნდა მიემართოს Donor Funded Operations, ტელეფონი + 44 20 7338 6000.

TBILISI BUSINESS HOUSE LLC
404482608